

ქ. ხრეშვილი



[Red handwritten signature]

უცხოეთს კავშირის კომიტეტის ორგანო

113-14



ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1920.



შ ი ნ ა ა რ ს ი :


გვერდი.

1. სახელმწიფოების	3
2. სომხეთის მდგომარეობის გამო	6
3. საქართველოს ხალხს	8
4. ი. გომართელი—თემი და მისი მოვალეობა.	12
5. ა. ოდიშელი—სენაკის მაზრის ცხოვრებიდან.	18
6. დ. თურდოსპირელი—ღუშეთის მაზრის უმწეობა.	26
7. გ. ბენაშვილი—სახალხო განათლების საქმე ტფილისის მაზრაში 1919—1920 წ. განმავლობაში	31
8. ა. სვანიძე—ფულის საკითხის გარშემო	42
9. ტიტე მარგველაშვილი—თამბაქო.	52
10. ე. ნოდია—შორეულ აღმოსავლეთის მოკლე ეკონომიური მიმოხილვა.	62
11. ი. ლომოური—შრომის დამცველი კანონმდებლობა ევროპის სახელმწიფოებში.	85
12. მ. ქარცივაძე—საბალე ნიადაგის გაშრობა ზედმეტ სინესტისაგან	92
13. ექიმი ი. ლომოური—ხოლერა.	95
14. გ. მ. —საჭირთა უმამულო და მცირე მამულის მეპატრონეთა გადასახლება	100
15. განმანი—ორკვირეული.	103
16. ერთი კანონ-პროექტის გამო	109
17. ქრონიკა.	110
18. ხომლელი — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.	

ქრონიკა

5671

ორკვირეული საერთო ჟურნალი



ეროვნათა კავშირის კომიტეტის ორგანო



თფილისი
სახელმწიფო სტამბა
1920.



თავდაცვისათვის.

მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა მთელ საქართველოში. გაწვეული ახალგაზრდობა ხალხით ჩაეწერა სამხედრო ნაწილებში, ომი არ არის, არც გვინდა რომ იყოს, მაგრამ მთელი საქართველო საომარ მდგომარეობაშია. მწარე გამოცდილების შემდეგ საქართველოს დემოკრატიამ კარგად შეიგნო, რომ „ვისაც ომი არ სურს, ის ომისთვის უნდა ემზადოს“. მაგრამ ეკონომიურად ეს მზადება ჩვენ სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდება. დამფუძნებელმა კრებამ თავდაცვის საქმეებისათვის გადასდო 2000.000.000-მანეთი; მაგამ ეს დიდი თანხა კიდევ არ კმარა თავდაცვისათვის. ამისათვის საქირა საზოგადოებრივი დახმარება. იმ დროს, როდესაც სამშობლოს განსაცდელი მოელის, თვითველი მოქალაქე ვალდებულია მოიხადოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე რითაც შეუძლია, სიცოცხლით თუ ქონებით. ასეთია სამთო ვალი თავისუფლებისა და სამშობლოსადმი.

დღეს ჩვენი საუკეთესო შვილნი მედგრად დარაჯობენ ჩვენს სანაპიროებს. ყოველთვის მზათ არიან გმირულად მიუშვირონ მკერდი მტრის ტყვიას. მაგრამ მათი მამაცობა უფრო გაორკეცდება მაშინ, როცა ეს მებრძოლნი დარწმუნდებიან, რომ ომში ამა თუ იმ სახით თვითველი მოქალაქე იღებს მონაწილეობას, რომ „ზურგში“ მყოფნი შესაფერის მზრუნველობას იჩენენ ფრონტისადმი, რომ შინ დარჩენილ მებრძოლთა წერლ ცოლ-შვილს ჰყავს ჯეროვანი ქირისუფალი, რომ მათ არც მოშივდება და არც შეკვივდებათ, ამ იმედით გამარჯვება აუცილებელია. აი რისთვის უნდა ზრუნავდეს დღეს თვითველი ჩვენთაგანი. ამ მიზნით დაარსდა დედა ქალაქში თავდაცვის ფონდის მთავარი კომიტეტი, რომლის მიზანია გააძლიეროს თავდაცვის ფონდი და მით უზრუნველყოს ჩვენი გამარჯვება. ამ კომიტეტში მონაწილეობას ღებულობენ ყველა მოქმედ პარტიების პასუხისმგებელი წარმომადგენლები, დამფუძნებელი კრების წევრნი, საქალაქო და საეროობო თვითმართველობის წარმომადგენლები, რომლებმაც მიმართეს საქართველოს ხალხს მოწოდებით, სადაც აღნიშნულია, რომ დემოკრატიულ სამშობლოს საფრთხე მოელის და საქირა ეროვნულ სამსხვერპლოზე მო-

ვიტანოთ მსხვერპლიო; და ჩვენ არ გვგონია, რომ ჩვენ რესპუბლიკაში დარჩეს ისეთი უღირსი მოქალაქე, რომ ამ მოწოდებას არ გამოეხმაუროს და არ გამოიღოს თავისი წვლილი.

მაგრამ მარტო დედა ქალაქის ღვაწლი თავდაცვისათვის არ არის საკმარისი; ჩვენი რესპუბლიკის უმთავრეს მომადოა ვიგებელ ღერძს სოფელი წარმოადგენს; აქ არის დაგროვებული უმთავრესად ჩვენი სახელმწიფოს დავლათი; ამისათვის საჭიროა თვითეულმა სოფელმა აქტიური მონაწილეობა შეიღოს თავდაცვის საქმეში, ყველგან საჩქაროდ უნდა დაარსდეს თავდაცვის ფონდი: განყოფილებანი, რომლებმაც უნდა იმოქმედონ თანახმად ქვემო აღნიშნულ ინსტრუქციისა:

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შესადგენათ და მის გასაძლიერებლად რესპუბლიკის ყველა ქალაქში და მაზრის ერობის სხვილ და წვრილ ერთეულში სდგება თავდაცვის ფონდის ადგილობრივი გამგეობა იმავე საფუძველზე, როგორზედაც შემდგარი მთავარი გამგეობა.

2. ადგილობრივ გამგეობის მოვალეობა არის შეადგინოს პირველ მუხლში აღნიშნულ ფონდის შესაქმნელ გასაძლიერებლად მცხოვრებთაგან ნებაყოფლობითი გაღებული ხორბლეულობა, ფქვილეულობა და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოები, გარდა იმ ნაწარმოებისა, რომელიც მალე ფუქდება, ნივთები (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები, ნოხები და სხვა) და ფული.

3. ამ მიზნით ყველა ქალაქში ქალაქის მოურავი და მაზრაში—სამაზრო ერობის განგეობის თავმჯდომარე, ან მათი მოადგილე შეადგენს თავდაცვის ფონდის გამგეობას ქვემოაღნიშნულ წესით: თითო წარმომადგენელი შემდეგი საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციებიდან: ქალაქებში ქალაქების და მაზრებში ერობის გამგეობიდან, საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ პარტიებიდან, რომელნიც წარმომადგენელი არიან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, რაიონულ პროფესიულ კავშირიდან, კოოპერატივთა რაიონულ კავშირიდან და ვაქარ—მოეწველთაგან.

4. სამაზრო გამგეობა იმ თემში, სადაც ამას საჭიროდ დაინახავს ადგენს თავდაცვის ფონდის სათემო გამგეობას შეძლებისადაგვარად იმავე საფუძველზე, რომელიც აღნიშნულია ამ ინსტრუქციის მესამე მუხლში.

5. ადგილობრივ გამგეობა თავის წევრთა შორის ირჩევს დამჯ-

დომარეს, მის მოადგილეს, მდივანს, ხორბლეულობის და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოებთა მიმღებს და ფულის და ძვირფასეულობის ხაზინადას.

6. ადგილობრივმა გამგეობამ უნდა გამოიყოს თავისავე წრადან საკონტროლო კოლეგია.

შენიშვნა: სასურველია საკონტროლო კოლეგიაში შედიოდნენ პარტიების წარმომადგენელნი.

7. საქმის წარმოებისათვის და ანგარიშისათვის საჭირო შტატი ერობამ და ქალაქმა უნდა გამოჰყოს თავის მოსამსახურეთაგან უსასყიდლოდ.

8. საქონლის შენახვის, გადაზიდვის და საგზაო ხარჯს ადგილობრივი გამგეობას აუნაზღაურებს მთავარი გამგეობა სათანადო ანგარიშების და გასამართლებელ საბუთების წარმოდგენის შემდეგ.

9. ადგილობრივი გამგეობის წევრი, ან გამგეობის ნდობით აღჭურვილი დაწესებულებანი და კერძო პირები აგროვებენ მცხოვრებლებში ხორბლეულობას და სხვა ნივთებს და ფულს მთავარ გამგეობის მიერ ამ მიზნისათვის დაგზავნილ საგანგებო კვიტანციების გაცემით.

10. არავის არ აქვს უფლება ხორბლეულის, ფულის და ნივთების შეგროვებისა, ფონდის სახელით, თუ არ ექნება მათ სათანადო მანდატი ერთ-ერთ ადგილობრივ გამგეობისაგან და მთავარ გამგეობის მიერ ხელმოწერილი, მისი ბეჭედ დასმული, საკვიტანციო წიგნაკი.

11. თვითფულს შემწირველს უნდა მიეცეს ჯეროვანი კვიტანცია შემოწირულებაში.

12. შეგროვილი ფული და ნივთები ყოველთვის პირველ რიცხვში უნდა გადმოეგზავნოს მთავარ გამგეობას პროვინციიდან ფოსტით, ხოლო ტფილისში, მიღებულ საკვიტანციო წიგნაკების წარმოდგენით.

13. შეგროვილი ხორბლეულობა და სოფლის სხვა ნაწარმოები ინახება ქალაქებში ქალაქების და სოფლად ერობათა საწყობებში.

14. ფული და ძვირფასეულობა ინახება ადგილობრივ ხაზინაში, სადაც ხაზინა არ არის—ქალაქის და ერობის სალაროში. ქალაქების და ერობათა ფონდის გამგეობანი ვალდებულინი არიან დიდი პარტიები შეგროვილი ხორბლეულობისა თვითონ გადაუგზავნონ მთავარ გამგეობას ტფილისში, ხოლო წვრილათ შეგროვილი, ინახება ზემოხსენებულ საწყობებში მთავარ გამგეობის განკარგულებამდე.

17. ყველა ქალაქის და ერობის ფონდის გამგეობა ვალდებულია ყოველთვის პირველში აცნობოს მთავარ გამგეობას როგორც ფულის, ისე შეგროვილ ნივთების და ხორბლეულობის რაოდენობა, აგრეთვე წარმოადგინოს მოკლე მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.

როგორც ინსტრუქციიდანაც სჩანს თავდაცვისათვის ზრუნვა, ინციატივის გამოჩენა ევალება ერობებსა და თემებს; ამისათვის მათ დღეს გაორკვეცებული ენერჯით მართებთ მოღვაწეობა; დღეს საერობო თვითმართველობანი მრავალი საქმით არიან დატვირთულნი, მაგრამ მათ დღეს მიუხედავად ამისა საქმეები უნდა შეაჩერონ და მთელი ყურადღება მიაპყრონ თავდაცვის საქმეს, რადგანაც ასეთია დღეს ჩვენი უმაღლესი სახელმწიფოებრივი საჭიროება.

სომხეთის მდგომარეობის გამო.

გაწითლდა კიდევ ერთი ჩვენი მეზობელი, სომხეთი მან საშუალოდ დაასამარა თავისი დამოუკიდებლობა, ეროვნული სახე. მაგრამ ეს გაწითლება არ მომხდარა სომხეთის ხალხის ნება-სურვილის თანახმად; საბჭოთა მთავრობა მას თავზე მოახვიეს იმ დროს, როცა ის საშინელ ტრადედიას განიცდიდა, როცა მისი საოკეთესო შვილნი სისხლს ღვრიდნ ქემალისტებთან ბრძოლაში; უკანასკნელად მიღებულ ცნობებით არავითარი გლახთა აჯანყება არ მომხდარა არც დელიჯანში და არც ქარავენსარაიში. ეს შეთხზეს ავანტიურისტების ერთმა უმნიშვნელი ჯგუფმა, რათა ნიადაგი მოემზადებიათ საბჭოთა რეჟიმისათვის; ამ გარემოებით მართლაც უცერემონიოთ ისარგებლეს საბჭოთა ჯარებმა და შეიპყრნ სომხეთის ტერიტორიაზე, ხელთ იგდეს ძალა-უფლება და აღიარეს საბჭოთა მთავრობა. ამგვარად საბჭოთა მთავრობამ დაარღვია ნეიტრალიტეტი და სომხეთის ეროვნულ თავისუფლებას მუხანათურად ჩასცხო სასიკვდილო მახვილი. ასე აფასებენ ბოლშევიკები ხალხთა ეროვნულ თავისუფლებას, ასე უწევენ ანგარიშს ერის სუვერენულ უფლებებს.

ეს კარგი გაკვეთილია საქართველოს დემოკრატიისათვისაც.

სომხეთის დამხობით ერთი შავი ფურცელი კიდევ მიემატა საბჭოთა ხელისუფალთა ისტორიას.

დღეს სომხეთის ტერიტორიას ორი შეიარაღებული ძალა განაგებს: მისი ერთი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს ქემალისტებმა, მეორეს კი ბოლშევიკებმა. ვისი ლუკმა გახდება საბოლოოდ სომხეთი, კომუნისტების თუ ქემალისტების? ამაზე სწორე პასუხის გაცემა ძნელია, რადგანაც ეს დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი იქნება ურთიერთშორის დამოკიდებულება ანგორისა და საბჭოთა მთავრობის შორის, ჯერ კი თვითონ ამ მთავრობებისათვისაც გამოურკვეველია—ისინი ერთმანეთის მტრები არიან თუ მოყვრები; შეიძლება ეს ჯადოსნური კვანძი სომხეთის საკითხმა გახსნას; მაგრამ როგორც არ უნდა შეიცვალოს ძალთა განწყობილება დღევანდელ სომხეთის „ჭირისუფალთა“ შორის ერთი მინც ცხადია: სომხეთი დამოუკიდებლად აღარ არსებობს, მან საბოლოოდ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრივი სახე...

არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ აღენიშნოთ, რომ სომხეთის დღევანდელ უბედურებაში არა ნაკლები წილი უდევს დაშნაკცუტიუნის პარტიას, რომელიც რაოდენიმე წელს განაგებდა საწყალი სომხეთის ხალხის სვებედს, მაგრამ მათი უკუღმართი პოლიტიკის წყალობით სომხეთს სისხლის ღვრისა და ვაივაგლახის მეტი სხვა სიკეთე არა უნახავს რა; ეს უსუსური პოლიტიკოსები მუდამ გარეშე ძალზე ამყარებდნენ თავის ძალაუფლებას; საკუთარი, ეროვნული ძლიერების, სიმტკიცის შექმნა კი ვერ მოახერხეს; ისინი მუდამ სხვაგან ეძებდნენ მხსნელს, მაგრამ ამ ძიების გზაზე უფსკრუოში გადაჩენეს მთელი ერი...

მათ ის ორია გაასამართლებს, ბოლო ჩვენთვის საუკეთესო გამაფრთხილებელია სომხეთის ისტორია.

შემოგვეცალენ ირგვლივ მეზობლები, ყველამ ფერი იცვალა, კვლავ შარტო დავრჩათ საკუთარის ძალის ამარა; სომხეთის დღევანდელი მდგომარეობა უფრო ართულებს ჩვენთვის მოსალოდნელ საფოთხეს, რადგანაც სომხეთის ეხლანდელი არც ერთი და არც მეორე ბატონ-პატრონი არ არის ჩვენი რესპუბლიკისადმი კეთილ-მეგობრულად განწყობილი, ერთსაც სწადია ჩვენი მოსპობა და მეორესაც; საამისო მზადებას კიდევაც შეუდგნენ ჩვენში მოღვაწე კომუნისტები; მათ ამ ბოლო დროს გააძლიერეს ჩვენში არა ლეგარული მუშაობა გარეშე ძალების დახმარებით: ზერავენ ჩვენ სანაპიროებს, ეწევიან მალულ აგიტაციას ზოგიერთ ჯარის ნაწილებში, ჰყავთ მოსყიდული აგენტები ყველა პარტიონციებში, სარგებლობენ დღევანდელ ჩვენი ეკონომიური სისუსტიდან და ეწევიან ფართო აგიტაციას მუშათა წრეებში როგორც სიტყვის ისე

პრესის საშუალებით, მაგრამ ამაოდ; საქართველოს მუშათა კლასმა ერზელ დაემო მისთვის დაღუპველი ბოლშევიზმი და დღესაც სასტიკათ განაგრძობს მის წინააღმდეგ ბრძოლას და უნდა კარგად შეიგნონ ჩვენმა კომუნისტებმა, რომ ამ ბრძოლას დღევანდელი ეკონომიური გაჭირვება, სიდუხჭირე ვერ შეასუსტებს, რადგანაც საქართველოს მუშათა კლასმა კარგად იცის, რომ ბოლშევიკური ექსპერიმენტები არამც თუ გამოიყვანს მას დღევანდელ ეკონომიურ გაჭირვებიდან, არამედ უფრო გააჯოჯოხეთებს მის საარსებო პირობებს.

უნდა იცოდეს ყველამ რომ საქართველოს დემოკრატია თავისი ინტერესების შეგნებით ამიერ კავკასიის ყველა ერებზე მუდამ მალლა იდგა და დღესაც თავის სიმაღლეზე სდგას ეროვნულ-რევოლიუციონურ დროშით ხელში, რომელსაც ის უსიკვდილოთ არავის დაუთმობს.

საქართველოს ხალხო!

ამ ექვსი წლის წინად ამტყდარი დიდი ომი, მიუხედავად მრავალ საზოო ხელშეკრულებათა დადებისა, ჯერ კიდევ არ დაბოლოვებულა მთლად. ამასთანავე დამარცხებულ ქვეყნებში დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობა ზოგან, განსაკუთრებით რუსეთში, სამოქალაქო ომით დამთავრდა, რაიც უფრო აფერხებს საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებას.

ეს მუდმივი საერთაშორისო მოუსვენრობა და გართულება ახდენს თავის უარ-ყოფითი გავლენას ჩვენს თავისუფალ სამშობლოზედაც; ცეცხლის ალი არამც თუ არ შორდება მას, არამედ უახლოვდება კიდევ. არ არის სრულიად მოულოდნელი, რომ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთმა ქიშპობამ და ინტერესთა წინააღმდეგობამ თვით ჩვენი ტერიტორია გახადოს ჩვენდა დამოუკიდებლად, სამხედრო მოქმედების ასპარეზად.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრება და მთავრობა მტკიცეთ იცავდენ თავიდანვე საქვეყნოდ აღიარებულ ნეიტრალობის პრინციპს; მათ ერთხელაც არ უღალატნიათ მისთვის, ერთხელაც არ უფიქრნიათ მეზობელ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევა ან კიდევ მათი უფლების და ტერიტორიულ ხელ-

უხლებლობის შელახვა. ასეთს ნაბიჯს შეუძლებლად ჰხდის თვით ჩვენი სახელმწიფოს უაღრესად დემოკრატიული სულისკვეთება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხი არა ერთხელ გახდა იძულებული აესხა ფარ-ხმალი მომხდომ მტრის მოსაგერებლად; არა ერთხელ მოველინა ჩვენი მამაცი ჯარი და გვარდია მხსნელად და მცველად დედა სამშობლოს, მის წმინდათა-წმინდას რევოლუციურ მონაპოვართ, მის დიდებას და პატიოსნებას.

დღესაც იგივე წაჭი ახლოვდება ქართველ ერისათვის, იგივე ომის აჩრდილი ჩნდება მის წინ. ქემალ ფაშის ჯარმა, რომელიც შეესია ზომხეთს, შესაძლოა ჩვენსკენ იბრუნოს პირი. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება, ამ სამი წლის წინათ მიღებული, როცა ოსმალო პირისპირ ტკბილად გვებაასებოდა, ხოლო ზურგში მახვილსა გვცემდა, როცა მან ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი სისხლით და ოფლით მორწყული ბათოში.

მართალია, საქართველო იგი არ არის დღეს, რაც 1918 წ. იყო. მან არამც თუ დაამსხვრია მონობის ბორკილები, არამედ შეინარჩუნა ბოლომდის დამოუკიდებლობა და თავისუფლება; მან დასდო ხელშეკრულება რუსეთთან, რომლის ძალით უკანასკნელმა იცნო მისი უდაო უფლება, როგორც ბათომზე, ისე მთელს ეხლანდელ მის ტერიტორიაზე; ის უკვე ჩაება საერთაშორისო ფერხულში, რასაც ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობაც...

მაგრამ, სანამ არ შეუქმნიათ ნამდვილი გარანტია მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, სანამ ჩვენს მეზობლად არ დამკვიდრებულა ნორმალური მდგომარეობა, საქართველო არ არის და არც შეიძლება იყოს დაზღვეული გარეშე ხიფათისაგან.

ამიტომ თავდაცვის საქმე არის და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი საგანი.

დამფუძნებელი კრების და მთავრობის დანიშნულება არის იხმაროს ყოველი ღონე თავდაცვის საქმის ჯეროვნად მოსაწყობათ, მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა თვით ხალხმაც გამოიჩინოს დროის შესაფერი სიფხიზლე და გამჭრიახობა, მანაც აამოქმედოს მთელი თავისი ცოცხალი ძალები, მანაც დაანახვოს მტერსა და მოყვარეს საქმით, რომ ის არ იშურებს არასფერს თავისუფალ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ერთი ასეთი საქმე არის რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შე-

ქმნა, რომლის თავდაზღვევს შეუდგა მთავარი გამგეობა, შემდგარი ყველა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების, ერობათა, ქალაქთა, პროფესიულ და კოოპერატიულ კავშირთა ცენტრალურ დაწესებულებათა, დედა ქალაქის გამგეობის და ვაჭრობა-მრეწველობის პალატის წარმომადგენელთაგან.

მთავარ გამგეობის შემადგენლობა თავის თავად ცხადყოფს, რომ საქმე, რომელიც უკისრნია გამგეობას არის უაღრესად ეროვნული და უდაო. როცა კითხვა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნას ეხება ქართველი ერი, საქართველოს ხალხი ცოცხალი ორგანიზმია, ალტყინებული ერთი გრძნობით და გამსჭვალული შეუდრეკელი ნებისყოფით.

აქედან, თავდაცვის ფონდის შექმნაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველამ: დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მდიდარმა და ღარიბმა.

თავდაცვის ფონდი უნდა შესდგეს ხორბლეულობისა და ხვჭვ სასოფლო ნაწარმოებისა, ნივთიულობისა და ფულისაგან.

ყველამ თავის ხელობის და სოციალურ მდგომარეობის შესაფერისი წვლილი უნდა ვაიდოს: გლეხმა პური, სიმინდი, ქერი, მატყლი და სხ. მუშამ და მოსამსახურემ თავის შრომის ხელფასის ერთი ნაწილი, მდიდარმა ნივთიულობა და ფული.

განსაკუთრებულია ქალების მოვალეობა. ისინი ღირსი არ იქნებოდნენ სანშობლოსათვის წამებულ მათი წინაპრებისა, რომ დაეშურათ მათ მიერ სამკაულად ხმარებული ერთი რომელიმე ძვირფასი ნივთი საერთო სამსხვერპლოზე მისატანად.

საქართველოს ხალხო!

გახსოვდეს, რომ შენ სდგებარ შენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საბოლოო ჩამოყალიბების უკანასკნელ საფეხურზე: კიდევ ერთი ნაბიჯი და შენ შეხვალ თავისუფალ ერთა ოჯახში სწორუფლებიან წევრად. შენი საგმირო საქმეები იპყრობს ევროპის სახელმწიფოთა ყურადღებას, საერთაშორისო დემოკრატია აქტიურად თანაუგრძნობს შენს დამოუკიდებელ არსებობას. სამი წლის შენი ქაპანწყვეტა, სასტიკი ბრძოლა და უზომო მსხვერპლი საცაა შენის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

შენ ყოველთვის ეყრდნობოდი შენს მაჯას, შენს მახვილ გონებას, შენს გამჭვირვებობას. დემოკრატია, მშრომელი მასსა ვერ დაეყრდნობა სხვის იმედებს, და ის ხომ შენი პირმოა—მეზათრახტრე.

ერის უფლება გულისხმობს ერის მოვალეობასაც, — და ეს კი გიკარნახებს შენ იქონიო მუდმივ მხრუნველობა შენი თავისუფლების მთელი შენ არსებობით დაცვისათვის. შენ ყოველ წუთს მზად უნდა იყო მყარად გასცე შესაფერი პასუხი ყოველს შენს კარზე მომდგარ საერთაშორისო გართულებას.

თავდაცვის ფონდი მკვეთრი იარაღია შენს ხელში. შენ არასდროს არ დაუშვებ, რომ შენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარეშე ტლანქმა ძალამ ფეხქვეშ გასთელოს, არც იმას დაუშვებ, რომ შენი ჯარი და გვარდია, როცა ისინი სიცოცხლეს არ იშურებენ შენი ბედნიერებისათვის მშიერი, შიშველი, და წყლულ-შეუხვეველი დარჩეს.

სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ხალხი ჭაწურჩველად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა პირნათლათ შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე, — რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა ამიერიდან იწყებს თავის მოქმედებას.

მთავარი გამგეობა გახსნის ადგილობრივ განყოფილებებს შიგნით რესპუბლიკაში, დაუგზავნის მათ ინსტრუქციებს გაუწევს მათს მუშაობას, ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მისამართი: ჟოსტით — ტფალისი, სასახლე, თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა; ტელეგრაფით — თავდაცვის ფონდი.

რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი სილ. ჯიბლაძე.

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ლასხიშვილი.

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ლეო შენგელაია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე სპირიდონ კელია.

საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გრიგოლ ვეშაპელი.

სომეხთა სარევოლიუციო პარტია დაშნაკუთიუნის საქართველოს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ტიგრან ავეტიანი.

საქართველოს ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ნიკო ელიავა

საქართველოს ერობათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ისიდორე სტურუა.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სეით დევდარიანი.

საქართველოს კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარეს მაგიერ ე. დარჩია.

ტფილისის ქალაქის გამგეობის თავმჯდომარე ბენია ჩხიკვიშვილი.

საეკრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დიმიტრი აფხაზი.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ხერგო უორუოლიანი.

თემი და მისი მოვალეობა.

II

როდესაც ვინმე სახლს აშენებს, ის მკვიდრ, კარგათ გამოძვარ აგურს არჩევს, იცის, რომ თუ აგური მტკიცეა, შენობაც მტკიცე იქნება. როდესაც სოფლის მუშა ხის სახლს აშენებს, კედლები თუნდა წიფელისაც იყოს, საძირკველი უსათუოთ მუხა უნდა იქნეს, ან სხვა რომელიმე გამძლე ხე.

იცის, რომ მუხა დიდხანსა სძლებს და მაშ შენობაც მკვიდრი იქნება.

თემი აგურია იმ შენობისა, რომელსაც დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება.

ამიტომ საჭიროა, რომ თემი იყოს მტკიცე, მაგარი, მკვიდრი და ჯანსაღი.

ერთ ერთ წერილში, როცა თემის საქმიანობაზე ვლაპარაკობდი, სხვათა შორის სისუფთავეზე ჩამოვაგდე სიტყვა.

მოყვარეს პირში უზრახე, მტერს ზურგს უკანაო, ნათქვამია.

ბინძური ხალხი ვართ, რაც მართალია, მართალია. სისუფთავე არ გვიყვარს.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე დამივლია და სისუფთავე რომ სადღე ჰყვარებოდეთ, არ მინახავს. ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამცხრელო, რაჭა ამ მხრივ ერთნაირსა და მეტათ სამწუხარო სურათს წარმოადგენს.

განსხვავება თუ არის, მხოლოდ გარეგნული..

იმერეთსა და გურია—სამეგრელოში მაგალითად გარეგნულ სისუფთავეს მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ქართლ-კახეთში. საზოგადოთ: უფრო სუფთათ ჩაიცვან ზედა ტანისამოსს, სუფთა ლოგინში ჩაგაწვენენ, სუფთა სუფრას გაგიშლინ. შიგნით ტანზე კი ერთნაირათ უსუფთაოა ყველა.

ჩვენს სოფლებში ხშირია ისეთი მოხუცი, რომელსაც თავის სი ცოცხლეში ერთხელაც აბანოში ტანი არ დაუბანია.

ისე გაივლის რამდენიე თვე, რომ ჩვენი სოფლის ადამიანი თუხს არ დაიბანს და წინდებს არ გაირეცხავს. საცვლები ხომ ბევრს ისე შეამოაღებება ტანზე, რომ გარეცხვა არ ეღირსება.

ერთათ ერთი, რაც იციან ჩვენში,—ეს არის თავის დაბანა. შობა-აღდგომის კვირეში.

თავს გარდა თუ მთელ ტანსაც სჭირდება დაბანა საპნითა და თბილი წყლით თუ ყოველ კვირაში არა, კვირეში ერთხელ მაინც, ეს არავის აზრათ არ მოსდის.

სისუფთავის მოთხოვნილება არა აქვს ჯერ ჩვენს სოფელს, საკუთარი ქუჩები არ აწუხებს, თორემ, რომ აწუხებდეს, დროსაც იშოვნის და საპონსაც იმის მოსაშორებლათ.

რისი შეწუხება, — სიბინძურეს იმდენათ მიჩვეულია ჩვენი ხალხი, რომ წამლათაც კი ხმარობს: ძაღლის განავალი სოფელში პირველი წამალია, ცხენის ჩონჩორიკი წამალია, აბლაბუდა წამალია, მქიარტლი წამალია.

ჯავახელს ხომ ნებში სძინავს, ნებში სადილობს და ნებზედვე ამზადებს საქქელს..

რომა ჰკითხოთ, — ჩვენში შეუა არ არის და ცივი ზამთარი იცისო! იმის გვერდით კი ღუხაბორებს შეშაცა აქვთ, სუფთა ოთახიც, არცა სცივათ და არც ნებში სძინავთ!

ღუხაბორებს სოფლებში აქვთ აბანო, ჩვენში კი არა თუ სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში ვერ ნახავთ ყველგან აბანოს.

თემის გამგეობამ უსათუოთ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ამ საშინელ ნაკლს ჩვენი ხალხისას.

რამდენი ოჯახი გააუბედურა ჩვენში პარტახტიანმა სახაღმა, რამდენ ოჯახს გამოაცალა მარჩენალი, რამდენი ახალგაზრდა გამოასალმა წუთისოფელს!

იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი სუფთათა ცხოვრობს, პარტახტიანი ტიფი ფებს ველარ იკიდებს.

სოფლის გასაჯანსაღებლათ მარტო პირადი სისუფთავე არ კმარა, — საჭიროა საზოგადო სისუფთავეც.

აღამიანი რომ თავს სუფთათ ინახავდეს, სახლი, ეზო და ქუჩა ნავითა ჰქონდეს სავსე, რა გამოვიდა! მაინც მსხვერპლი გახდება სხვა და სხვა სენისა.

ბოლერას მაგალითათ საშინლათ ავრცელებენ ბუზები. ბუზები კი სწორეთ სიბინძურეს ეტანებიან და იქ მრავლდებიან, სადაც სიბინძურეა.

თუ ეზოში ბკი, ბოსელი, საქათმე, საღორე სუფთათ ინახება, ბუზიც ნაკლებათ იქნება.

ქართლ-კახეთისა და რაჭის ზოგიერთი სოფელი (გლალა, ქიორა, დიბი) ამ მხრივ საშინელ სურათს წარმოადგენს.

ასე გეგონებათ, სახლები სიბინძურეზე ამოსულანო.

განსაკუთრებით ზაფხულობით ისეთი სუნია გამდგარი, რომ მიუჩვეველი ადამიანისათვის ნამდვილი ჯოჯოხეთია.

მერე ხშირათ შუა სოფელში ჩამოდის წყალი და იძენიცი ვერ მოუხერხებიათ, რომ წყალს მაინც გაარეცხინონ თავისი კარმიდაჰო.

ჩვენი სოფელი უნდა გაიწმინდოს სიბინძურისაგან და ეს არის პირდაპირ თემის მოვალეობა.

ორი სენია, რომლებიც ჩვენ ხალხს პირდაპირ მუსრს ავლებენ, ესენია — დაძაბალი ციება და ქლექი.

ასეთ მტერთან ბრძოლა მთავრობის საქმეა, შემდეგ სამაზრო ერობის.

დღეს დღეობით მთავრობას იმდენი საქმე აქვს, რომ ყველაფერს დროზე ვერ გაწვდება.

ამის გარდა მთელს რესპუბლიკაში ან მთელს მაზრაში ბრძოლა ამა თუ იმ სენთან გაცილებით უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე ერთ თემში.

თემა არ უნდა უცადოს არც მთავრობას, არც სამაზრო ერობას და თვითონ თავისი საკუთარი ძალ-ღონით შეუდგეს ბრძოლას ორივე ამ სენთან.

ყოველი თემი უნდა ცდილობდეს, თავისი პარტია სამთავრო გააჯანსაღოს და არ ელოდოს, აი მთავრობა ჩვენთვისაც მოიცილოს და გაგვიკეცება ყველაფერსო.

დამპალ ციებას ავრცელებს კოლო, — კოლოს კი ამჟღავნებს ქაობი. ამიტომ თემა უნდა იზრუნოს თავის ქაობების ამოშრობისათვის.

დიდ ქაობებს თემი ვერას დააკლებს, — მათი ამოშრობა დიდ დროსა და თანხას ითხოვს. ეს მთავრობას შეუძლია მხოლოდ.

პარტია ქაობის ამოშრობა კი შედარებით ადვილად თემს შეუძლია ეს თავისი საკუთარი ძალ-ღონით მთავრობის დაუხმარებლათ.

ჩვენი დრო არის ხანა საზოგადო საქმიანობისთვის, თვითმოქმედებისათვის. ჩვენი ხალხი კი ძველი წყობილების წყალობით ამას მიჩვეული არ არის.

თემა უნდა მიაჩვიოს, ძალა დაატანოს, შეაგნებოს ხალხს, რომ სასოფლო საქმე იმდენათვე საჭიროა და მნიშვნელოვანი, როგორც საკუთარი.

თავიდა-თავი მნიშვნელობა დამპალ ციებასთან ბრძოლაში ქინაქინასა აქვს.

ყველგან, სადაც კი მალარია განსაკუთრებით მძვინვარებს, საჭიროა მცხოვრებთა გაძღობა ქინაქინით.

ქინაქინას მარილივით უნდა ხმარობდეს ხალხი ყოველ დღე. ამისათვის კი საჭიროა, რომ ეს წაშალი ხალხს ეძლეოდეს ან სრულებით უფასოთ, ან დაკლებულ ფასებში.

დღეს ქინაქინა იმდენათ ძვირათ ფასობს ბაზარზე, რომ მისი არა თუ უფასოთ დარიგება, ფასით შეძენაც კი მეტათ ძნელია.

ამიტომაც არის, რომ წელს საშინლათ მძვინვარებს ჩვენში დამპალი ციება და განსაკუთრებით ბევრია ყველგან ციებ-ცხელებიანი ავადმყოფი.

დღევანდელს პირობებში მთავრობას არ შეუძლია, რესპუბლიკის მცხოვრებთ ქინაქინა ურიგოს. ხოლო ჯანმრთელობის დეპარტამენტმა უსათუოთ უნდა. მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და იზრუნოს ქინაქინის შესაძენათ.

დღეს ქინაქინა სპეკულანტების ხელშია. მისხალი ქინაქინა ბაზარ-

ზე უკვე ოცდაათთუთნამდე ფასობს და თუ ასე ვაგრძელებდა, დიდი ნაწილი ჩვენი ხალხისა სრულებით უმწეო შეიქნება მალარიის წინააღმდეგ და მისი მსხვერპლი გახდება.

რაც შეეხება ქლექს, ეს სენი ჩვენი ეროვნული უბედურებაა და სხვა და სხვა მიზეზისა გამო ჩვენში მეტათ გავრცელებულია. მის წინააღმდეგ კი კაცობრიობას გააჩნია თითქმის იგივე საშუალებანი, რასაც მიპართავდნენ ამ სამიათასი წლის წინეთ გამოჩენილი ექიმები; ეს საშუალებაა — მზე ჰეარი და საკმელი

არ არის არც ერთი წაპალი, რომელიც ქლექზე რაიმე პირდაპირ გავლენას ახდენდეს. ქლექიანს უნდა მისცეთ სუფთა ჰაერი, მოსვენება და კარგი საზრდო.

ასეთს პირობებში ის ხშირათ რჩება. ქლექიანი საფრთხეს წარმოადგენს მარტო საკუთარი ოჯახისათვის კი არა, მთელი მეზობლობისათვის, მთელი სოფლისათვის. ის მოდის სტუმრათ, შედის მეზობლებთან, ეკლესიაში, აფურთხებს ყველგან და ამგვარათ ქლექის ბაცილებს ამრავლებს. ამიტომ თავისი ქლექიანისათვის მარტო ოჯახმა კი არ უნდა იზრუნოს, არამედ მთელმა სოფელმა.

ყოველ თემს უნდა ჰქონდეს პატარა საავადმყოფო საკუთარი ქლექიანებისათვის. აქას დასჭირდება რამოდენიმე სუფთა, დიდი და ნათელი ოთახი.

მთელი თემის ქლექიანები აქ უნდა იყვნენ მოთავსებული და აქ უნდა ჰქონდეთ მათ შესაფერი პოულა და წამლობა.

თემის მხრივ ამას უნდა მხოლოდ შენობა და რამოდენიმე მოსამსახურე. ლოგინს, ქვეშ საგებს, საცვლებს, საკმელს თვითონ ავათმყოფი მოიტანს. ექიმი ერობისა იქნება.

მართალია, იქნებიან ისეთი ავათყოფლებიც, რომლებიც სიღარიბისა გამო ოჯახიდან ვერ მიიღებენ შესაფერ საზრდოს, მაგრამ საშუალო რიცხვით თვითეულ თემში ასეთი ცოტა იქნება. ყოველ შემთხვევაში ეს საქმე მეტათ დიდია, შესრულება ადვილია და დიდ ხარჯს არ ითხოვს. საქაროა მხოლოდ სურვილი და მტკიცე გარდაწყვეტილება.

შეიძლება ვინმე თქვას: ქლექიან ბრძოლა და ამ ბრძოლის მოწყობა მთავრობის მოვალეობააო.

სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ მთავრობას ამისათვის არც დრო აქვს, არც თანხა.

მთავრობის მიერ ქლექთან ბრძოლა მეტათ დიდი საქმეა. თემის ხელში კი ეს ბრძოლა პატარა საქმეა.

თემი თუ აარსებს ბიბლიოთეკას, სახალხო სახლს, ხსნის სკოლას, განა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქლექიანთათვის თავშესაფარს? ქლექიანთა განცალკევება, გამოყოფა აუცილებელია როგორც პირადათ მათთვის, ისე სხვებისათვის.

რაკი თავშესაფარზე ჩამოვარდა სიტყვა, არის სხვა გვარი თავშესაფარიც: ქვრივ-ობოლთა, ლატაკთა, მათხოვართა და უპატრონო მოხუცთათვის.

სოფლათ ზოგან მოიპოვებიან ისეთი ქვრივ-ობოლი და მოხუცებუ-ლი, რომლებსაც შრომა, მუშაობა არ შეუძლიათ. მომვლელი და მარჩენალი კი არა ჰყავთ.

დიდი სირცხვილია, როდესაც სოფელი ყურს არ უგდებს და არა პატრონობს ასეთ უბედურებს.

567

მათი რიცხვი რომ ბევრი იყოს, მაშინ კიდევ ექნებოდა სოფელს სათქმელი და გასამართლებელი, მაგრამ საბედნიეროთ მათი რიცხვი მცირეა და რამოდენიმე თემს ერთათ შეუძლია ააგოს თავშესაფარი და ასეთ პირებს ბინა და საზრდო გაუზიანოს.

სულ უბრალოა ჩამოთვლა იმისი, თუ რა აკლია ჩვენს სოფელს და რისი გაკეთება შეუძლია თემს, გვიმტკიცებს, რომ თემს ძალიან ბევრი და დიდი საქმე აქვს.

ყოველგვარი საქმე თანხას ითხოვს. თემის ერთათ ერთი წყარო შემოსავლისა არის გადასახადი. საკანცულარიო ხარჯი დასჭირდება თემის გამგეობას, — გადასახადი; მილიციონერის ჯამაგირი დასჭირდება, გადასახადი; ერთის სიტყვით — გადასახადი მხოლოდ გადასახადი.

თუ ასე გაგრძელდა, თემის თვითმართველობა ხალხს შესძულდება ქირივით. ცუდია ის თვითმართველობა, რომელიც მარტო გადასახადებზე იქნება დაყრდნობილი.

თემი იქნება, მაზრის ერობა, ქალაქის თვითმართველობა თუ თვით მთელი მთავრობა. სულ ერთია: მას უნდა ჰქონდეს რაიმე წყარო შემოსავლისა გადასახადს გარდა და ეს წყარო უნდა იყოს ბევრათ უფრო მძლავრი და მნიშვნელოვანი, ვიდრე გადასახადი.

დღეს კი ჩვენი თემი მეტათ უმწეო მდგომარეობაშია. მან უნდა შექმნას, უნდა გაიზიანოს რაიმე წარმოება, რომამით მოიპოვოს თანხა და

გააკეთოს, რამე, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა გაუმართლებელი დარჩება და ხალხს უქმ და მძიმე ტვირთად დააწეება კისერზე.

ბევრგან თემი ცდილობს ამ გზაზე ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ზოგჯერ მაზრის ერობა ელობება წინ. თემს აქვს მაკალითათ პატარა აბანო, გოგირდის ან მყავე წყალი; აქვს ამათ მხოლოდ ადვილობრივი მნიშვნელობა. თემს უნდა, წარმოება დაიწყოს, რომ რაიმე წყარო გაიჩინოს. მაზრის ერობა ეუბნება: ვერ მოგცემ ნებას, იქნება მე ვაწარმოვო ეგ საქმეო.

მესმის, — მთელი მაზრის ინტერესი მალლა დგას თემის ინტერესზე, მაგრამ თემსაცა აქვს თავისი ფარგალი და თუ გვინდა, რომ ამ პატარა ფარგალშიც მას დამბლა არ დამართოს, უსათუოთ უნდა შევეუწყოთ ხელი ყოველის მხრივ, რომ მან სამოქმედო ფრთები გაშალოს. ამისათვის კი აუცილებელია წყაროები შემოსავლისა.

მაზრის ერობა მართა იმაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, რომ თვითონ გაიჩინოს შემოსავალი გადასახადს გარეშე, ყოველ თემს უნდა შეუწყოს ხელი და შეაძლებინოს ფეხზე დადგომა, მოლონიერება და, რაც შეიძლება, დამოუკიდებლათ არსებობა.

ივ. გამართელი.

სენაკის მაზრის ცხოვრებიდან.

ახალი სახელმწიფოს აშენება ახალ საფუძველზე-ეს მეტად რთული პროცესია და მხოლოდ „ობივატელურ“ პსიქოლოგიით გამსჭვალულ პიროვნებას შეუძლია დღეს მიმართოს უსაფუძვლო საყვედურით საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეებს იმის გამო, რომ ყველგან ყველაფერი თავის რიგზე არ არის.

მაგრამ ეს არც იმის უფლებას გვაძლევს, რომ ვიმოქმედოთ ბრმათ, ვიაროთ თვალახვეული, ყური უგდოთ ინსტიქტს და გავყვეთ სტიქიონს. თუ წინასწარ შემუშავებულ სისტემის ცხოვრებაში სრული გატარება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ამის ტენდენცია მუდამ უნდა წითელი ხაზივით ტარდებოდეს ყოველ ნაბიჯში, აღმშენებელის ყოველ მოქმედებაში.

მე არ შევეხები იმას, თუ რამდენათ ემჩნევა ეს ტენდენცია სხვადასხვა დაწესებულებების მოღვაწეობას, მხოლოდ თამამად შემიძლია

აღვიარო, რომ სენაკის სამაზრო ერობის მოქმედებაში თავიდანვე გამოსჭვივის ეს საღი დებულება. მართალია მასაც აქვს ბევრი შეცდომა, ბევრი ნაკლი, როქელიც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ ერობის ხელმძღვანელნი ცდილობენ დააღწიონ თავი პრიმიტიულ, აღმშენებლობის და ფართე შემოქმედებითი, ორგანიზაციული მუშაობა აწარმოონ:

შემოქმედებით მუშაობაზე-კი მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ყოველმხრივ გაშუქებულია მოქმედების ობიექტი, აწონ-დაწონილია საამშენებლო მასალა, გამოკვლეულია, როგორც მომქმედ, ისე პოტენციალურ ენერჯის სიმდიდრე, გადაშლილია ის პირობები, რომელშიაც მიმდინარეობს თვით პროცესი მუშაობისა და სხვა. სამუშაოდ, ამ მხრით, ჩვენ მეტად ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენი სინამდვილე-ხელ-უხლებელი ტყეა, ადამიანის თვალისაგან შავი რიღეთი დაფარული. ყოველი კვლევა-ძიებანი ვერ განშორდენ ამ ტყის გარშემო ტრიალს ან ოდნავ მასში შესვლას. მისი შუაგული ჩვენთვის ჯერ იღუმალია, ჯადოსნური. ჩვენი დასკვნანი საქართველოს ცხოვრების მიმდინარეობაზე, ევოლიუციაზე უფრო დამყარებულია სხვა ქვეყნების, სხვა სახელმწიფოთა შესწავლაზე და ანალოგიის გატარებაზე, ვიდრე ჩვენი ვინაობის ღრმა შემეცნებაზე.

არსებული მასალები, რომელთაც ხელმძღვანელობდენ წარსულში (მაგ. გადასახადთა ინსპექციის ცნობები, საოჯახო სიები და სხვა) მეტად დაბალ ღირსებისა არიან და მითი სარგებლობა დღეს, რასაკვირველია, შეუძლებელია, ის მასალა-კი, რომელსაც აქვს ცოტაოდენი ღირებულება, რომელსაც შეუძლია საერთო წარმოდგენა მაინც გადაგვიშალოს ამა თუ იმ კუთხის მდგომარეობაზე, დაუმუშავებელია იმ მასშტაბით, რომელიც საჭიროა დღევანდელ პირობებში (მაგ. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა) დამუშავებული ნაწილი-კი ჯერ ვერ ეღირსა მზის ხილვას.

ამ მდგომარეობამ აიძულა ზოგიერთი ერობები დამოუკიდებლად ეწარმოებიათ კვლევა-ძიება ამა თუ იმ დარგში მიუხედავად იმისა, რომ კარგად გრძნობდენ, რომ ამ შემთხვევაში იჭრებოდა სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში. ერთი ნაბიჯი გადასდგა, სხვათა შორის სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამაც, როდესაც 1920 წლის აპრილის რიცხვებში გადასწყვიტა მოეხდინა შემოკლებითი საკომლო აღწერა მაზრის ფარგალში.

ბევრი ნაკლი აქვს ამ აღწერას, როგორც მის გეგმაში, ისე ორგა-

ნიზაციაში, მაგრამ საშუალო რიცხვებში ის იძლევა იმდენათ დამახასიათებელ და საგულისხმო დასკვნებს, რომ არ შეგიძლია მას გვერდი აუარო და ანგარიში არ გაუწიო, არ ჩაუფიქრდე. რასაკვირველია, არც ეს აღწერა წარმოადგენს ღრმა მეცნიერულ ანალიზს; ისიც ვიწრო და მოკლე ბილიკია, მაგრამ გაცილებით მეტი ღირებულებისა, ვიდრე მისი წინამორბედნი, რადგან თუ ყოველ კუნჭულს შუქსა არ ჰფენს, მაზრის საერთო კონფიგურაციას მაინც გვიშლის.

ჯერ ამ მასალის დამუშავება ერობის სტატისტიკურ განყოფილებას არ დაუსრულებია, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, რომ ის ნედლი მასალა, რომელიც გროვდება თან-და-თან, გაუზიაროთ ფართე საზოგადოებას იმ იმედით, რომ რომელიმე პრაქტიკული მოღვაწე და საქართველოს შემსწავლელი ამას თუ იმ მიზნით მას გამოაყენებს, რადგან ამ ბოლო ხანებში მეტად გაიზარდა მოთხოვნილება ყოველ გვარ სტატისტიკურ მასალისადმი.

1. მოსახლეობა.

სენაკის მაზრის ჩვეულებრივი მოსახლეობის რაოდენობა (общее население) აღნიშნულ აღწერით უდრის 24.003 კომლს, რომელნიც შეიცავენ 120.632 სულს.

თუ ვიხელმძღვანელებთ 1917 წლის აღწერით, საქართველოს სასოფლო მოსახლეობას შეადგენს 1855.039 სული, რომელთან შეფარდებით სენაკის მაზრაში მოსახლეობს 6,5% საქართველოს მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან კი 5,8%.

1897 წელთან შედარებით ჩვენ ვხედავთ თვალსაჩინო ზრდას კომლთა რიცხვისა:

	კომლთა რიცხვი	მცხოვრებნი
1897 წ.	19.671	107.191
1917 წ.	21.776 + 2105	120.000 + 12809
1926 წ.	24.003 + 2227	120.632 + 632
	<hr/>	<hr/>
	+ 4332 ან 22 ⁰ / ₁₀₀	+ 13441 ან 12,5 ⁰ / ₁₀₀

თუ ეს ზრდა 1917 წლამდე შესაძლებელია ჩაითვალოს ნორმალურათ და აიხსნას ხალხის გამრავლებით, რასაც ამტკიცებს კომლთა და მცხოვრებთა ასე თუ ისე პროპორციონალური შიშობა, 1917 და 1920

წლებთა შორის, სხანს, ყოფილა განსაკუთრებით მიზეზი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ამ სფეროში და საგრძნობლად სწრაფი ტემპი მისცა ამ პროცესს.

უნ და ვითიქროთ, რომ ასეთი გავლენა მოახდინა საადგილო-მამულო რეფორმამ, რომელიც იშვა და ვითარდება სწორედ ამხნის განმავლობაში. 1917 წლის 7 მარტის კანონის ძალით რეფორმის ძირითად ერთეულს წარმოადგენს კომლი, თვითმომქმედი, დამოუკიდებელი მეურნეობა. ჩამორთმევის დროს ნორჩას უტოვებენ ოჯახს. კომლს, — და განაწილების დროს მიწა ეძლევა აგრეთვე მას, ვისაც აქვს საკუთარი კერა, თავისი მეურნეობა, თავისი ოჯახი.

ამ გარემოებამ არსებულ მიწის სივიწროვით დამშეულ ხალხს დიდი იმედები აღუძრა, ფართე პერსპექტივები გადუშალა. იწყება პროცესი ხელოვნურ დაქსაქსვისა, გამოყოფისა. სხვათრივ ძნელია ახსნა იმ საოცარ მოვლენისა, რომელიც გამოიხატება კომლთა რაოდენობის გადიდებაში 10,2% იმ დროს, როდესაც მცხოვრებნი გამრავლებულან მხოლოდ 0,5%-ით.

თავის თავად ცხადია, რომ ძნელია ჯერ-ჯერობით მსჯელობა საადგილო-მამულო რეფორმის შედეგებზე, ზეგავლენაზე, ვინაიდან არ დასრულებულა მისი გატარება; მაგრამ ზემოაღნიშნული მოვლენა იმდენათ თვალსაჩინოა, მკაფიოა, ნათელი ამ ღარიბ მასალის ფონზედაც, რომ არ შეიძლება მას გვერდი აუარო.

საერთოდ, მოსახლეობის გამრავლება, როგორც ზემოთ ცხრილიდან დავინახეთ, უდრის 22 წლის განმავლობაში 13.441 ან 12,5% ე. ი. წლიური ზრდა = 0,5% დაახლოვებით.

თუ 1897 წ. ერთ ოთხკ. ვერსზე მოდიოდა 76,17 სული, 1920 წელს ეს რიცხვი აღის 80,26 — მდის, — ანგვარად, ამ სივრცეს მომატებია 4,09 სული.

სქესობრივი შემადგენლობა მაზრის მოსახლეობისა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: მამრ. სქ. = 61.533 ს. ან 51%, დედრ. სქ. = 59.099 ს. ან 49%, ე. ი. 100 მამაკაცზე მოდის 96 დედ, — დაახლოვებით იმდენი, რამდენიც მოდიოდა 1897 წ. (94).

აღწერის დროს მაზრა დაყოფილი იყო 33 თემად, რომელნიც შეიცავდენ 157 სოფელს. ვამბობ — აღწერის დროს — რადგან არც აღწერამდის, არც დღეს, როდესაც დაშორებული ვართ აღწერის დღიდან მხოლოდ 6—7 თვით, ეს ციფრი უკვე სავსებით არ შეეფერება სინამ-

დვილეს—ახლო მომავალში—კი შეიძლება ანაქრონობით ვახდეს. აიხსნება ეს გარემოება იმ საგულისხმო პროცესით, რომელსაც ადგილი აქვს სენაკის მაზრაში, —სახელდობრ ძველი საადმინისტრაციო ერთეულების ფარგლების მასსიურ სტიქიურ დარღვევით და ახალ დამოუკიდებელ წვრილ ცენტრების შექმნით ან არსებულ ფარგლებში სოფლების და ხშირად საგვარეულო კუთხეების გადაჯგუფებით.

•1917 წელს იყო 24 საზოგადოება, რომელიც შეიცავდა 131 სოფელს.

დღეს თემთა რიცხვი (თემი შემოღების უდრის უდროდა საზოგადოებას) ავიდა 33-მდის და მათში შედის 157 სოფელი. ე. ი. 2—3 წლის განმავლობაში შობილა 9 დამოუკიდებელი საადმინისტრაციო ერთეული და დღესაც საერობო გამგეობის მაგიდაზე არა ერთი და ორი შუადგომლობა არის სხვა და სხვა კუთხეებიდან თანაბარ ხასიათისა.

აღსანიშნავია, რომ გამოყოფის, სეპარატის ტენდენციით არიან შეპყრობილნი არა მხოლოდ მსხვილი ერთეულები, არამედ შედარებით წვრილებიც, მაგ. წყემის თემი—ერთი სოფლისაგან შემდგარი—განისაზღვრება 797 სულით ან 162 კომლით, სუჯუნის თემი აგრეთვე ერთი დაბისაგან შესდგება და მასში მოსახლეობს 130 კომლი, რომელშიაც ირიცხება 756 სული და სხვა.

სახალხო მმართველობის თვალსაზრისით შესაძლებელია ეს მოვლენა სასიამოვნოც იყოს, მაგრამ თანამედროვე ეკონომიურ და ფინანსიურ პირობებში არ ვფიქრობ, რომ ასეთი დაწვრილმანება, დაქსაქსვა მიზანშეწონილი იყოს. როდესაც ამუშავდება მთელი თავისი ენერგიით გადასახადთა ამკრეფი მანქანა, საექვოა, სხვა მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, ასეთ პარცელიარულ თემმა სახელმწიფო რა ფართე საერობო გადასახადების გადახდასთან ერთად შესძლოს სათემო ხარჯების ტვირთის ატანაც.

მაგრამ, მეორე მხრით, შეუძლებელია ამ მოვლენას ანგარიში არ გაუწიოს მოღვაწემ, ვინაიდან ეს სტიქიური პროცესი ამტკიცებს, თუ რამდენათ ხელოვნურია არსებული ერთეულების ფარგლები, რამდენათ მომწიფებულია დრო მათი გადამიჯვნისა, გადაჯგუფებისა. რამდენათ დაყოვნდება ამ საკითხის მოგვარება, იმდენათ გაღრმავდება პროცესი მაზრის დაქუცმაცებისა და ვერავითარი ძალა მას ვერ შეაჩერებს. თუ

როგორ გაძნელდება შემდეგ ორგანიზაციულ გადამიჯვნის გატარება, ეს ყოველ პრაქტიკულ მოღვაწისათვის ნათელია.

თვალსაზრისით ფიგურას სენაკის მაზრის წვრილ ერთეულების დასასურათებელათ წარმოადგენს პირაპირდას, აგებული სწორე კუთხებიდან, რომლის ფუძე შეიცავს თემს 7388 სულით ან 1506 კომლით (კვათანისით), წვერო-კი—თემს 756 სულით ან 162 კომლით (და სუჯუნის თემი). პირველი თითქმის ათჯერ აღემატება უკანასკნელს.

ზედმეტი არ იქნება, ვფიქრობ, რომ მოვიყვანო აქ უფრო, დაწვრილებითი ცნობები თემთა მოსახლეობის შესახებ:

№ რიგზე	თ ე მ ე ბ ი .	სოფ. რაოდ.	კომლთა რიცხვი	მ ც ხ ო ვ რ ე ბ ნ ი		
				მ.	დ.	ორ. სქ.
1	დ. სუჯუნის	1	139	389	367	756
2	წყვის	1	162	411	386	797
3	ქვემო-ქალაიდის	5	232	573	516	1089
4	ზემო-ქალაიდის	3	281	741	622	1363
5	ლუძაძამეს	4	319	772	775	1547
6	სეფიეთის	1	313	819	843	1662
7	გეჯეთის	1	368	941	907	1848
8	თეშათათის	1	370	988	932	1920
9	ონტოფოს	2	415	1074	1038	2112
10	კურზუს	5	423	1167	1116	2283
11	ქოლოზანის	5	531	1263	1231	2494
12	აბაშის	2	502	1307	1320	2627
13	ნახუნოვის	5	541	1318	1353	2671
14	ეკის	5	585	1453	1327	2780
15	ნოქალაქევის	2	604	1524	1394	2918
16	ფოცხოს	4	637	1593	1554	3147

№ რიგზე	თ ე მ ე ბ ი .	სოფ. რაოდ.	კომლითა რიცხვი	მ ც ხ ო ვ რ ე ბ ნ ი		
				მ.	დ.	ორ. სქ.
17	ქველი-სენაკის	6	613	1663	1529	3192
18	ნოსირის	1	711	1741	1744	3485
19	ჯოლო-აძელათის	2	766	1938	1806	3744
20	სამიქაოს	3	777	1983	1948	3931
21	კინის	7	811	2151	2032	4183
22	ნაესაკოვოს	8	944	2294	2121	4415
23	თამაკონის	4	890	2355	2282	4637
24	მარტვილის	6	1059	2691	2621	5312
25	მორანის	7	1110	2708	2757	5465
26	ბანძის	6	1098	2900	2853	5753
27	ს. სუჯუნის	7	1216	2947	2882	5829
28	კინჩხის	9	1132	3139	2725	5864
29	სალხინოს	11	1113	2972	2893	5865
30	ნაევაზავოს	8	1160	3102	2949	6051
31	ლახინდროოს	4	1231	3301	3159	6459
32	თეკლათის	12	1444	3566	3479	7045
33	კვათანის	9	1506	3749	3639	7388
მაზრაში		157	24003	61533	59099	120632

როგორც ხედავთ, თემები დალაგებული არიან, აღმავალ საფეხურით, რაც ნათელ ყოფს თემთა შორის არსებულ განსხვავებას. საშუალოდ, ერთ თემზე მოდის 727 კომლი ან 3655 სული. მერყეობის აბლიტუდა საშუალო ხაზიდან საგრძნობლად დიდია.

მდგომარეობა ამ მხრით ანომალურია და მისი ჯეროვან კალაპოტში ჩაყენება — მორიგი კითხვაა.

რაც შეეხება უფრო წვრილ ერთეულს-სოფელს, აქ კიდევ მეტი ქაოსი, მეტი არე-დარევა სუფევს. თვით მცნება სოფელი ბევრ ადგილას უკვე ამოიშალა ლექსიკონიდან: იცნობენ თემს, ძველ საზოგადოებას და იმ საგვარეულო კუთხეს, რომელშიდაც თვით სცხოვრობენ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღწერამ ჩვენ მოგვცა ერთი სია სოფლებისა, თემებმა ჩვენ შეკითხვაზე მოგვცეს მეორე სასოფლო სია, რომელიც ხშირად არ ეთანხმებოდა პირველს, როდესაც-კი ჩვენ მიღებული სიები შევადარეთ წარსულ, რევოლიუციამდე არსებულ სიას, მივიღეთ მესამე, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა თავისი საგანგებო სახელები სოფლებისა.

ამ გარემოებამ აიძულა ერობის გამგეობა დაევალებია ინსტრუქტორისათვის თემების შემოვლა სასოფლო ერთეულების გამოსარკვევათ, რასაც შედეგათ მოჰყვა დროებით 157 სოფლათ გაყოფა მაზრისა.

ეს დიდ საჭიროებას წარმოდგენს განსაკუთრებით გადასახადების განაწილებისათვის, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს პროექტით უკანასკნელის გაწესების დროს ძირითად ერთეულს შეადგენს სოფელი. არსებული გადასახადებიც ნაწილდება სოფელ-სოფლათ.

შევეხეთ-რა საადმინისტრაციო გადამიჯვნას, ბუნებრივად გვებადება კითხვა, თუ რას წარმოდგენს თემი და სოფელი ტერიტორიალურად, რამდენათ მჭიდროთ არის დასახლებული ხალხი; საუბედუროდ, ამ საგულისხმო კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი ხდება საჭირო ცნობების უქონლობის გამო.

რამოდენიმე სიტყვა კიდევ კომლის საშუალო შემადგენლობაზე.

მაზრის ფარგალში უკანასკნელი უდრის 5,03.

თუ შევადარეთ 1897 წელს, როდესაც საშუალო შემადგენლობა აღემატებოდა 5,7, დავინახავთ შემცირებას, რომელიც ისეთივე ტემპის არის, როგორც კომლთა გამრავლება აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში.

1897 წ. კომლის საშ. შემ.	= 5,74	} — 0,48
1917 წ. " " "	= 5,51	
1920 წ. " " "	= 5,03	} — 0,48

ნუ თუ ეს გრადაცია არ არის აგრეთვე მაჩვენებელი საადგილ-შამულო რეფორმის მოქმედებისა ოჯახურ სფეროში?! ვფიქრობ-კი.

მერყეობა ამ მხრით წვრილ ქრთეულებში მცირეა. Maximum-ი უდრის 6,15 (დ. სუჯუნა) და მინიმუმი—4,60 (ნავსაკოვას თ.) დ. სუჯუნის თემი შეიძლება ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენდეს, როგორც არა სასოფლო-სამეურნეო კუთხე, არამედ როგორც სავაჭრო პუნქტი, რომელიც იმყოფება სხვა სოციალ-ეკონომიურ პირობების ზეგავლენის ქვეშ. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ მის გარეშე maximum ი არ აღემატება 5,20 (აბაშის და ლეჩანიძის თ.).

ჩვენ დაუპირდაპირეთ ოჯახის შემადგენლობა ისეთ დიდ ეკონომიურ ფაქტორს. როგორც არის თანამედროვე პირობებში საქართველოსათვის მიწად-მფლობელობა, და მივიღეთ საყურადღებო დასკვნები. მაგრამ მას შევეხები მაშინ, როდესაც ლაპარაკი მექნება მიწად-მფლობელობაზე.

ეხლა-კი შევჩერდები იმ მოვლენის ზოგად დასურათებაზე, რომელიც მავნებელია ხალხის კულტურულ განვითარებისა, სულიერ სიმძლავრისა, — სახელდობრ წერა-კითხვის გავრცელებაზე. ამასვე შემდეგ-

ა. ოდიშელი.

დუშეთის მაზრის უმწეობა.

ახლახან დასრულდა დუშეთის მაზრის ერობის ხმოსანთა მეექვსე ყრილობა. მიუხედავად იმისა, რომ ერობის გამგეობა თვისი მოხსენებით სცდილობდა იმედებით აღევსო ხმოსანებთა გულს — საქმეების მოუწესრიგებლობამ მაინც მწარეთ ჩააფიქრა იგინი: დროს უქონლობის გამო შევჩერდები უმთავრესს მომენტზე... ესაა ერობის ბიუჯეტის განხილვა. მოხსენებიდან გაჟოიძკვა, რომ ერობას დეფიციტი მოუვა 60 მილიონზე მეტი. ეს გასაკაირველი არცაა. ერობას შემოსავლის წყარო თითქმის სრულიად არ მოეპოვება... ამოდენა ხარჯებს ვერ დაჰფარავენ ვერც სესხი და ვერც სხვა მისი მსგავსი ღონისძიებანი. ხმოსანების წინაშე წაპოიქრა საკითხი, თუ როგორ ეშველათ ამ საქმისთვის... ჩვენი ხმოსანები, საერთოდ ყველა მაზრებში შეუჩვეველი არიან საერობო საქმეებს და უმეტეს შემთხვევაში ყრილობებზე სდუშან. ახლა კი ამ კრიტიკულ მდგომარეობამ ენა ამოადგმევიანა და იწყეს სჯა,

თუ როგორ ეწველათ დავალიანებულ ერობისათვის... ცნობილია, რომ გლეხობა მიჩვეულია ზუზუა-წუწუნს და თვითვეულ კაპეიკის გადახდისას ერთ ალტ-ზაურს ასტეხს ხოლმე—ახლა ვეღარ იცნობოდა, იმ ზომად გულთადად მოეკიდა საკითხს. მან დიდი მოქალაქობრივი შეგნება გამოიჩინა და თავისით, სხვის უკარნახებლად გადასწყვიტა დააწეროს მაზრას ერთდროული საეროობო გადასახადი...

ხმონებმა კარგად იცოდნენ თუ რაოდენს მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა იგი—მაგრამ მაინც გადასდგეს ეს შიშვე წაბიჯი. დაადგინეს მაზრის მცხოვრებთ მიეწეროს ორმოცდა ხუთი მილიონი მანეთი. ეს ამბავი ამტკიცებს, რომ ჩვენი სოფლის ხალხი საკმაოდ მომზადებულა და მზათაა მსხვერპლის გასაღებად... მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც თითქმის აარმებს ასეთს თავ-გამოდებას.

თავდაპირველი ისაა, რომ ვფიქრობთ, სამაზრო ერობას უზენაეს საკანონდებლო დაწესებულებების ნება-დაღრთველად არ შეუძლიან ასეთი დიდი თანხის ამნაირად გაწერა. მეორეც ისაა, რომ ასეთი დიდი თანხა აღემატება მცხოვრებთა შეძლებას. მართალია, ხალხის წარმოდგენელნი ირწმუნებიან დავიყოლიებთ ხალხს მისს გადასახდელათო, მაგრამ ხალხი, ისიც დუშეთის მაზრის ცარიელ-ტარიელი ცოდნა, წელში გასწყდება ამრდენა გადასახადის გაღებით. მარტო ეს რომ ყოფილიყო—წარბ შეუხრელად გადიხდიდა, მაგრამ მისს გარდა არის სასახელმწიფო გადასახადები, სათემო და სხვა მისი მსგავსები. საერთო ჯამი ფრთად დიდი მოდის. კიდევ იმიტომაც დაუშვებელი ასეთი გადასახადები, რომ მგონი მალე დამფუძნებელ კრებაში გავა კანონ-პროექტი სამეურნეო გადასახადისა. როგორც გავიგე ამ გადასახადიდან ორმოცდა ათი პროცენტი ერობას დარჩება... რა თქმა უნდა, ვერც ეს პროცენტები უშველიან დუშეთის ერობას, მაგრამ მაზრას იმისთვის ხომ არ გავგულდავოთ აუტანელი ხარჯებით. უნდა გამოიძებნოს სულ სხვა გზები მაზრის უმწეო მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

თავდაპირველად ერობა უნდა გაღონიერდეს პერსონალური შემადგენლობის მხრივ. დღემდე ამას არა ჰქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება... ერთი უცნაური წესი დაგვიჩემდა, რომელსაც ძალიან ცუდი შედეგები მოაქვს. რაც მაზრა უფრო ძლიერია კულტურულად და ეკონომიურად—მით უფრო საუკეთესო ხელმძღვანელებს უყენებენ სათავეში... ჩამორჩენილ მაზრას კი უბრალო და ხშირად ჯაგლოგი თანამშრომლების ამარად სტოვებენ. ხშირად დავსწრებივარ ერთ ფრი-

ად პასუხის მგებელ დაწესებულებების სხდომას და იქ თანამშრომელთა განაწილების დროს რომელიმე პირი დაუწუნიათ, მაგალითად გორის მაზრისთვის, მაგრამ დუშეთის მაზრისთვის შესაფერისად უკვნიათ, „არა უშაგსრა, გამოდგება თქვენთვისაო“. ამით აიხსნება, რომ დუშეთის მაზრა დანატრულდა მომზადებულ, გამოცდილ, მხნე და პატიოსან თანამშრომლებს, თითო ოროლა პიოს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში. მაზრაში მოდიან, ისეთები, რომელნიც მაზრას საწველ ფურად ჰხდიან და თავიანთი თავქარიანობით სახელსა და იხტიბარს უტეხენ ერობას. ყველაზე მომზადებული და გამოცდილი პირები სწორეთ ასეთს უმწეო მაზრას ეჭირვებიან. ასეთ მაზრას უნდა აღმასი ხელმძღვანელნი, რომ არარაისგან შეჰქიანან რაჟე, თორემ მდიდარს და კულტურულს მაზრაში—შედარებით სუსტა ხელმძღვანელიც გაუძღვება საქმეს, რადგან დამხმარეთ და მუჯლუგუნის მკვრელად ეყოლებიან ის მრავალი ინტელიგენტება, რომელითაც მდიდარია მაზრა.

დუშეთის ერობა ორი წელიწადია მუშაობს და მისი გამგეობის წევრები კი წარა-მარა იცვლებიან. გამგეობაში იყო მუდმივი კრტიმლოობა, გაგანი და, ცხადია, ამით საქმე უფრო დაიცარებოდა.

რომ ჩვენი დაწესებულებების შენახვა ფრიალ ძვირი ჯდება—ეს საერთოდ აშკარაა... ამაზე დაფიქრება ჩვენს სახელმწიფოსაც კი არ აწყენდა... სახელმწიფოს მართვა რაც მარტივი იქნება, იაფი და აოლი მით უკეთესია... ახლა კი ისე დაფამძიმეთ მოხელეებით მთელი სახელმწიფოს, მაზრა და ასე გასინჯეთ თვით თემიც კი, რომ კანკალს დამაწყებინებს ხოლმე, როცა მათ შევხედავ. ასეთი სახელაწიფოს შენახვა იმასაც გაუჭირდებოდა, საცა ეკონომიური ცხოვრება დულს და გადმოღის. აუცილებლივ უნდა შემცირდეს შტატები... თქმულებამ: „როგორც საბანი გაგწვდეს—ისე გაშალე ფეხებიო“—აქ დაუყოვნებლივ უნდა ხორცი შეისხას...

მაზრის მოვლა ადვილი არ არის, სამაზრო ერობის კანცელრიაში მოგროვილ გადამწერ მანქანების ჩხაკუნში არ გამოითქმის მისი შემოქმედებითი მუშაობა. სამაზრო ერობა—მინიატურულ სახელმწიფოს წარმოადგენს და დიდი თავგამოდება, საქმის ცოდნა და მუყაითობა—სარისტი მოეახოება ერობის გამგეობის წევრებს. დუშეთის მაზრის ერობას, მართალია სათავეში უდგას დაულალავი და თავდადებული პირი დ. ჭონიშვილი, მაგრამ მან ერთმა რა გააწყოს; ბევრი საქმე ან არ გაკეთებულა სრულიად, ან დაუგვიანიათ და ვახტი გადასვლია...

ავიღოთ სასურსათო დარგი. ის რომ კარგა-ყოფილიყო მოწყობილი მაზრას თი უკმის არა გაუჭირდებოდარა ცოტად თუ ბევრად ღონიერი მაზრებიც სასურსათო ოპერაციებთან ისტუმრებენ ხარჯებს და ჰფარავენ დეფიციტს... ამას წინეთ მომიხდა თელავის მაზრაში ყოფნა და იქ ერობის სასურსათო განყოფილება ჩინებულად მოწყობილი ვნახე. ამ საქმეს ხელშეწყობს გამოცდილი და საქმის მოყვარული ამხ. ნოე რამიშვილი და აუარებელს. მოთხოვნილებებს—ამ განყოფილების ძმურ მონაგებ თანხიდან აკმაყოფილებენ.

ერობამ როგორმე უნდა მოუყაროს თავი ორ მილიონამდის ფულს და დააბრუნოს იგი საქონლის ყიდვა-გაყიდვით, სხვა გზა არაა. ამით მოგებასაც ჰნახავს და მაზრასაც დაეხმარება პირიან ფასებში საქონლის მიწვდით.

ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს ეს არის და ეს, მაზრის საქმე მთლად გამოსწორდება. არა, ეს საგრძნობლად შეეშველება მაზრას, თორემ ყველა ტვივლებს მთლად ვერ დაუშუშებს. დუშეთის მაზრა ისეთი კუთხეა, რომელსაც საკუთარის ავლა-დადებით ცხოვრება არ შეუძლიან. როგორც უნდა ხელ მომჭირნეთ ვიცხოვროთ—აქ მრავალ შემოსავალზე მეტი იქნება... ამიტომ მას განსაკუთრებული წყარო ესაქიროება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დუშეთის მაზრა ფრიად სტრატეგიული პუნქტია და ბევრს ჰნიშნავს სახელმწიფოსთვის დუშეთის მაზრის გლეხობის განწყობილება, მისი პოლიტიკური ორიენტაცია, თუ ვიწაჭებთ დარიალის კარების გაღება ან დახურვა შეუძლიან ხალხის მტრობას, ან ერთგულობას—მაშინ უნდა ითქვას, რომ ვისაც ჰსურს დარიალი იყოს კვლავინდებურად სიმტკიცის ბურჯით მომარგებული—მან უნდა გაამაგროს და გაამხნეოს, გაათბოს და გაახალისოს დუშეთის ხალხი თანავრძნობით, დახმარებით, საგანგებო მხრუნველობით... უნდა გამოტყუნი ითქვას, რომ დღემდე ასეთი ფარეზობით არ იყო განებივრებული დუშეთის მაზრა... „ვის რა გველი შეუწვით, რომ ყურადღებას არ გვაქცევინო“ — შემოიჭივლრათ ჩემთვის მთიულეებსა და მოხევეებს, როდესაც სიმშლითა და სიცივით გადალასლასებულებს გამ უგზავნიათ ტფილისს დელეგაცია და წადებით ისეც ცოტა წაუღიათ, რომ კურდღელს აეკიდებოდა მთელი ნაწყალობევი ავლა-დიდება... ამ ბოლო დროს ხომ ერობას სულ გაუძნელდა მომარაგების სამინისტროდან საქონლის მიღება... ვისაც ფული აქვს ჰღებულობს—და

რაკი ღუშეთის ერობის სალაროში სიცალიერე იზმორება—მას არც არას აძლევენ ნისიათ და რჩება თვალცრემლიანი.

უქვევლია, მომარაგების სამინისტროსთვის სარფა არაა. ნისიათ საქონლის გაბოდება, მაგრამ მან რომ გაიციოს ღუშეთის მაზრის უმწეო და უჩვეულო მდგომარეობა—არავითარ შემთხვევაში არ დაიშურებდა მისთვის საქონლის ნისიად გატანებას.

ღმერთი, რჯული, ალალიც იქნება მასზე. სახელმწიფოს და მომარაგების სამინისტროს კარგა დიდო სარგებლობა აქვს ამ მაზრიდან... ღუშეთის მაზრა მატყლის სამშობლოდ ითვლება, მატყლზე გამოცხადებულია მონობოლია და ცხადია; მისი მოგება სააელმწიფოს რჩება. ღუშეთის მაზრის ერთად-ერთი ნაწარმოები ესაა და ამის წარმოებიდან დაირჩენდა თავს, რომ სახელმწიფოს არ გამოეცალა ხელიდან. რაკი სახელმწიფომ აიღო იგი—მაზრასაც უნდა შეახვედროს რამე... სამაზრო ერობას უნდა დაუთმოს მაზრიდან გატანილ მატყლის ღირებულებიდან პროცენტები...

მატყლის მოსავლით სახელმწიფომ საერთოდ ბევრი ისარგებლა, მაგრამ მაზრამ ჯერ-ჯერობით ზარალის მეტი ვერა ჰნახა რა...

მაზრას ეჭირება სურსათი, ფართლეულობა, საქონელი ნაირ-ნაირი—მას იგი შეიძენდა ერობის შემწეობით—რომ ერობას ნება ჰქონოდა მატყლი გადევცვალ-გადმოეცვალნა... მრავალი მაზრა წინადადებას იძლევა სიმინდს მოგვიტოვო მატყლშიო. მთიულეთი დამშეულია და არც აქვს ნება თვისი მატყლი გადასცვალოს ამ სიმინდში. ამ მდგომარეობას გამორკვევა ესაჭიროება, უნდა ან მომარაგების სამინისტრომ მიაწოდოს ეს საქონელ სურსათი, ან არა და ერობას მიეცეს უფლება თვისი მაზრის მატყლი გამოიყენოს მაზრის საჭიროებისთვის.

ამას მოვლის ღუშეთის მაზრა მომარაგების სამინისტროდან, მაგრამ უფრო მეტი დახმარების აღმოჩენა ჰმართებს თვით მთავრობას... მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ ღუშეთის მაზრის ერობის მთავარი შემოსავლის წყარო დაშრეტილი აქვს, დეფიციტი დიდი მოსდის და მთავრობისგან გამოეღოს დახმარებას. დაუშვებელია როცა ერობები პატარა ბავშვებივით მთავრობას შესცქნავიან და ელიან: აცა არს გვაჩუქებსო, მაგრამ ასეთი მაზრა, როგორც ღუშეთია—იძულებული იქნება ჯერ ისევ მთავრობას უყურებდეს და მისგან საგანგებოდ გადაღებულ თანხიდან ჰფარავდეს დეფიციტის რაიმე ნაწილს მაინც...

დ. თურდოსპირელი.

სახალხო განათლების საქმე ტფილისის მაზრაში 1919-1920 წ. განავსკოვებაში.

სწავლა-განათლების გავრცელება და ხალხთა განვითარების მდგომარეობა საერთოდ სტატისტიკურად ირკვევა იმისდამხედვით თუ რამდენად სწავლა-განათლება მისაწდომია ხალხისათვის და რამდენად გავრცელებულია წერა-კითხვა მასსაში.

წინააღმდეგე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტფილისის მაზრაში წერა-კითხვის თანამედროვე განვითარების შესახებ, სამწუხაროდ, არ მოიპოვება ცნობები, რომლებიც ასე თუ ისე ნათელს ჰფენდნენ ამ საკითხს. ერთადერთ პირდაპირ წყაროს ამ საკითხის გასაშუქებლათ წარმოადგენს 1897 წ. სახალხო აღწერა. მართალია 1917 წ. სასოფლო სამეურნეო აღწერის ბლანკში იყო დასმული საკითხი წერა-კითხვის მცოდნეთა შესახებ, მაგრამ დღემდის ეს მასალები დაუმუშავებელია.

სტატისტიკა გვითითებს კიდევ ორ არა პირდაპირ საშუალებაზედ ამ საკითხის რამოდენიმეთ შინც გამოსარკვევად: 1) სამხედრო ასაკის ჯარში გასაწევთა სიების საშუალებით, სადაც აღინიშნება იმათი წერა-კითხვის ცოდნა და 2) დაქორწილებულთა სათანადო წიგნებიდან ზელოწერის მცოდნეთა ამოკრეფით. პირველ წყაროს ჩვენ თუმცა მიემართეთ, მაგრამ, როგორც გამოიჩვენა, მასალები, რომლებიც ეხება მშვიდობიანობის დროს უკვე გადაკრეფულია სადაც არხივში; რა აღვილას ინახება ეს მასალები ვერ აღმოვაჩინეთ. რაც შეეხება ომიანობის და უკანასკნელის დროის ჯარში გაწვეულთა მათი წერა კითხვის ცოდნის შესახებ სათანადო სიებში ცნობები არ არის მოყვანილი. მეორე საშუალების შესახებ უნდა ითქვას, რომ ამ გვარ მასალების შეგროვება და დამუშავება მოითხოვდა დიდ მუშაობას და ხანგრძლივ დროს, ამიტომ ამ საშუალებებზედაც ძალა უნებურად ხელი უნდა აგველო.

სტატისტიკურ განყოფილებას განზრახვა აქვს მომავალ წელში მოახდინოს მაზრის სასოფლო სამეურნეო აღწერა და სხვათა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც გამოარკვიოს. რასაკვირველია დღევანდელი დღისთვის 1897 წლის აღწერის ცნობები უკვე ძლიერ დაძველებულია. წერა კითხვის მცოდნეთა რიცხვი იმ დროს შეადგენდა 14, 7% მთელი მცხოვრებლებისას. იმის შემდეგ გავიდა 23-24 წელი და ექვ გარეშეა მოყვანილი % შესამჩნევად გაიზარდებოდა.

რომ მივიღოთ მაინც და მაინც რაიმე წარმოდგენა რა მდგომარეობაშია ეხლა მაზრაში წერა-კითხვის გავრცელების საქმე, იძულებული ვიყავით მიგვემართა შემდეგ საშუალებისთვის: 1897 წლამდის მუშაობდა სხვა და სხვა დროს გახსნილი 16 სკოლა. ამ ხნის განმავლობაში 16 სკოლის მუშაობის შედეგები 1897 წელს, ანავე წლის აღწერით გამორკვეული 75040 სულზედ გამოიხატა 16 პროცენტით, — რასაკერვლია თუ დაუშვებთ, რომ ასეთი შედეგები მიღებულია მხოლოდ პირველ დაწყებითი სკოლების მოღვაწეობით.

ეხლა რომ გადავიტანოთ ამ სკოლების საერთო ხანგრალივობა ერთ სკოლაზედ, როგორც საანგარიშო ერთეულზედ, მივიღებთ, რომ ერთ სკოლას დასკირდებოდა მოყვანილ შედეგების მისაღებათ მუშაობა 236 წლის განმავლობაში. თუ შესაძლებელია აგრეთვე, მიღება, რომ სკოლების მოქმედება ერთმანეთთან შედარებით იძლეოდა ერთნაირ შედეგებს დასაშვებია შევადგინოთ შემდეგი პროპორცია: X: 14,7 = 836:236, საიდანაც გამოდის, რომ ყველა სკოლებისთვის მოღვაწეობის დეგები 1919 წელს გამოიხატება 53 პროცენტით მცხოვრებთა რიცხვის 75040 სულზედ. თუ ეხლანდელ დროისთვის ტფილისის მაზრაში ჩავთვლით 100.000 მცხოვრებლებს მაშინ წერა-კითხვის მკოდნეთა რიცხი შედარებით შემცირდება და შეადგენს 40%.

ვიმეორებთ, რომ ასეთ საექვო საშუალებას წერა კითხვის მკოდნეთა % გამოსაკრვევად იძულებული ვიყავით მიგვემართნა, რადგან სხვა გზა ამ საკითხის გასაშუქებლად არ მოგვეპოვებოდა.

ეხლა გადავიდეთ ტფილისის მაზრაში სკოლების მოქმედების განხილვაზედ. სწავლა-განათების მხრივ ეს მაზრა, რესპუბლიკის სხვა ნაწილებთან შედარებით (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსთან) ძლიერ ჩამორჩენილია. ამის მიზეზათ უნდა ჩიათვალოს ერთი მხრივ სკოლების რიცხვის შედარებით სიმცირე, რის გამოც დიდი უმეტესობა სასკოლო ასაკის ბავშვებისა ყოველ წლიურად სკოლის გარეშე რჩებოდა და მეორე მხრივ არსებულ სკოლების ჯეროვანად მოუწყობლობა, რითაც აიხსნება ის ჩვეულებრივი მოვლენა, რომ სკოლებში მოსიარულე ბავშვების რიცხვი ძლიერ მცირე იყო და ისინიც არა რეგულიარულად დადიოდნენ სკოლებში. ზედმეტია ლაპარაკი იმზედ, რომ აქ დიდი ადგილი უჭირავს აგრედვე ხალხის შეუგნებლობას და გულ-გრილობას. ყველა ამას ნათლად დავინახამთ ქვემოლ მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებიდან.

მთელ მაზრაში 1919 წ. განმავლობაში ითვლებოდა 71 პირველ დაწყებითი სკოლა (48 ქართული, 13 რუსული, 5 თათრული, 4 ბერძნული და 1 სომხური), სამი უმაღლესი პირველ დაწყებითი, 2 მოძრავი და 3 საფეიქრო. საანგარიშო წელს მოქმედებდა მხოლოდ 60 პირველ დაწყებითი სკოლა მათ შორის 10 სკოლა 4 განყოფილებიანი, 23-სამ განყოფილებიანი, — 9 ორ-განყოფილებიანი და 18 ერთ-განყოფილებიანი სულ 60 სკოლა 145 განყოფილებით. დანარჩენი 11 სკოლებში სხვა და სხვა მიზეზების გამო სწავლა არ სწარმოებდა. მთელ მაზრაში ითვლება 186 სოფელი, სკოლა არსებობს 51 სოფელში. 42 სოფელში თითო სკოლა, 7-ში ორ-ორი და ორში სამ-სამი. მათში ნაჩვენებია სამი უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლები, ეს სკოლები დაარსებულია: საგარეჯოში, მარტყოზში და აღბულალში.

რესპუბლიკაში საერთოდ მიღებულია ერთი ტიპის პირველ დაწყებითი სკოლა, მთელი კომპლექტი ნორმალური სკოლისა უნდა შესდგებოდეს ოთხ განყოფილებიდან ოთხ მასწავლებლის შემადგენლობით. დასრულების შემდეგ მოწაფეებს აქვთ უფლება გააგრძელონ სწავლა გამოუცდელად უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლაში. აღნიშნულ 60 სკოლადან გვაქვს ცნობები მხოლოდ 52 სკოლის შესახებ 126 განყოფილებით და 2998 მოწაფით. თითო განყოფილებაზედ საშუალოდ მოდიოდა 24 მოწაფე. 8 სკოლის შესახებ, რომელიც შესდგებოდა 19 განყოფილებისაგან, როგორც აღნიშნეთ, ცნობები არა გვაქვს. თუ მივიღებთ უკანასკნელ სკოლებისათვისაც ზემოდ აღნიშნულ საშუალო მოწაფეთა რიცხვს (24 მ.) მაშინ გამოანგარიშებული საერთო მოწაფეთა რიცხვი იქნება 3480. ნორმის მიხედვით კი (40 მ. ერთ განყოფილებაზედ), ამ სკოლებში შეეძლოთ მიეღოთ სწავლა 5800 მოწაფეთ.

უხლა გამოვარკვევთ, რამდენათ მოყვანილ არსებულ სკოლებს რიცხვი აკმაყოფილებს მაზრის მოთხოვნილებას, რომ ყველა სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის სწავლა ხელ-მისაწდომი იყოს. ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ რა წლოვანების ბავშვები უნდა ჩაითვალოს სასკოლო ასაკის რიცხვში. ამ საკითხის გასაშუქებლად ვისარგებლებთ სკოლების წლიური ანგარიშებით. მოვიყვანთ ამ ანგარიშებიდან ცნობებს განყოფილებებში ბავშვების განაწილების შესახებ წლოვანობის მიხედვით. ეს ცნობები წარმოადგენენ ასეთ სურათს:

მ ო წ ა ფ ე თ ა წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა											
	7 წლ.	7 წლ.	8 წლ.	9 წლ.	10 წლ.	11 წლ.	12 წლ.	13 წლ.	14 წლ.	15 წლ.	სულ
აბსოლოტურად.	81	298	649	604	560	371	304	94	35	2	2998
%-ით.	2,7%	9,9%	21,6%	20,1%	19%	12,3%	10,1%	3,1%	1,1%	0,1%	100%

როგორც სჩანს ამ ცხრილიდან საერთო მოწაფეთა რიცხვის დიდ ნაწილს შეადგენენ 7-12 წლოვანობისა, საერთოდ ამ წლოვანების ბავშვები შეადგენენ 93%, დანარჩენი წლოვანების ბავშვების 1% სრულიად მცირეა. ამიტომ სასკოლო ასაკის რიცხვში უნდა ჩაირიცხოს 7-12 წლოვანობისა, რასაც გვიკარნახებს თვით ცხოვრება. ამ წლოვანობის ბავშვები 1897 წელს მცხოვრებთა რიცხვის 75042 სულზედ შეადგენდნენ 11,592 (გამორკვეულია ამავე წლის აღწერით). ეს შეადგენს 15,3% მცხოვრებთა საერთო რიცხვისას. ცნობები უგვიანეს დროისა სახელდობრ 1917 წ (სასოფლო სამეღონეო აღწერა) იძლევა 89,523 მცხოვრებთა რიცხვს მაზრაში. ეს რიცხვი დღევანდელ დღეისათვის, რასაკვირველია, დამცირებულად უნდა ჩაითვალოს. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება თუ მცხოვრებთა რიცხვს მაზრისთვის მივიღებთ 100.000-მდე. 1897 წლისთვის გამორკვეულ 1% ის ანგარიშით სასკოლო ასაკის ბავშვების რიცხვი უკან სკნელ 100,000 სულზედ შეადგენს 15300 ე. ი. არსებულ სკოლებთა რიცხვის და მიღებულ კომპლექტის ნორმის მიხედვით სკოლას გაოე შე რჩება 9500. ფაქტიურად კი აღნიშნული პირობების გამო სწავლას სცდებოდა 11,820 ბავშვი. ყველა სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის ხორმალურ კომპლექტის მიხედვით საჭიროა 383 განყოფ ლება, ე. ი. 96 ოთხი წლის კურსიანი სკოლა. ამგვარად დამატებითი უნდა იყოს გახსნილი 96-71-25 სკოლა. ეს იქნებოდა სწორი იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო ასაკის ბავშვებო ნაწილდებიან სკოლების და განყოფილებების შორის სრულიად თანაბრად. ნამდვილად კი ბავშვების განაწილება განყოფილებებში წლოვანობის მიხედვით შემდეგია:

განყოფ.	განყოფ. რიცხვი.	7 წლამდე	7 წლის	8 წლის	9 წლის	10 წლის	11 წლის	12 წლის	13 წლის	14 წლის	15 წლის	სულ	საშუალო თითო განყოფილ.	რამდენი % მოდის განყოფილებებზე
I	60	81	287	592	438	282	130	99	23	6	—	1938	32	64,6%
II	42	—	11	54	135	194	128	92	17	3	—	634	15	21,1%
III	33	—	—	3	31	75	92	84	32	12	—	329	10	11%
IV	10	—	—	—	—	9	21	29	22	14	2	97	10	33%
სულ	145	81	293	649	604	560	371	304	94	35	2	2993	24	100%

ყურადღებას იქცევს ამ ცხრილში ბავშვების რიცხვი პირველ განყოფილებებში, რომელიც შეადგენს 64,6%. ამ ცხრილიდანვე სჩანს, რომ უმეტეს ნაწილს მოწაფეებისა პირველ განყოფილებაში შეადგენს ბავშვების 7—10 წლამდე (50,7%), დანარჩენი წლოვანობის ბავშვები ამავე განყოფილებაში საერთოდ და ცალ-ცალკე სრულიად უმნიშვნელოა, საერთოდ შეადგენენ 8,2%, ცალ-ცალკეთ (0,2%, 4%-მდე).

მოყვანილი 53,7%, რომ ვიანგარიშით საერთო სასკოლო ასაკის ბავშვების რიცხვზედ 13.300, მივიღებთ 8216 მოსწავლეს პირველ განყოფილებისათვის. ასე, რომ დღესვე იყოს განხორციელებული საყოველთაო სავალდებულო სწავლა მაზრაში, საჭირო იქმნებოდა 195 პირველ განყოფილებას დაარსება. ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და გაეწიოს შესაფერი ანგარიში პირველ ხანებში.

გადავიდეთ ეხლა ამ წლის სკოლების მდგომარეობის განხილვაზედ მაზრაში. 52 სკოლებთა შორის, რომელთა შესახებ გვაქს ცნობები, 36 სკოლით სარგებლობდნენ მხოლოდ იმავე სოფლის მცხოვრებნი, 16-ში კი ბავშვები დადიან სხვა სოფლებიდანაც. (15-ში ორ სოფლიდან და 1-ში სამი სოფლიდან). ამ 16 სკოლაში ბავშვებს უხდებოდათ სიარული ორი ვერსის მანძილზედ—14 მოწაფეს, სამი ვერსის—8-ს, ოთხი ვერსის—9-ს და ხოთი და მეტი ვერსის—3 მოწაფეს.

სამოსწავლო წლის დასაწყისში იყო მიღებული ახლად 2227 მოწაფე (1055 ვაჟი და 1172 ქალი). გარდა ამისა ძველ მოწაფეებიდან სკოლაში გამოცხადდნენ 1097 მოწაფე (461 ვაჟი და 639 ქალი). ეს მოწაფეები განყოფილებათა შორის განაწილებულნი იყვნენ ასე:

	გ ა ნ უ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი				
	I	II	III	IV	ს უ ლ
ვაფები	992	324	150	50	1516
ქალებო	1136	385	223	64	1808
ორივე სქესის . . .	2128	709	373	114	3324

ამათგან პირველ ნახევრის წლის განმავლობაში სწავლას თავი დაანება:

	გ ა ნ უ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი				
	I	II	III	IV	ს უ ლ
ვაფები	77	41	14	9	141
ქალები	113	34	30	8	185
ორივე სქესის . . .	190	75	44	17	326

წლის პირველ ნახევრის ბოლომდის დარჩა:

	გ ა ნ უ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი				
	I	II	III	IV	ს უ ლ
ვაფები	915	283	136	41	1375
ქალები	1023	351	195	56	1623
ორივე სქესის . . .	1938	634	329	97	2998

საერთოდ სწავლისთვის თავი დაუნებებიათ 326, ანუ 9,8%-ს. წლის ბოლოს ცნობებიდან სჩანს (ცნობები ეხება 32 სკოლას), რომ 2005 მოწაფედან წლის განმავლობაში გასულან სკოლიდან საერთოდ 508 მოწაფე ე. ი. 25,3%-როგორცა სჩანს, უმეტესი ნაწილი

გადის სკოლიდან წლის მეორე ნახევარში, რაც აიხსნება უმთავრესად გაზაფხულზე მინდვრებზედ მუშაობის დაწყებით.

მოვიყვანოთ ეხლა სკოლების შესახებ სხვა და სხვა ცნობები: მოწაფეთა შემადგენლობა ეროვნების მიხედვით, დედა-ენის მიხედვით და სხვა ეროვნების მიხედვით მოწაფეთა შემადგენლობა მაზრაში ასეთი იყო:

ე რ ო ვ ნ ე ბ ა	მ ო წ ა ფ ე თ ა რ ი ც ხ ვ ი			
	ვაეები	ქალები	ორივე სქესის	% შეფარდება
ქართველები	789	1123	1912	64,0%
რუსები	191	167	358	11,9%
სომხები	130	214	344	11,4%
ბერძნები	166	84	250	8,3%
თათრები	92	29	121	4,0%
დანარჩენი	7	6	13	0,4%
ს უ ლ	1375	1623	2998	100%

უმეტეს ნაწილს შეადგენენ ქართველები—64%, მათ მისდევენ რუსები და სომხები თითქმის ერთნაირ %-ის შემადგენლობით 11,7% და 11,4%, დანარჩენნი ერთად შეადგენენ 12,7% დედა-ენის მიხედვით კი ციფრები იცვლება და იღებენ შემდეგ სახეს.

დ ე დ ა-ე ნ ა	მ ო წ ა ფ ე თ ა რ ი ც ხ ვ ი			
	ვაეები	ქალები	ორივე სქესის	% შეფარდება
ქართული	854	1276	2130	71%
რუსული	200	172	372	12,4%
ბერძნული	122	67	189	6,4%
თათრული	131	43	174	5,8%
სომხურა	64	57	121	4%
დანარჩენი	4	8	12	0,4%
ს უ ლ	1375	1623	2998	100%

იქცევს ყურადღებას ქართულად მოლაპარაკეთა მოწაფეთარიცხვის გადიდება (7%-ით), რაც აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ბევრ სომხის ოჯახებში ქართული არის დედა-ენა.

საკენტო ფურცლებში სხვათა შორის იყო დასმული კიდევ საკითხი მოწაფეების სარწმუნეობის შესახებ. ამაზედ გვაძლევს წარმოდგენას შემდეგი ცხრილი.

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა	მოწაფეთა რიცხვი		
	ვაყები.	ქალები.	ორივე სქესის:
მართლმადიდებელი	1141	1360	2501
სომეხ-გრიგორიანი	138	230	368
მუსულმანები	91	29	120
დანარჩენები	5	4	9
ს უ ლ	1375	1623	2998

უკანასკნელად მოვიყვანთ მოწაფეების განაწილებას მშობელთა პროფესიის მიხედვით.

მშობელთა პროფესია	მოწაფეთა რიც.	% შეფარდება
მეურნეების შვილები	2628	8,8%
ვაჭრების	134	4,5%
ხელოსნების	128	4%
დანარჩენნი	108	3,5%
ს უ ლ	2998	100%

დიდ უმეტესობას, რასაკვირველია, შეადგენს მეურნეთა შვილები, თუმცა დანარჩენ პროფესიის ბავშვების % შედარებით მცირეა, მაგრამ

თუ შივილებთ მხედველობაში, რომ ამ პროფესიის მცხოვრებთა ნაწილი სოფლებში სრულიათ უმნიშვნელოა, დავინახავთ, რომ მოყვანილი % ფრიად თვალსაჩინოა.

სწავლის დაწყების შესახებ ცნობები შემდეგია:

23 სკოლაში სწავლა დაიწყო თავის დროზე. 13-ში სექტემბრის მეორე ნახევარში, 9-ში ოქტომბრის პირველ ნახევარში, 5-ში მეორე ნახევარში, 1-ში ნოემბრის პირველ ნახევარში. სწავლის დაგვიანების უმთავრესი მიზეზი იყო სკოლების დაგვიანებით გახსნა, ბინის უქონლობა, შენობების შეკეთება, მასწავლებლების ძნელად შოვნა და სხვა.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ მოწაფეები თვეობით ვერ დადიოდნენ რეგულიარულად სკოლებში სხვა და სხვა მიზეზების გამო. ეს მიზეზები იყო საერთოთ სკოლების მოუწყობლობა: სათბობი მასალის უქონლობა, ხშირი ავადმყოფობა და სხვა.

საქარა აქვე აღვნიშნოთ, რომ სკოლების სივიწროვის და პარტების უქონლობის გამო არ იყო მიღებული 527 ბავშვი, ე. ი. 18% მოწაფეთა საერთო რიცხვისა (218 ვაჟი და 309 ქალი).

დასასრულ მოვიყვანთ ცნობებს შესახებ კურს დამთავრებულ მოწაფეთა რიცხვისა. ოთხ წლიანი კურსი იყო მხოლოდ 10 სკოლაში. მათში სრული კურსი დაასრულა 63 მოწაფემ.

საანკეტო ფურცლებში იყო აგრეთვე დასმული საკითხი და ხელვარჯიშობას ასწავლიან სკოლებში: ხელსაქმის, მეზღვობის, მეზოსტენობის და სხვათა შესახებ. ხელსაქმეს სწავლობდა 717 მოწაფე ე. ი. 24 პროც. მეზღვობას და მეზოსტენობას—14 პროც. საერთო რიცხვისა.

ჩვენი სკოლების სავსებით დასახასიათებლათ ფრიად საინტარესოა მოვიყვანოთ ცნობები მასწავლებელთა განათლების შესახებ. ამას გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი.

	საშუალო განათლება	პედაგოგიურ სასწავლებელ და სრულ.	7 კლას დასრულებული	6-5 კლას დასრულებული	დაბალი განათლება	შინაური განათლება	ს/ს
მასწავლებელი ვაჟები	5	7	1	4	19	6	42
მასწავლებელი ქალები	24	—	5	12	9	—	50
ორივე სქეს.	29	7	6	16	26	6	92
% შეფ. მასწავლ. საერთო რიცხ.	31,5%	7,5%	6,5%	17,4%	30,5%	6,6%	100%

სრული საშუალო განათლება მიუღია 31,5%. შვიდ კლას გათავებულ მასწავლებლებს რიცხვითან ერთად ეს % გადაადგება 45,5% — მდს დაბალ განათლების მასწავლებლები შეადგენენ საერთო რიცხვთან 46,9% და შინაური განათლებით 6,6%.

	მასწავლებლობის წილება აქვთ მიღებულ				
	პედაგოგიურ სასწავლებელში	გამოცდების ჩაბარებით	მოკლევადიან კურსებზე	უცენზონი	ს უ ლ
ვაჟები	9	20	4	9	42
ქალები	20	18	5	7	50
ორივე სქესის	29	38	9	16	92
% შეფ. მასწ. საერთო რიც.	31,5%	41,3%	9,8%	17,4%	100%

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მასწავლებლობის განათლების ციწი მაზრაში საკმაოდ მაღალია და ამასთანავე საყურადღებოა მნიშვნელოვანი პროცენტი მასწავლებლებისა, რომელთაც მიუღიათ სპეციალური პედაგოგიური განათლება.

სწავლა-განათლების მდგომარეობას თემებში მოკლედ ახასიათებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილები. სკოლები თემებში იყო დანაწილებული ამნაირად:

თ ე მ ე ბ ი	სკოლების რიცხვი	განყოფილებები	ნორმის მიხედვით დაეტეოდა	ფაქტიურად სწავლობდნენ
გარეუბნის	10	22	880	462
მარტყოფის	8	21	840	423
ივრის	13	26	1040	455
საგარეჯოს	6	19	760	587
ასურეთის	5	11	440	205
აღბულალის	8	21	840	419
მანგლისის	6	19	760	324
ყარაიაზის	4	6	240	105
ს უ ლ	60	145	5800	2980

ამასთანვე ერთად მოგვეყავს ცნობები მცხოვრებთა და სასკოლო ასაკის ბავშვების საერთო რიცხვისა.

თ ე მ ე ბ ი	მცხოვრებ- თა რიცხვი	სასკოლო ასაკის ბავშვებ. რიცხვი	ბავშვთა რიცხ. რა- მელთათვის მიუწოდმ. სკოლა	
			აბსოლი- უტური რიცხვი	%-ებით
გარეუბნის	12610	1929	1049	54,4%
მარტყოფის.	13330	2039	1199	58,8%
ივრის	12870	1969	929	47,2%
საგარეჯოს	10704	1638	878	53,6%
ასურეთის	10630	1627	1187	73%
აღბულალის.	15803	2418	1578	65,2%
მანგლისის	12790	1957	1197	61,2%
ყარაიაზის	11263	1723	1483	86%
ს უ ლ	100000	15300	9500	62,1%

როგორც სჩანს თითქმის ორი მესამედი სასკოლო ასაკის ბავშვებისა მთელ მაზრაში რჩება სკოლის გარეშე, თუ მიღებული იქნება საყოველთაო სავალდებულო სწავლა, ამ მხრივ უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ყარაიაზი. თუმცა ასურეთის რაიონში ნაჩვენებია დიდი % იმ ბავშვთა, რომელიც სკოლის გარეშე რჩება, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ არ იყო მიღებული ანგარიშში გერმანული სკოლები.

რაც შეეხება სკოლის გარეშე განათლებას, უნდა ითქვას, რომ ამ დიად საქმეს არ ჰქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. სულ სამი თვის განმავლობაში მოქმედობდა ორი მოძრავი სკოლა 133 მოწაფით. დუმცა ამის გარდა ზოგიერთ ადგილას იყო გახსნილი საღამოს კურსები (ავქალაში, ხაშში, ნინოწმინდაში, გიორგი წმინდაში, საგარეჯოში და მანავში), მაგრამ ეს კურსები მოქმედებდნენ ძლიერ მოკლე ხანს. ამ ექვს კურსზედ დადიოდა სულ 300 მსმენელი.

ბიბლიოთიკების შესახებ უნდა ითქვას, რომ წიგნთ-საცავები არ-

სებობდა 23 სკოლასთან — 52 სკოლის რიცხვიდან, რომელთა შესახებ გვაქვს ცნობები ყველა ამ წიგნთ-საცავებში ითვლებოდა 4382 ცალი წიგნი.

დასასრულ ვიტყვით, რომ სწავლა-განათლების ხარჯები მაზრაში შეადგენს მთელ ბიუჯეტის 8,4 პროცენტს, რაც წარმოადგენს ძლიერ მცირე ნაწილს, უმეტესათ დღეისათვის, როდესაც სწავლა-განათლების საქმისთვის საჭიროა დიდი ერთდროული დახმარება.

გ. ბენაშვილი.

ფულის საკითხის გარშემო

I

ფულის აღმნიშვნელი ტერმინები ჩვენში ყველა უცხოურნი არიან (ფული, ფარა, გროში). ძველი ქართული სახელი ფულისა არის ხვასტა-გი. ეს სიტყვა ისევე როგორც დღემდის ხმარებული მისი ფორმა ხვა-დაგი ოთხ-ფეხს, საქონელს აღნიშნავს. მაშასადამე ძველათ ფულსა და საქონელს ერთი და იგივე სახელი რქმევია. სრულ ანალოგიას ვპოვებთ ჩვენ ლათინურ ენაში. ლათინური სახელი ფულისა pecunia წარმოსდგება pecus-იდან, რაიცა ოთხფეხ-საქონელს აღნიშნავს აგრეთვე. აქედან ცხადია რომ საქონელი ძველათ, როგორც რომში ისე საქართველოში ფულის როლს ასრულებდა, ე. ი. მითი გამოხატავდნ ყველა სხვა საქონლის ფასს და მას სცვლიდნ ყველა სხვა საქონელზე. რომ ეს ასე იყო ამას ვახტანგ მეფის კანონებიც გვიმტკიცებს, სადაც სხვა და სხვა გადასახადები ძროხების რაოდენობით გამოიხატება. ანალოგიურ შემთხვევებს რომის ისტორიაშიც ვხვდებით. საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ ძროხა ყველა ინდო-ევროპიული ტომებისათვის წარმოადგენდა ძველათ ღირებულების ერთეულს.

ეკონომიური ცხოვრების გართულებამ წაართვა ძროხას ეს საპატიო როლი ყოველი ღირებულებას საზომისა და მეტალებს მიანიჭა იგი. ესენი გაცილებით უკეთ შეეფერებოდნ ფულს ანუ უნივერსალურ საქონლის როლს ვიდრე ოთხფეხი ცხოველები, რადგან 1) უკეთ გამოხატავდნ ზომის მიხედვით ფასის რაოდენობას; 2) უფრო ერთგვარნი იყვნენ შემადგენლობით; 3) ადვილი სატარებელნი იყვნენ და

4) დიდხანს ინახებოდნენ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ კაცობრიობამ ყველგან ოქრო-ვერცხლით იწყო მეტალის ფულათ ხმარება. სრულებითაც არა. ძველ საბერძნეთში საფულე მეტალათ რკინა იხმარებოდა. რკინა ჯოხებათ ჩამოყალიბებული იყო. ის საქონელი, რომელიც ყველა სხვა საქონელზე იცვლებოდა ამ რკინის ჯოხის სახელი „ობოლოს“ შემდეგ მოჭრილ ფულზედაც გადავიდა. რომში რკინის მაგაიერობას სპილენძი ასრულებდა, რომელსაც გასამაგრებლათ ცოტა კალას ურევდნენ. საბერძნეთში ვერცხლმა ძალიან ადრე დაიჭირა რკინის ადგილი. რომში კი სპილენძი მხოლოდ მესამე საუკუნის დამლევს (ქრისტემდე) გამოაძევა ვერცხლმა. ეს იმითი აიხსნება რომ საბერძნეთმა ადრე განიცადა წინააზიის კულტურული ერების ზეგავლენა, რომელნიც უძველეს დროიდანვე ხმარობდნენ ოქრო-ვერცხლს ფულათ. რატომ გამოაძევეს ოქრომ და ვერცხლმა ყველა სხვა მეტალები ადვილი გასაგებია: სხვა მეტალებს არა აქვთ ისეთი დიდი ფასი, როგორც ვერცხლსა და ოქროს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მეტალების პაწია რაოდენობა ადვილათ გამოგვიხატავს ფასს როგორც უნდა იყოს იგი. უბრალო მეტალების საშუალებით კი ეს ძნელი ხდება. ოქრო და ვერცხლი გაცილებით კარგათ და მეტ ხანს ინახებიან ვიდრე სხვა მეტალები. ოქრო და ვერცხლი მუდამ ერთგვარი შემადგენლობის არიან. არის კარგი რკინა და ცუდი რკინა იმის და მიხედვით თუ როგორაა იგი შეზავებული ნახშირბადთან. არის კარგი და ცუდი ალმასი. ოქრო კი მუდამ ოქროა. გარდა ამისა არც ერთი ფასიანი მეტალი არ გადამუშავდება და ნაწილდება ისე ადვილათ როგორც ოქრო. ამას ისიც უნდა მიუმატოთ რომ ოქრო ვერცხლის ფასი უფრო ნაკლებ იცვლება დროთა განმავლობაში ვიდრე სხვა მეტალებისა. აი ყველა ამ თვისებებმა მიანიჭეს ოქრო-ვერცხლის ფულის ხასიათი, ე. ი. ისეთი საქონელია ხასიათი, რომელიც ყველა სხვა საქონელზე იცვლება და რომელიც ყველა სხვა საქონლის ფასის საზომათ ითვლება:

ჩვენ დღეს ჩვეული ვართ ფული იმ ოქროს ან ვერცხლის ნაკრებს ვუწოდოთ, რომელთაც ამა თუ იმ სახელმწიფოს დალი აზით. ასეთი დალი ჩვეულებრივ აღნიშნავს რომელ სახელმწიფოშია მოჭრილი ფული, რამდენს წმინდა ოქროს ან ვერცხლს შეიცავს იგი და როდისაა იგი გამოცემული. ძველათ ესე არ იყო. ოქრო და ვერცხლი საუკუნოების განმავლობაში ასრულებდნენ ფულის როლს ისე, რომ მათ სახელმწიფოს დალი არ მიჰკარებიათ. ასეთ მდგომარეობას დიდი უხერხულება

სდევდა თან, რადგან ყოველი აღებ-მიცემობის აქტის შესრულების დროს საქირო იყო ერთის მხრივ ოქროს აწონა, შემდეგ იმის გამორკვევა რამდენი ნაწილი ერთა მასში სხვა ლითონისა. ამ უხერხულობას ბოლო ეღება მაშინ, როდესაც სახელმწიფო თვით იღებს თავზე ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვიოს რა ღირებულებისაა ესა თუ ის ნაჭერი ოქროს. ამას სახელმწიფო, როგორცა ვსთქვით, იმ გზით აღწევს, რომ იგი ყოველ ნაჭერ ოქროზე ან ვერცხლზე აღნიშნავს ნაჭრის წონას და თვით მეტალის შემადგენლობას. პირველათ რამდენათაც ვიცით ლილიაში დაიწყო მთავრობამ ფულის ქრა (მეექვსე საუკუნეში ქრისტემდე). გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ისტორიულათ დარობ მეფის ფინანსიური რეფორმა. მის დროს გაბატონდა უკვე სახელმწიფოს მიერ მოჭრილი ფული არა მარტო სპარსეთში, არამედ თვით მეზობელ სახელმწიფოებშიაც. აზიიდან გადავიდა ოქრო ვერცხლის ფულათ ხმარება დასავლეთში. აზიიდანვე გადიდეს ევროპის სხვა და სხვა ერებმა მოჭრილ ოქროს და ვერცხლის ფულის ხმარებაც.

სულ ახალი ისტორია აქვს ქალაქის ფულს. მას არ იცნობდა არც ძველი აღმოსავლეთი და არც დასავლეთი; იგი სავსებით ახალ ისტორიას ეკუთვნის.

ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია ძველათ ის, რომ ოთხფეხი საქონლის ადგილი, როგორც საცვალი საშუალებისა ოქრო-ვერცხლმა დაიჭირა, მაგრამ ამავე განვითარებამ ახალს ისტორიულ ხანაში ისეთ საფეხურამდე მიადწია, რომელზედაც აღარც ოქრო-ვერცხლი აღმოჩნდა საკმარისათ. რადგან აღებ-მიცემობა მეტის მეტათ გართულდა შრომის დანაწილების სწრაფად განვითარებასთან ერთად და ამასთანავე მეტათ ჩქარი ტემპიც მიიღო ამ გარემოებამ წარმოშობა კრედიტი, რომელიც ასეთს განსაკუთრებულს როლს თამაშობს დღევანდელ ეკონომიურ ცხოვრებაში.

იქ სადაც საზოგადოებრივი შრომის დანაწილება საკმაოთაა განვითარებული კრედიტი აუცილებელს საქიროებას წარმოადგენს. სანამ საქონელი ბაზარზე გამოვიდოდეს მომხმარებლის ხელში გადასასვლელათ მან ათასგვარი მეტამორფოზა უნდა განიცადოს, ათასგვარი ხელი უნდა გამოიაროს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხელი არის მწარმოებლის ხელი. ყოველ ასეთ ხელს თავისი წვლილი შეაქვს საქონლის დამზადებაში და შემდეგ სხვა მწარმოებელს გადასცემს თავის ფაბრიკატს. მაგრამ რაც პირველისათვის ფაბრიკაციაა ის მეორისათვის მხოლოდ მა-

სალაა. ამ გვარათ მწარმოებლები მჭიდროთ არიან ერთი ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მთელი წარმოებაც ერთ მთლიან ქსელს წარმოადგენს, რომლის კვანძები—კერძო წარმოებანი—ყოველ მხრივ არიან სხვა კვანძებთან შეერთებულნი.

რაკი მწარმოებელთა შორის კავშირი ასეთი, მჭიდროა, რაღა საჭიროა, რომ ერთმა მწარმოებელმა მეორეს მისთვის საჭირო მასალისათვის მაშინვე დაუთვალოს ერთი ტომარა ოქრო. სუო ერთია ეს მეორეც ხომ მესამეს გადასცემს ამ ფულს, ნაწილის გამოკლებით, მესამე მეოთხეს და ასე ამგვარათ კრედიტის განვითარება თავიდან აცილებს მწარმოებლებს ასეთს უხერხულობას. მწარმოებელი აღარ სთხოვს მეორეს იმავე წამს ფულის გადახდას, ის უცდის სანამ მეორე საქონლითვე არ გაუსწორდება მას. ზოგჯერ ესენი მესამე პირს მოსძებნიან, რომელსაც ორივესთან აქვს კავშირი. ერთის მოვალეა მეორესი კრედიტორი ან კიდევ ერთსაც ენდობა მხოლოდ და მეორესაც. ამგვარათ რაკი ოქროს ფულის ტრიალი ახალის ტემპით სამძიმო ხდება, აღებ-მიცემობა ცდილობს, გაქვითების, გამორიცხვის, გადაპირების და ვეჭხილის სახით გვერდი აუხვიოს ოქროს ფულის ტრიალის აუცილებლობას.

II. ქალაღდის ფული.

მაგრამ ყველა ზემოჩამოთვლილი საშუალებანი მხოლოთ ჰალია ტი ვებს წარმოადგენენ. ესენი რამოდენიმეთ ამსუბუჭებენ მდგომარეობას მხოლოთ. სულ სხვაა კრედიტის ის ახალი ფორმა, რომელსაც ქალაღდის ფულს უწოდებენ. მხოლოთ მას შეუძლიან აღებ-მიცემობაში ოქროს მაგიერობის გაწევა. გარდა ამისა რაკი იგი იაფფასიანი, ადვილი შესანახი და ადვილი სატარებელა ცრამე არის, ამიტომ წარმოების ახალ ფაზისში, ის ოქრო-ვერცხლზე გაცილებით კარგათ ასრულებს საცვალეი საქონლის როლს, და ამიტომ ყველა კულტურულ სახელმწიფოებში ოქროს ადგილს იჭერს.

რა ანიჭებს ქალაღდს იმ უნარს, რომ მან ოქროს მაგიერობა გასწიოს და მის მაგიერ უნივერსალურ საღებ-მიცემო საშუალებათ იქცეს. ყველამ იცის რომ ქალაღდის ფულს თავის თავათ ისევე ნაკლები ფასი აქვს, როგორც იმ ვეჭხილის ქალაღდს, რომელზედაც ესა თუ ის თანხა დასახელებული. სრულებით არ კმარა მაშასადამე, ამა თუ იმ ქალაღდის ნაჭერზე აღებუქლოთ ასი თუმანი, რომ ეს ნაჭერი მართლა ას თუმანიანად იქცეს. ამისთვის საჭიროა სხვა წინასწარი და ფრად მნიშვნელოვანი პირობების შესრულება. პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ

ეს ქალაქის ას თუმნიანი მხოლოდ და მხოლოდ მოადგილე იყოს აღებ-მიცემობაში ასი თუმნისავე ოქროსი ან სხვა რაიმე ღირებულებისა. შემდეგ საჭიროა, რომ ის, ვინც ქალაქის ას თუმნიანს უშვებს ბაზარზე სხვა რაიმე ღირებულების წარმომადგენელათ, საზოგადოებაში ნდობით იყოს აღჭურვილი. რაღა საჭირო ამ ნდობის მოსაპოვებლათ? ტყუილად ნურავინ იფიქრებს, რომ საკმაოა სახელმწიფო ძალის სათავეში დგომა და შემდეგ ქალაქის ფულის ბეჭდვა, რომ ამ ფულს ნდობა ექნეს ყველგან. ყველამ უნდა იცოდეს ეკონომიური კანონები ზევით სახელმწიფო ძალის მექანეთა ნებისყოფასაც არ ექვემდებარებიან. ამის მიხედვით სულ ერთია ვინ ბეჭდავს ქალაქის ფულს კერძო პირი, კერძო საზოგადოება, თუ სახელმწიფო, ოღონდ კი ის პიროვნებები იყვნენ დაცულნი, რომელნიც ქალაქის ფულის მომჭრელებს საზოგადოების ნდობას ანიჭებენ. ეს პირობები შემდეგნი არიან: 1) ის ქონება, რომელიც სარჩულად უდევს ქალაქის ფულს, ვერცხლით ან ოქროთი უნდა იყოს გამოხატული. 2) ქალაქის ფულის ხელში ამღებს მუდამ უნდა ჰქონდეს საშუალება გადასცვალოს ქალაქი იმ ნამდვილ ღირებულებაზე; რომლის ნომინალური მატარებელი ქალაქის ფულია. მხოლოდ ვინც ამ პირობებს შეასრულებს ის აფულებს ქალაქს სულ ერთია კერძო პირი იქნება ის, კერძო საზოგადოება თუ სახელმწიფო.

როგორც კი რომელიმე მთავრობა ფულის საბეჭდ მანქანას მოჰკიდებს ხელს მან უნდა გაითვალისწინოს; რამდენადაა საჭირო ქალაქის ფული ცირკულიაციისათვის, რამდენადაა იგი საზოგადოების ნდობით აღჭურვილი, ან რა გზით ფიქრობს იგი ამ ნდობის მოპოვებას; რა ქონებას უდებს იგი სარჩულათ ქალაქის ფულს? როგორ რაოდენობას საჭიროებს ქალაქის ფულისას ბაზარი?

ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ საუბედუროთ სახელმწიფო ძალის მექანენი ძვირათ მისდევენ ამ ნორმებს, ისტორიას ძნელათ ახსოვს მთავრობა, რომელსაც ქალაქის ფული ისე მოეხმაროს, როგორც ეკონომიური კანონები მოითხოვენ? სად ყოფილა ისეთი უმტკივნელო და შეუმჩნეველი საშუალება ამ ხარჯების დაფარვისა, როგორც ქალაქის ფული. ახალი გადასახადების შემოღება, ან ძველების გადიდება პირადათ ეხება ყველას; ქალაქის ფულის გამრავლება და მისგან გამოწვეული უბედურება კი საერთო მარცხის ხასიათს იღებს, რომელსაც უფრო ადვილათ ეგუება შეგნება. როგორი ფაქიზიც უნდა ყოფილიყო

ესა თუ ის მთავრობა, სწორეთ ამ საკითხში ჰკარგავდა ის თავის უბიწოებას.

მაგრამ როდესაც ქალაქის ფულს ოქრო უდევს საფუძვლათ, ის აუცილებლივ ისწრაფის მისკენ, როგორც ცენტრისკენ და სკდილობს გაუთანასწორდეს მას. ამ იდეალურ მისწრაფებას ქალაქის ფულისას და ბოლოს მთავრობის ფინანსიური პოლიტიკაც უწყობს ხელს ნებით თუ ნაძალადევით, თუ თანასწორობის აღდგენა შეუძლებელი გახდა, იმის გამორკვევა მაინც მუდამ შეიძლება თუ რამდენათ უდრის ქალაქის ფული ოქროსას. მუდამ შეიძლება მაშასადამე ოქროსა და ქალაქის შორის დამოკიდებულება ახალათ განისაზღვროს და გამარტივდეს მით უფრო, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ქალაქი ძალიან დაშორდეს ოქროს. ასეთ შემთხვევაში ქალაქის ფულის დაცემას არა აქვს მაინც და მაინც კატასტროფიული ხასიათი ეკონომიური ცხოვრებისათვის. სულ სხვაა როდესაც ქალაქის ფული სრულიად მოკლებულია ოქროს საფუძველს და სახელმწიფოში ე. წ. ქალაქის ვალიუტა არის გამეფებული. ასეთი მოვლენის ტრალიკული შედეგები პირდაპირ განუზომელნი არიან როგორც სახელმწიფოსათვის, ისე კერძო მწარმოებლებისა და თვით მომხმარებლებისათვის. ევროპიელ მეცნიერს რომ ჰკითხოთ: „როდის გვაქვს ჩვენ ქალაქის ვალიუტასთან საქმე?“ ის გიპასუხებთ: „როდესაც სახელმწიფო იურიდიულათ ინთავისუფლებს თავს ვალდებულებისაგან, რომ ის პირველ მოთხოვნაზევე გადასცვლის ქალაქს მეტალზე და როდესაც ის მაშასადამე ქალაქს ნაძალადევ კურსს მიანიჭებს“. ეს განმარტება ადვილი ვასაგებია. ევროპიული სახელმწიფოები მართლაც უდიდესი გაჭირვების დროს იტყოდენ ხოლმე უარს ქალაქის ფულის ოქროზე გადაცვლაზე, მიანიჭებდენ ქალაქის ფულს ნაძალადევ კურსს და მით გაამეფებდენ ქალაქის ვალიუტას. ასე იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის და მის მომდევნო დიდი ომების დროს, მაგრამ იმავე გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფნი ავსტრია, იტალია, ჩრდილო ამერიკა და ბოლოს საფრანგეთი 1870 წელს, ასევე მოიქცნენ ჩვენს თვალწინ მსოფლიო ომის დროს ევროპის ყველა კოალიციონერები. საქართველოს და სხვა მეზობელ მთავრობების პრაქტიკაზე დამყარებულთ ჩვენ შეგვიძლია სულ სხვანაირი განმარტება მივსცეთ ქალაქის ვალიუტას: ქალაქის ვალიუტა არის იქ, სადაც სხვა ვალიუტა არ არის. ვაგნერს ვერ წარმოედგინა, რომ რომელიმე მთავრობას პირდაპირ ქალაქის ვალიუტით დაეწყო თავის

ფინანსიური არსებობა. ჩვენი მთავრობის და მისი მეზობლების ეკონომიურმა პოლიტიკამ მთელს ქვეყანას დაანახვა რომ ეს შესაძლებელია.

ღვთის წინაშე აქ არც ორგინალობაზე შეიძლება ლაპარაკი, რადგან უკვე რიკარდომ განაცხადა თავის დროზე: „Am besten wäre abez das umlaufsmithet venn es ganl ums Papier bestünde dennes.väre am wohlfeilsten“ საცირკულაციო საშუალება ე. ი. ფულია. მაშინ ყველაზე უკეთესი იქნებოდა, მარტო ქალაქის ფული რომ ყოფილიყო, რადგან იგი ყველაზე იაფი საშუალება იქნებოდა. ოღონდ რიკარდოს თავის დღეში არ უთქვამს, იმდენი ქალაქის ფული დაბეჭდეთ, რომ დედამიწას სამჯერ შემოსწვდეს სარტყლათო. პირიქით მისი ქალაქის ფული ღირებულებით ოქროს თანასწორი უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი ქალაქის ფულის გამრავლება კი არა, რაც შეიძლება შემცირებდა რიკარდოს აზრით საჭირო. როგორც კი გამეფდება სახელმწიფოში ქალაქის ვალიუტა ფასები მაშინვე დაუდგარნი, ცვალებადნი შეიქნებიან, რადგან ფასის საზომი—ფული თვით ხდება დაუდგარი და ცვალებადი. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, რომ სახელმწიფო კრედიტი შეუწყველი ყოფილიყო და ქალაქის ფულის რაოდენობა ცირკულაციის მოთხოვნილებასთან შეწონილი. საუბედურათ ეს პირობები ორივე შეუსრულებელნი არიან. არ შეიძლება, რომ ქალაქის ვალიუტის ბატონობის დროს ფულის რაოდენობა დაახლოვებით უდრიდეს ცირკულაციის მოთხოვნილებას, რადგან სწორეთ იმიტომ აფულეებებენ ქალაქს, რომ ნამდვილი ღირებულებანი არა აქვთ საკმაოდ და იძულებულნი არიან ფაქტიური ღირებულებანი შეჰქმნან და ამრავლონ ქალაქის ვალიუტის დროს ფულის რაოდენობა, მაშასადამე მუდამ მეტია ვიდრე ეკონომიური საჭიროება მოითხოვს. ეს შედეგობა იწვევს ფულის ფასის დაცემას, უკანასკნელი საშუალებას ართმევს სახელმწიფომ დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილებანი. იმიტომ ის იძულებული ხდება კიდევ უფრო გამრავლოს, დააკმაყოფილოს ქალაქის ფული, ეს კიდევ უფრო სცემს მის ფასს. ამ გვარათ ქალაქის ვალიუტის დროს ყოველი სახელმწიფო ვარდება იმ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო ის დათვი, რომელსაც უნდოდა თოკზე ჩამოკიდული გოდორი მოეცილებია თავიდან, რამდენათ ძლიერ წაჰკრავდა იგი გოდორს იმდენათ ძლიერ ხედებოდა ის მას ცხვირში.

ქალაქის ფულის დაცემა ქალაქის ვალიუტის დროს ორგვარათ გამოიხატება, ერთის მხრივ ის კარგავს ფასს ოქროს შედარებით, მეო-

რე მხრივ ის ჰკარგავს სხვა საქონელზე გაცვლის უნარს. ხალხი ჩვეულებრივ ურევს ამ მოვლენებს და ფიქრობს, რომ ოქროც გაძვირდა, საქონელიც და ქალაქის ფული კი გაიფუტა. ნამდვილად კი ხშირათ არც ოქრო გაძვირებულა, არც საქონელი, მხოლოდ ქალაქის ფული გაიფუტა. იმის გასაგებათ თუ რომელ ამ მოვლენათგანთან გვაქვს საქმე, საჭიროა საქონლის ფასი პირდაპირ ოქროზე გადავიტანოთ და მაშინ დავინახავთ, რომ დამოკიდებულება მათ შორის ძველებურია. მხოლოდ როდესაც ქალაქის ფულში გამოხატულს ფასს ჩაურევთ შაში მაშინ აგვერევა საქმე. ღვთის წინაშე ისიც შესაძლებელია, რომ ქალაქის ვალიუტის დროს ოქროც გაძვირდეს და ქალაქის ფულიც გაიფუტდეს. ერთის მოძრაობა ზეგითისაკენ იყვეს მიმართული, მეორესი ქვევითისაკენ. ეს იმიტომ მოხდება, რომ რაკი ქალაქის კურსი ნაძალადევი იქნება, მას მხოლოდ შიგ სახელმწიფოს ფარგლებში ექნება გასავალი. უცხოელები კი მას არ მიიკარებენ. ამიტომ ყველა საიმპორტო ე. ი. შემოსატანი საქონელი ოქროთი უნდა იქმნეს შეძენილი. ამის გამო ოქრო უცხოეთში გადის და მისი რაოდენობა კლებულობს. ეს მოვლენა მით უფრო თვალსაჩინო იქნება, რამდენათ ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანასთან გვექნება საქმე. რაკი ოქროს მოთხოვნილება ასეთ შემთხვევაში დიდი იქნება და ამასთანავე მისი რაოდენობა მუდამ იკლებს, ადვილი წარმოსადგენია, რომ მისი ფასიც აიწვეს. მეორე მხრივ ისიც შესაძლებელია რომ ქალაქის ფულიც გაიფუტდეს და საქონლის ფასმაც აიწიოს ერთსა და იმავე დროს, თუმცა როგორცა ვსთქვით ჩვეულებრივ ქალაქის ფულის გაიფუტება გვაფიქრებინებს ხოლომე, რომ საქონელი გაძვირდა. ექვს გარეშეა მაგალითად, რომ ქუთაისში კიტრი, ან სამტრედიის კვერცხი არ გაძვირებულა თუ ეს საქონელი ძველზე უფრო ძვირათ იყიდება ეს ფულის გაიფუტების ბრალია, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით პურზე. მართა პური იმიტომ კი არ გაძვირდა, რომ ქალაქის ფული გაიფუტა, არამედ იმიტომაც, რომ მისი რაოდენობა შესამჩნევათ შემცირდა ქართულს ბაზარზე, რადგან იგი ძველებურად აღარ შემოდის.

ქალაქის ვალიუტას ამ გვართ შემდეგი სიღუბჭირენი სდევნთან: ქალაქის ფულის რაოდენობა მუდამ იზრდება, მასში გამოხატული საქონლის ფასები მუდამ იწვევენ, რადგან ყოველი გამრავლება ქალაქისა იწვევს ფასების აწევას, ყოველი აწევა კი ქალაქის ახალ გამრავლებას. 2) ოქრო სრულიად ჰკრება ბაზარზე. იგი ან

უცხოეთში გადის ან კიდევ სკივრებში იმალება. 3) კერძო კრედიტის საქმე ირვეა; ძველი გამსესხებელნი საშინლათ დაზარალნებულნი გამოდიან, რადგან დებიტორები ფას დაკარგული ფულით უხდიან მათ სესხს. ახალი სესხის გაცემა შეუძლებელი ხდება, რადგან მის გადახდად ფული ხელახლა დაეცემა და კრედიტორი მოგების მაგიერ თანხის დიდს ნაწილსაც დაკარგავს. 4) იცვლება კაპიტალის შედგენილობა, იმ მხრივ რომ მისი კინსტანტური ნაწილი ჰკარგავს არსებობის რეზონს და იგი მთლათ მძობრავი კაპიტალის სახეს ღებულობს. აღარავის არა რჩება სურვილი დიდი თანხები დააბანდოს რაიმე დიდს დაწყებულებაზე, რომელსაც წლები დასჭარდება. მხოლოდ დანახარჯის ანაზღაურებაზე, ყველას უნდა რაც შეიძლება მოკლე ხანში გადაატრიალოს თანხა, იყიდოს და ჰყიდოს. მთელს ეკონომიურ ცხოვრებას სპეკულიატური ელფერი ედება. 5) ირვეა სახელმწიფოს ფინანსებიც. დეფიციტი თან და თან იზრდება. იგი ქრონიულ მოვლენათ იქცევა, და თვით უბედურება, ხელახალი უბედურების მიზეზი ხდება.

ასეთ პირობების გამო საზოგადოებაში ხშირათ ისმის ხოლმე კითხვა: ვინ მოსჭრას ქალაქის ფული ბანკმა, თუ სახელმწიფომ? სხვა და სხვა ეკონომისტები სხვა და სხვა ნაირათ გვიასუხებენ ამ კითხვებზედ. რიკარდო, მაგალითად თუმცა სცნობდა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ბოროტათ ხმარობს ხოლმე ფულის საბეჭდ მანქანას, მაგრამ მაინც სახელმწიფოს ანიჭებდა ქალაქის ფულის ბეჭდვის უფლებას. მას სწამდა რომ სახელმწიფო შეიძლება ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მან ცუდათ აღარ იხმაროს მანქანა. თუ კი ეს ასე იქნებაო ამბობდა რიკარდო სახელმწიფო მოგებული დარჩება, რადგან 1) მას აღარ დასჭირდება სარგებლობის მიცემა. 2) მას ხელში ექნება საშუალება ადვილათ დაფაროს ექსტრაორდინარული ხარჯები. ცირკულაციისათვის კი აბსოლიუტურათ ერთია ვინ გამოუშვებს ქალაქის ფულს ბანკი თუ სახელმწიფო. ვაგნერის აზრით უფრო სასარგებლოა ბანკსა ჰქონდეს ხელში ქალაქის ფულის ბეჭდვა, რადგან მთავრობას მაშინ საშუალება მოესპობა ყოველ საჭიროებაზე მანქანას წაავლოს ხელი. სახელმწიფოებიც ამ პრაქტიკას მისდევდენ უფრო. ბანკებს ჰქონიათ მინდობილი სხვა და სხვა დროს ქალაქის ფულის ბეჭდვა ინგლისში, ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ჩრდილო ამერიკაში. საუკეთესო საშუალება ქალაქის ვალიუტისაგან გამოწვეული უბედურების აღსაქვეცათ არის თვით ქალაქის ვალიუტის მოსპობა. საამისოდ პრაქ-

ტიკაც და თეორიაც ორ გზასა სცნობენ: 1) ლეგალურ დევალვაციას და 2) ქალაქის ფულის ფასის აწევას მის ნომინალურ ღირებულებამდე. მეორე საშუალება ჩვენში სულ არ არის მოსაძიანი, რადგან უკუნიითი უკუნისამდე რომ ვასტანოს აქ ქალაქის ვალიუტამ ჩვენ მაინც ვერ ვვლირსებით აქ არა თუ ქალაქის ფული ოქროსთან გათანასწორებას, არამედ მისს ერთს დაბალ დონეზე გაჩერებასაც კი. ერთად ერთი გამოსავალი გზა ჩვენთვის არის იგივე ლეგალური დევალვაცია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი ფინანსების გამოსწორება თუ ამ გამოსწორებას სხვა ობიექტიური პირობები არ უშლიან ხელს. მთავრობამ უნდა შეამციროს მაშასადამე ქალაქის ფული იმ რაოდენობამდე, რომელსაც ცირკულაცია საჭიროებს. ეს დიდს პერტურბაციებს და არეგულარევას გამოიწვევს, განსაკუთრებით სესხების საკითხებში, მაგრამ სხვა გზა არ არის. ასე შემცირებულ ქალაქის თანხას მთავრობამ სარჩულათ ოქრო უნდა დაუდოს. თავის თავათ ცხადია ამასთანავე, რომ ნაძალადევი კურსიც უნდა მოიხპოს. ე. ი. ყველას უნდა ექნეს უფლება გადასცვალოს პირველ მოთხოვნაზე ქალაქი ოქროზე. ჩვენ არ ვიცით კარგად ჩვენს მთავრობას ამისათვის რამდენი ეყოფა ოქროს ფონდი, მაგრამ თუ არ მოეპოება მან სესხის საშუალებით უნდა მოიპოვოს იგი.

დღეს არსებული ახლათ აღმოცენებული სახელმწიფოები მიტომაც ძალიან უფროსიან დევალვაციას. საკვირველია, რომ ამას სწორეთ ის სახელმწიფონი სჩადან, რომელნიც სხვაფრივ არავითარ გაბედულს სოციალურ ექსპერიმენტებს არ ერიდებიან.

ზემოაღნიშნული პროექტები სახელმწიფოს ფინანსიურ პოლიტიკას შეეხებიან. ამ მხრივ მათ ლოკალური ხასიათი აქვთ, მაგრამ როდესაც ამ პროექტებს ვითვალისწინებთ არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი: შესაძლებელია სახელმწიფოს ფინანსები არეული იყოს მარტო იმიტომ კი არა, რომ სახელმწიფოს ფინანსიური პოლიტიკა არ ვარგა, არამედ იმიტომაც, რომ მთელი სახელმწიფოს გაჯანსაღებას სხვა მიზეზები უშლიდენ ხელს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ფინანსებს ვერავითარი ფინანსიური პოლიტიკა ვერ გამოაკეთებს. თუ მთელი სხეული რაიმე სენით არის შეპყრობილა, მაშინ სულელი იქნება ის აქიმი, რომელიც ამ სხეულის ცალკე ასოებს დაუწყებს კურნებას და მთელს კო არ იქონიებს მხედველობაში.

თ ა მ ბ ა ქ ო¹⁾

ფინანსურის თვალსაზრისით სახელმწიფო განსაკუთრებით მზრუნველობით ეკიდება თამბაქოს კულტურას ევროპაში. თამბაქო პირველი მოთხოვნილების საგანი არაა, რომ მისი გადასახადი მძიმეთ დააწვეს ხალხის უღარიბეს ნაწილს. თამბაქო უმთავრესათ ასაკში შესულ მამაკაცთა სიამოვნების საგანს წარმოადგენს. ამისათვის ფინანსური მეცნიერება ცდილობს შეეძუშაოს ისეთი ფორმა თამბაქოს გადასახადისა, რომელიც 1) სახელმწიფოსათვის უზრუნველჰყოფს რაც შეიძლება მაღალ თანხას წლიური შემოსავლისას ე. ი. არ ერიდება დაბეგვრის სიმძიმეს, მაგრამ 2) უზრუნველჰყოფს თამბაქოს კულტურის დაცვა-განვითარებას სახელმწიფოში, რომ იმით შენახულ და გაუმჯობესებულ იქნეს ეს წყარო ხაზინის შემოსავლისა.

მაგრამ ჩვენ აქ გვიანტერესებს განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომელშიაც უმთავრესათ შეძლევი ორი მიმართულებაა: სახელმწიფო მონოპოლია (რომელიც განიოჩევა ჩვენში წარმოებულ მონოპოლიისაგან) და გადასახადის გაწერა და აღება ან ფოთლოვან თამბაქოდან მიწის სივრცის მიხედვით, ან მცენარეთა რიცხვისა ან ფოთლოვან თამბაქოს წონის მიხედვით ან და კიდევ დამზადებულ თამბაქოს, ფაბრიკატის მიხედვით.

მონოპოლია უცხოეთში:

ყველაზე ადვილი და მარტივი ფორმა მონოპოლიისა გახლავთ ინგლისური სისტემა: აკრძალვა თამბაქოს მოყვანისა სახელმწიფოს საზღვრებში, რასაც სასტიკათ ატარებენ ხოლმე ცხოვრებაში და დაწესება მაღალი შემოზიდულ გადასახადისა უცხოეთის თამბაქოზე. ამ სისტემას მისდევდენ ჰოლანდია, შვეიცარია, დანია, შვეცია და ნორვეგია.

ამ სისტემით სახელმწიფოში სრულიათ მოსპობილია თამბაქოს წარმოება, რაც ათავისუფლებს გადასახადთა ამკრფე აპარატს იმ ძნელ რთული საქმისაგან, რასაც წარმოადგენს რეგისტრაცია თამბაქოს მიჩნეულ რაიონებში, აქ საჭიროა მხოლოდ კარგათ მოწყობილი საბაჟო და სახელმწიფოში ხმარებულ თამბაქოს დანაწილება ხარისხებათ. შემდეგ დაწესდება ბაჟი შემოზიდულ თამბაქოზე. ბაჟი ჩვეულებრივ მაღალია. მაგრამ ეს ფორმა მონოპოლიისა მისაღებია ისეთ ქვეყნებისათვის, სადაც ჰავის გამო თამბაქო ან სულ არ მოდის ან ისე მცირე, რომ მისი სრულიათ მოსპობა საგრძნობ ზარალს არ მისცემს სახალხო მეურნეობას. ჩვენთვის ეს ფორმა მიუღებელია. თვით ინგლისმაც კი ნება დართო ომის წინ თამბაქოს მოყვანისა.

მეორე ფორმა მონოპოლიისა უფრო გავრცელებულია და შეიცავს თამბაქოს ფაბრიკაციის გადასვლას სახელმწიფოს ხელში. თამბაქოს სჭრის, ამზა-

¹⁾ ეს დიდი და რთული საკითხია და მის ობიექტიურ ყოველ მხრივ გარკვევისთვის რედაქცია აძლევს ყველას საშუალებას, რედ.

დებს, პაპიროსებს თუ სიგარებს უშვებს თვით სახელმწიფო საკუთარ ქარხნებში. თამბაქოს ფაბრიკაცია ხდება ამგვარათ სახელმწიფო რეგალიათ. ეს ფორმა მონაპოლისა გავრცელებული იყო ომამდე საფრანგეთში, ავსტრია უნგრეთში, ჰესპანიაში, იტალიაში, რუმინეთში ოსმალეთში, სერბიაში, პორტუგალიაში, იაპონიაში და სხ. რასაკვირველია, მონაპოლია ყველგან არსებულ ჩვეულებადაც მოერგო და სხვა და სხვა ნიუანსები მიიღო ამა თუ იმ ქვეყნებში. ჩვენ მხოლოდ ტიპიურ, დამახასიათებელ მაგალითებზე შევჩერდებით. ასეთია საფრანგეთი და ავსტრია.

აქ აკრძალულია ყველა კერძო პირთათვის ადმინისტრაციის ნებადაურთველათ თამბაქოს მოყვანა და განსაზღვრულია რამოდენიმე რაიონებით, სადაც ეს კულტურა თავმოყრილია. ეს ხდება უმთავრესათ კონტროლის გასაადვილებლათ. კონტროლისვე გასაადვილებლათ შემოდებული ჰქონდათ რაიონებისა და პლანტაციათა სივრცის განსაზღვრა: ასე მაგ. საფრანგეთში მხოლოდ 15 დეპარტამენტში, ავსტრიაში რამოდენიმე მაზრებში შეიძლებოდა თამბაქოს მოყვანის ნებადართვა აეღოთ. თუ რომელიმე სხ. დეპარტამენტის მცხოვრებნი მოითხოვდნენ ნებადართვას, მათ ადმინისტრაცია პირობათ დაუდებდა მოეყვანათ ასი ათასი კილოგრამი თამბაქო მაინც, რაც ითვლებოდა მინიმუმათ საკონტროლო აპარატის შესანახავათ. მაგრამ ეს ცოტაა. ყოველი პლანტაციის სივრცე არ უნდა იყოს 20 არზე ნაკლები. ეს ზომა არის მიმართული პლანტაციათა დაქუცმაცების წინაღობად და გამომუშავებულია, რასაკვირველია, კონტროლის გასაადვილებლათ. შემდეგ მთავრობა იუშვავებს, იკვლევს თუ რომელი ხარისხის თამბაქოს რაოდენობა დასჭირდება ფინანსთა სამართველოს და პროპორციანააღურათ ანაწილებს ამ რაოდენობას პროვინციებზე და ატყობინებს დეპარტამენტების პრეფექტებს რა სივრცის უნდა იქნეს პლანტაციები ყოველ მიჩნეულ დეპარტამენტში, რამდენი თამბაქო ბუჩქი უნდა მოვიდეს ჰექტარზე და რა ფასებში ჩაიბარებს მთავრობა თამბაქოს. თესლი მოჰყავს თვით მთავრობას და არვის სხვას უფლება არა აქვს თესლი მოიყვანოს. მთავრობა თვითონ ურიგებს თესლს მსურველთ; რომელიც აცხადებს ადმინისტრაციაში, რომ მას სურს თამბაქო მოიყვანოს. მაგრამ პლანტატორმა მთავრობას უნდა წარუდგინოს კიდევ თავდები, რომელიც პლანტატორთან ერთად პასუხს აგებს, რომ მთავრობას ჩააბარებს მიჩნეულ რაოდენობას თამბაქოსას. წინასწარ განსაზღვრულია რამდენი ფოთლები უნდა ჰქონდეს თითო ბუჩქს, რამდენი ბუჩქი უნდა იყოს თითო ჰექტარზე; მკაცრი მიწერილობაა, რომ ბუჩქები უნდა იყოს მწყობრათ განაწილებული კვალ და კვალ ლარივით სწორ ხაზზე და ბუჩქთა შორის დატოვებული უნდა იყოს თავი უფლათი გასასველი არე და სხ. ერთის სიტყვით საშინელი აუწერელი ზედამხედველობაა და კონტროლი თხოვლობს ფრიად რთულ ფორმალობას, რაც ნამეტნავათ ამძიმებს თვით წარმოებას. თუ ჰექტარზე ნორმაზე მეტი ბუჩქი აღმოჩნდება, ან თითო ბუჩქზე ნორმაზე მეტი ფოთლების საერთო რიცხვი, ხელმეტი ბუჩქებიც და ფოთლებიც მოთხრილ მოტეხილი იქნებიან და განადგურებული. კონტროლი ამოწმებს როგორც პლანტაციის სივრცეს, ისე ბუჩქთა რიცხვს და ფოთლების

რაოდენობას ბუჩქებზე. აქ კონტროლი ფრიად შემაწუხებელია მწარმოებლისათვის, რომელიც აბსოლიუტურად დამოკიდებულია კონტროლს პერსონალურ შემადგენლობისაგან. თუ უამინდობის გამო მწარმოებელს თამბაქო დააკლდა ჩაბარებისას, მან დანაკლისი უნდა ჯზლოს მთავრობას ფულათ. თუ მწარმოებელს ნორმაზე მეტი მოუვიდა, ზედმეტს გაუნადგურებენ. აქედან ცხადია, რომ თამბაქოს მოყვანას საფრანგეთში ხალისი დაეკარგა. მას იცავს მხოლოდ მაღალი ფასები მთავრობის მიერ დაწესებული, რომელიც მონოპოლიურ პირობებში ერთად ერთი გამსაღებელია თამბაქოს მთელს სახელმწიფოში. მწარმოებელი აბარებს თამბაქოს მთავრობის საწყობებში და ფაბრიკებში, რომელთა რიცხვი მაგ. ავსტრიაში 30-ია. ამავე ფაბრიკებში უნდა დამუშავდეს სახელმწიფოს მიერვე გამოწერილი უცხოეთის თამბაქო, რომლის გამოწერა კერძო პირთათვის აკრძალულია. გადამუშავებული თამბაქო და პაპიროსები გროვდება მთავრობის საწყობებში, საიდანაც ურიგდება ვაჭრებს მომხმარებლებზე გასასაღებლათ. ასეთ თამბაქოს ვაჭრებათ მიღებულია, ნება დართული იყვნენ პოლიტიკურათ კეთილსამიედო პირები და მათა ოჯახები და სხ. ერთის სიტყვით, თამბაქოს გასაღებით სახელმწიფო სარგებლობს ერთგვარი პენაის უზრუნველყოფისათვის.

ამგვარათ აქ კონტროლი ფრიად განვითარებული, ყოველ წვრილმანში შეჭრილია. რაც უფრო მაღალია გადასახადი თამბაქოზე, მით უფრო რთული და მძიმეა კონტროლი და მისი აპარატი. მაგრამ რითია ცუდი ან კარგი ხსენებული მონოპოლია ფინანსიურის თუ ეკონომიურის თვალსაზრისით?

კ რ ი ტ ი კ ა.

ასეთია ფორმები თამბაქოს მონოპოლიისა უცხოეთში. იგი სახელმწიფო რეგალიას წარმოადგენს ავსტრიასა, საფრანგეთსა, უნგრეთსა, იტალიასა, რუმინიასა და სერბიაში; ამ მონოპოლურ უფლებებს ზოგან იჯარით აძლევენ საზოგადოებათ მაგ. ჰესპანიასა და პორტუგალიაში; ზოგან კიდევ იგი გადაცემულია კერძო საზოგადოებაზე, მაგრამ სახელმწიფო მაინც მონაწილეთ რჩება, მაგ. ოსმალეთში. მთავარი მონოპოლური პრინციპი კი ყველგან ერთი და იგივე რჩება. ჩვენ შეგვაძლია ეხლა ვიკითხოთ რანდენათაა სასარგებლო ევ მონოპოლია სახელმწიფოსათვის, და სახალხო მეურნეობისათვის. პირველათ ევ მონოპოლია შემოდებული იქნა საფრანგეთში 1811 წ. ნაპოლეონის მიერ. წინადროს სამი წლის განმავლობაში კი საფრანგეთს ჰქონდა სულ 14.474 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციებისა, რომელიც მუშავდებოდა 43 დეპარტამენტში და მოსავალი უდრიდა 16,5 მილიონ კილოგრ. გამოცხადდა მონოპოლია, შემოიღეს ზემოხსენებული კონტროლს მძიმე ფორმალობა, რაც აუცილებელია მონოპოლიისათვის, და შედეგად ის მოჰყვა მონოპოლიას, რომ იმავე წელს თამბაქოს პლანტაციათა სივრცე შემცირდა და წარმოადგენდა მხოლოდ 7.138 ჰექტარს, მეორე წელს კი ე. ი. 1813 წ. მხოლოდ-და 5.238 ჰექტარს. ამ ვარათ მონოპოლიას თან მოჰყვა თამბაქოს კულტურის საშინელი დაცემა საფრანგეთში. ამან გამოიწვია შემოზიდულ, უცხო თამბაქოს გავრცელება, იმპორტის გადიდება. მონოპოლია-

მდე საფრანგეთი ხმარობდა მხოლოდ 5% უცხო თამბაქოს და 1883 წელს კი მაგ. ე. ი. მონოპოლიის შემოღებისა და განმტკიცების შემდეგ საფრანგეთი ხმარობს უკვე 56% უცხო თამბაქოს და მხოლოდ დანარჩენს 44% თავისას. მონოპოლიამ ცხადია ხელი შეუწყო საკუთარ მეთამბაქოობის დაცემას და უცხოეთის თამბაქოს იმპორტს. მაშინ როდესაც მონოპოლიამდე, მაგ. 1810 წ. საფრანგეთს წლიურად გაჰქონდა უცხოეთში თავისი თამბაქო 1.164,500 კილოგრ.; მონოპოლიის შემდეგ კი მაგ. 1830 წლამდე მას გაჰქონდა წლიურად მხოლოდ 840.000 კილოგრ.; 1860 წ.-წ.—500 ათასი კილოგრამი და 1884 წ. საკუთარ თამბაქოს გაზიდვა უცხოეთში იმდენად შემცირდა, რომ იგი ჩამოვარდა 31.000 კილოგრამამდე. ამგვარად მონოპოლიის შედეგი საფრანგეთისათვის სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით უარყოფითი შეიქნა. მაგრამ უკეთესი შედეგი არც სხვაგან მოჰყოლია. ავსტრიაში მონოპოლია 1870 წლიდან არსებობს. სახალხო მეურნეობაც მასთან შეჩვეული და მორგებულია. შედეგი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით მინც უარყოფითია. მაგ. 1881 წ. ავსტრიის მთავრობამ ჩაიბარა 371.000 ცენტნერი საკუთარი, ავსტრიაში მოყვანილი თამბაქო და იმავე წელს უცხოეთიდან კი შეიძინა სულ მხოლოდ 76.500 ცენტნერი. ოთხიოდე წლის შემდეგ, 1885 წ. კი ავსტრიაში მოვიდა და მთავრობას ჩაბარდა მხოლოდ-ღა 226.000 ცენტნერი თამბაქო და უცხოეთიდან კი შემოტანილ იქმნა 106.000 ცენტნერი თამბაქო. ასეთივე მაგალითებია რუმინიაში, ჰესპანიაში, ოსმალეთში და სხ. თვით საფრანგეთში, სადაც თამბაქოს კულტურას იმდენი მზრუნველობა აქვს მთავრობის მხრივ, მთელი საუკუნის განმავლობაში, რომლის მანძილზე მონოპოლია არსებობდა არ იქნა და თამბაქოს მოყვანა მთელი თავისი ძველი სიძლიერით ვერ ადგა, ვერ გაჩაღდა. მართალია თამბაქოს მოსავალმა ცოტათი იმატა და 1883 წ. თამბაქოს პლანტაციითა სივრცე ავიდა 14.225 ჰექტარამდე, მაგრამ შემოზიდულ-გაზიდულ თამბაქოს რაოდენობა ამავე წლებში მოწმობს, რომ ეს სივრცე ვაზდომ მოხმარებასთან შედარებით სრულიად არ უდრის თამბაქოს მოყვანის იმ როლს, რომელსაც ეს კულტურა თამაშობდა სახალხო მეურნეობაში 1841 წლამდე ე. ი. მონოპოპოლიის შემოღებამდე. მონოპოლიის შემოღებას თან მოჰყვა მკაცრი კონტროლი, რომლის გამო აიკრძალა პირდაპირ ან და შეფერხდა აუტანელ ფორმალობის გამო მეთამბაქოობა ყველა რაიონებში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც მეთამბაქოობა უფრო წვირალ მასშტაბით სწარმოებდა და შეჯგუფდა ე. ი. მოხდა ერთგვარი კონცეპტრაცია მეთამბაქოობისა ძსხვილ წარმოობის რაიონებში. მეთამბაქოობის სვრცის ამგვარი შემოღებით დაიჩაგრა და დაზარალდა ეკონომიურად ჯერ წვირალი მწარმოებელი და შემდეგ ძსხვილიც. მონოპოლიამ შეაძვირა, დააზიანა მეთამბაქოობა. კონტროლის ოთულ ფორმალობას და მიმე აპარატს შეეწირა ყველა ის თამბაქო არ მოჰყავდათ ძსხვილ ვრცელ პლანტაციებზე, რომელთა სივრცე ნორმით წინასწარ განსაზღვრულ იყო და არსად არავია არ შეუძლია თამბაქოს მოყვანა თუ პლანტაციის სივრცე ნორმაზე მცირე იქნება და თუ მიჩნეულ რაიონში არ იქნება მოყვანილი თამბაქოს წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობის ერთგვარი მინიშუი, როგორც უზრუნველყოფი თვით კონტროლის

აპარატის შენახვისა. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფისკის ინტერესს და არა სახალხო მეურნეობის საჭიროებას. შეგიძლიათ მიპასუხოთ, კონტროლი შევამსუბუქოთ და შევიწროებას ადგილი აღარ ექნება. მაგრამ მაშინ მეთამბაქოობას მაინც ვერ უშველით და ხაზინას კი ძალიან დავაზარალებთ. თუ კონტროლი შესუსტდა სწრაფად განვითარდება და გავრცელდება კონტრობანდა. საუკეთესო მაგალითია ოსმალეთი: აქ სულ წლიურად ნორმალურად მოდის 31 მილიონი კილოგრ. თამბაქო; აქედან მხოლოდ ხუთი მილიონი მიდის და მუშავდება სამონოპოლიო საწყობებსა და ქარხნებში. დანარჩენი 26 მილიონი კი საზღვარგარეთ გადის, მაგრამ ისე, რომ დაახლოებით 12,5 მილიონი შეადგენს ექსპორტს და 13,5 მილიონი კი კონტრაბანდით გაზიდულ თამბაქოს რაოდენობას. ეს კი დიდ ხარალს აძლევს ხაზინას და სრულიად არ ამსუბუქებს მეთამბაქოობის საერთო შევიწროებულ მდგომარეობას. ამას დაუმატეთ განსაკუთრებულ პოლიტიკური პირობები და ფინანსური დამოუკიდებლობა ოსმალეთისა ევროპიდან ომამდე და ნათელ ექნება, რომ მონოპოლია მკაცრი კონტროლით აუცილებელია თუ ფისკის ინტერესები გსურთ დაიცათ. მონოპოლიის მიზანიც ხომ ესაა, მაგრამ მეთამბაქოობის შემცირებით არ ამოიწურება მონოპოლიის უარყოფითი მხარეები.

მოყვანილი თამბაქო, თვით მსხვილი წარმოებით განსაზღვრულ რაიონებიდან, ხომ უნდა ჩაბარდეს მთავრობას. აქ მეთამბაქოე დაპირისპირებულია ერთად ერთ მყიდველთან, რომელსაც წარმოადგენს მხოლოდ მთავრობის მოხელე, თამბაქოს მიმღები აპარატი. მოხელეს თვითნებობა, ჩაყინება, შეცდომები, რომელიც გამომდინარეობს მთელ წარმოებულ ოპერაციიდან, რასაკვირველია, აზიანებს როგორც მწარმოებელს ისე ხაზინასაც. მექრთამეობას აქ დიდი გასავალი აქვს ყველგან. მაგრამ ძალიან ხშირად ატყუილებენ მეთამბაქოებს წონაშიაც; იყო შემთხვევები მაგ. რომ ზოგი თამბაქო ზომავს მეტად შეათასეს მოსყიდვის გამო ან და უნით თუ სხვა მოსაზრებით სამართლიან ფასზე დაბლა შეათასეს. ეს გარემოება კი მწარმოებელს ვერ წაახალისებს თავის საქმიანობაში.

თამბაქოს დამუშავებაშიც მონოპოლია წარმოებას სცემს და არა სწევს, რადგან იგი ცდილობს ყოველთვის და ყოველგან, რომ ნაწარმოები გაამარტივოს, გააერთფეროვნოს, რაც შეიძლება ნაკლები ხარისხები იქონიოს და ისიც მდარე ხარისხისა. ხშირია საფრანგეთში და რუმინიაში მდარე ხარისხის უცხო თამბაქოს შეზიდვა. მაგ 1887 წ. წაიღეს ასეთი თამბაქო ნეჟინიდან, რომელსაც ჰყრიდენ საწყობის მეპატრონენი. ამას შვრებიან ნაწარმოების გასაათებლად და ზედმეტი ფასის დასადებათ ნაწარმოებზე. კონკურენციის შიში ხომ არ არის სახელმწიფოში და ყოველი ნაწარმოები უნდა ძალაუნებურად გასაღდეს მომხმარებელთა მასაში. მაგრამ სწორედ საკუთარ ნაწარმოების სიცულის გამო მონოპოლიის ქვეყნებში ხშირია კონტრაბანდა იმ ქვეყნებიდან, სადაც მონოპოლია არ არის და კონკურენციის გამო მწარმოებელნი ცდილობენ საუკეთესო ნაწარმოები გაიტანონ ბაზარზე. მაგ. საფრანგეთში, საბაჟოს მკაცრი ზომების მიუხედავად გავრცელებული იყო ომამდე 2.000.000 კილოგ. კონტრაბანდით შეზიდულ თამბაქოსი. ე. ი. 20% მთელი შეზიდულ თამბაქოსი.

ყველა ნათქვამს უნდა დაემატოთ ისიც, რომ ხაზინის მიერ წარმოებულ იფაბრიკაცია ე. ი. მონოპოლია არც იმდენ მოგებას აძლევს ფისკს, როგორც ჰგონიათ. აი რისთვის. მათალია საერთო ჯამი შემოსვლისა ყველა სახელმწიფოებში დიდია სადაც მონაპოლიაა, მაგრამ დიდი ნაწილი ამ შემოსავლის უაყოფოთ იხარჯება თვით წარმოებისათვის. ასე მაგ. საწარმოო ხარჯები შეადგენენ საერთო შემოსავლის (და არა წმიდა შემოსავლის) 28% საფრანგეთში; 38% ავსტრიაში; 47,5%—იტალიაში და 44% ჰესპანიაში მაშინ როდესაც ასეთი ხარჯები წარმოუდგენელი და გაუგონარია კერძო წარმოებებში. საერთო შემოსავლის თანხები რომ ავიღოთ გასულ საუკუნის ბოლოს, მივიღებთ, შემოუვიდა სულ საერთოდ წლიურათ:

საფრანგეთს	336.381.000 ფრ.
იტალიას	150 518.114 ლირა
ავსტრიას	126.952.689 კრონა.

მცხოვრებთა თითო სულზე, მაშასადამე, თამბაქოს შემოსავალი უდრიდა (მარკებათ რომ ვიანგარიშოთ) საფრანგეთში—6,87 მარკას; ავსტრიაში—4,23 მარკას; იტალიაში—3,87 მარკას რუსეთში კი მაგ. (სადაც მონოპოლია არ იყო) —0,78 მარ. შეიძლება იფიქროთ რომ მონოპოლია აძლევდა საფრანგეთს და სხ. დიდ შემოსავალს? თუ გამოვიანგარიშებთ სად რამდენი თამბაქო იხარჯებოდა თითო სულზე და სად რამდენი გადასახადი უწევს თითო მომხმარებელს მივიღებთ შემდეგ ციფრებს:

საფრანგეთში ხმარობდენ თითო სულზე	1,07 კილოგრ.
ავსტრიაში	1,44 „
იტალიაში	0,61 „

და რუსეთში (სადაც მონოპოლია არ იყო) 0,75 კილოგრ. თითო კილოგრამ მოხმარებულ თამბაქოზე უწევდა გადასახადი:

საფრანგეთში—6 მარკა; ავსტრიაში—3 მარკა. იტალიაში—6 მარკა და რუსეთში მხოლოდ ერთი მარკა. მაშასადამე ის დიდი შემოსავალი, რომელიც ეწერება აქტივში მონოპოლიას შედეგი ყოფილა მაღალი დაბეგვრისა და არა ბევრით მონოპოლიის სისტემის უპირატესობისა.

გარდა ამისა მონოპოლიით ყველგან ჩამოეცალა კერძო თაოსნობას, კერძო მრეწველობას დიდისაგან დიდი ასპარეზი, რომლის სავსებით ამოწურვით სარგებლობა სახელმწიფოს არ შეუძლია. დამტკიცებულია, რომ მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, საფრანგეთის მთავრობას 50%-ით მეტი უჯდება ფაბრიკაცია, ვიდრე უჯდება ან დაუჯდებოდა კერძო წარმოებას; ამის გარდა რომ მეთამბაქოობა სულ არ დაეცეს, მთავრობა იძულებულია ფრანგულ წარმოების თამბაქოში 30%-ით მეტი აძლიოს მეთამბაქოს ვიდრე დაუჯდებოდა კერძო მწარმოებელს. შემდეგ, მთავრობა იძულებულია ამზადოს მუდმივ ერთი და იგივე სოორტები; საზღვარ-გარეთაც იძენს ერთსა და იგივე სოორტებს თამბაქოსას. ამით ხაზინას არ შეუძლია ისარგებლოს ბაზრის ცვალებადობით, რადგან მისი მოთხოვნილება წინასწარ განსაზღვრულია. ხაზინა აგებს ყოველ შეთხვევაში 20% უცხო თამბაქოს შეძენისას. დიდი დანაკლისია ხაზინისათვის აგრეთვე

უნაყოფოთ გადატან-გადმოტანა თამბაქოსი ყიელა ქარხნებში მარქათის გასათანაბრებლათ. ერთის სიტყვით არ არის არც ერთი ფაჩა წარმოებისა, სადაც ხაზინა არ აგებდეს და რამოდენიმე ათეულ პროცენტით უფრო ძვირათ არ იჯენდეს ნაწარმოებს ვიდრე ამას იქმდა კერძო მწარმოებელი. აქედან ცხადია, რომ მონოპოლიის შედეგი ფრიად საეჭვოა როგორც ეკონომიურათ ისე ფინანსაურათაც. მონოპოლიის მოჰყვა უწინარეს ყოვლისა მეთამბაქოობის შემცირება. მცირდება მეთამბაქოობა—ზარალდება მეთამბაქო მწარმოებელი; გადადის ფაბრიკაცია სახელმწიფოს ხელში—ზარალდება მრეწველი და ორივეს დაზარალება, მეთამბაქოესი და მრეწველის ისეთია, რომლის სავესებით ანაზღაურება ვერ ხდება მონოპოლიით სახელმწიფოს მიერ ვერც ეკონომიურის, ვერც ფინანსიურის თვალსაზრისით. შემცირებული მეთამბაქოობა ამცირებს ძალზე დაბეგვრის ობიექტს—თამბაქოს; გაერთფეროვნებული და დაცემული ფაბრიკაცია იწვევს იმპორტს და კონტრაბანდს; ორივე ეს მოვლენა ამცირებს ხაზინის შემოსავალსაც და ხელს უშლის სახალხო მეურნეობის საუკეთესო დარგის—მეთამბაქოობის განვითარებასაც.

მაგრამ პოლიტიკურათაც მიუღებელია მონოპოლია. იგი ჩმნის დამოუკიდებელ წყაროს შემოსავლისას მთავრობებისათვის და მით ამცირებს, ავიწროებს ხალხის, პარლამენტის საბიუჯეტო უფლებას. გარდა ამისა, მონოპოლია ჩმნის დიდ ლაშქარს მთავრობისაგან დამოკიდებულ პირთა და წრეთა და ამლიერებს პოლიტიკურათ მთავრობის პირდაპირი თუ არა პირდაპირი ძალა-უფლებას მწარმოებელთა და სხ. დამოკიდებულთა მასაზე.

ფაქტიურათ მონოპოლიამ ვერ იხეირა ვერც ერთ ქვეყანაში: მან ყველგან გამოიწვია მეთამბაქოობის დაცემა, თამბაქოს ექსპორტის თითქმის მოსპობა და იმპორტის გადაჭარბებულათ გაზრდა; ფაბრიკატების გაცუდება და ამით ისევ იმპორტისა და განსაკუთრებით კონტრაბანდის წაქეზება—გაჩაღება. მეთამბაქოობა იმდენათ დაეცა, რომ არამ თუ გაუსწორდა გაზრდილ მოთხოვნას ბაზარზე, პირიქით ჩაპორჩა თავის პირვანდელ, პრემონოპოლიურ მდგომარეობასაც კი. ფისკი ლებულობს ფორმალურად მაქსიმუმს, რისი აღებაც შეუძლია არსებულ თამბაქოდან, მაგრამ თამბაქოს შემცირებისა და იმპორტ—კონტრაბანდის გაზრდისა და ზედ მეტი ხარჯების გამო ფისკებს საერთო შემოსავალი არაა ისეთი დამაკმაყოფილებელი, როგორც აბსოლიუტური ციფრები ჰქმნის შთაბეჭდილებას. შემოსავლის ზრდა შედეგია დაბეგვრის სიმალლის და არა მონოპოლიის განსაკუთრებულ წესებისა, მაშასადამე, ფისკი მეტს მოიგებს ერთი და იმავე გადასახადს დაწესებით მაშინ, როცა თამბაქოს მოსავალი მეტი ე. ი. მონოპოლიის გარეშე, ვიდრე თამბაქოს მოსავლის შემცირებით ე. ი. მონოპოლიის დროს.

სისრულისათვის აქ ერთი რამ უნდა დაკუმატოთ; მონოპოლიას შეუძლია კიდევ მცირეოდენი რეზონდენტრი იქონიოს იქ, სადაც იგი საუკუნობით არსებობს მაგ. საფრანგეთი და ავსტრია, სადაც სახალხო მეურნეობა, მწარმოებელთა და მშრომელთა ფსიხოლოგია მას შეჩვეულია მონოპოლია არ იწვევს წარმოების და მშრომელთა გადაჯგუფებას, მწარმოებელთათვის სპეციალობაზე ხელის აღებას.

და ახალი საწარმოო დარგის ძებნას. მაგრამ რაგოზინის არ იყოს, მონოპოლიაზე ვერც ამ ჭყეუნებში დაამყარა ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფდა წარმოების ხელშეუშლელ განვითარებას და ფისკის უდიდეს შემოსავალს. სწორეთ- ამით აიხსნება რომ მონოპოლიის ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა ამ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც სურდათ მისი შემოღება მაგ. ბის-მარკის დროს, რუსეთში და შეერთებულ შტატებში. დამაფიქრებელი იყო მთავ-რობათათვის გარდა ზემო მოყვანილ მოსახრებათა ის გარემოებაც, რომ ძალზე დიდი თანხა სჭირდებოდა ხაზინას იმ მრეწველთა, მწარმოებელთა და ვაჭართა-ხარალის ასანაზღაურებლათ, რომელთაც ურცყამდა მონოპოლია.

ა ქ ც ი ზ ი .

თამბაქოსაგან შემოსავალი ხაზინას შეუძლია აიღოს კიდევ, გარეშე მონო-პოლიისა, აქციზის დაწესებით. ეს წესი უკეთესია. იმ მოსახრებით, რომ აქ- გადასახადი ხვდება საქონელს სწორედ მაშინ, როდესაც ის მომხმარებლის ხელ-ში უნდა გადაიდეს; იბეგრება გადასახადით პირდაპირ მხოლოდ მომხმარე-ბელი. აქ ადგილი აღაზა აქვს გადასახადის გაღებას პირველ მწარმოებლისაგან და მის გადაჩანას შუამავალ ოპერაციებზე, აქედან კიდევ მექარხნებზე თუ მომხმარებლებზე; ამ პროცესის გვერდის აქცევით, ისპობა ის სოციალური უსამართლობა, რომელიც მდგომარეობს, მასში რომ საქონელი გადასახადით და-ბეგრული დაწყებითი თუ შუამავალ ოპერაციებში, ყოველთვის უფრო მეტათ-ძვირდება ოპერაციების შემდეგ საფეხურებზე, ვიდრე თვით გადასახადის რაოდენობას შეესიტყვება. მაგ. თუ მეთამბაქოე იხდის გადასახადს ფუთზე თუმანს-თამბაქოს მოყვანისათვის, იგი ფასს თუმნით კი არ ასწევს გასაღებისას არა-მედ. ხუთმეტრი მან. მაგ. თუ ყოველ მყადველს კიდევ ახალი გადასახადი ექნება-გასაღები ფუთ თამბაქოზე ხუთი მან. იგი მექარხნეს რომ მიჰყიდის თამბაქოს-შვიდი-რვა მანათით აუწევს კიდევ ფასს. თუ მექარხნესაც ექნება ასეთი გადა-სახადი, ისიც ეცდება ორმაგათ მიიზლოს ხაზინისთვის ჩაბარებული გადასახა-დის რაოდენობა. აქ, რასაკვირველია, არაფერს აგებს არც ერთი მწარმოებელი-და ვაჭარი; აქ არაფერს იგებს ხაზინა ზედმეტი ფასების წამატებით ვითომ-გადასახადების საფასურის ასანაზღაურებლათ, მაგრამ სრულიად უმიზნოთ ზა-რალდება მომხმარებელი, რომელსაც აწვება გაორკეცებული რაოდენობა იმ-გადასახადთა თანხისა, რომელსაც იხდიან კანონით მეთამბაქოე, ვაჭარი და მექარხნე და რომელსაც ყოველი მათგანი კიდევ აორკეცებს ტრანსაქციების-დროს. როდესაც აქციზი შემოღებულია და ფაბრიკატებზეა დაწესებული, მაშინ იგი პირდაპირ ხვდება მომხმარებელს, რომელიც იხდის ფაბრიკატის შექმნისას დაახლოვებით იმდენს, რამდენიც მართლაც შესდის ხაზინას გადასახადის თუ-ბაჟის სახით. ამ უპირატესობასთან ერთად აქციზს კიდევ ის დადებითი მხარე აქვს, რომ მით შეიძლება დაბეგრეთ; დაჰბაჟოთ თამბაქოს ყველა ხარისხები: უმაღლესი უმაღლესათ და უმდაბლესი ხარისხი უმდაბლეს ბაჟათ, რაც არ-შეიძლება სხვაგვარ წესით. აქ გაქვთ საბოლოო თ დაწესებული, დამხადებული,

მოხმარებაში გადასასვლელად მზა საქონელი სხვადასხვა ხარისხებისა, რომელთაც აქციზი ადვილად ანაწილებს და ჰბაჟავს.

აქციზის ტიპებთა შორის ყველაზე უფრო სრული და ყოველ მხრივია შეერთებულ შტატებისა და რუსეთის ტიპები. რუსეთში აქციზი შემოდებული იყო მონოპოლიისა და სხ. ამგვარ ცდების შემდეგ.

აქციზი შეიცავს ბაჟს უკვე დამზადებულ თამბაქოზე. მაშასადამე სრულიად თავისუფალია ნედლი მასალა, ფურცლოვანი თამბაქო, რომლის მოყვანა სრულიად თავისუფალია და შეუფერხებლად წარმოიბოს. მხოლოდ მკაცრი კონტროლია საწყობების, სადაც გროვდება თამბაქო და ქარხნებისა, სადაც დაცულია თამბაქოს მოძრაობა ყოველგვარ დაკარგვისა და ბოროტმოქმედობის შესაძლებლობისაგან ყოველი მოძრაობა თამბაქოსი, პლანტაციებიდან გამოტანა, დაწყობა საწყობებში, გადაზიდვა ცენტრებში და სხ. ექვემდებარება მკაცრ რეგისტრაციას, კონტროლს, წიგნებში გატარებას. მაშასადამე, საქონელს ხელს ადებს ადმინისტრაცია სააქციზო მართველობისა, როდესაც საქონელი, როგორც ნედლი მასალა, უკვე დამზადებულია, მოყვანილია. თვით მოყვანა თამბაქოსი სრულიად თავისუფალია. მისი რეგისტრაცია—კონტროლი იწყება მაშინ, როცა თამბაქო ამოდრავდება სატრანსაქციოთ. პლანტაციათა აღწერა-რეგისტრაცია სრულად არ შეიცავს რაიმე შემავიწროებელს არც ფორმალურად არც ნივთიერათ (გადასახადის სახით).

ფაბრიკატზე დაწესებული ბაჟი შედის ხაზინაში ბანდეროლების გაყიდვით, რომელიც სხ. და სხ. ხარისხებისათვის სხვა და სხვა ღირებულებისაა.

თუ გსურთ ბაჟი გაადიდოთ, გაამრავლოთ თამბაქოს ბაჟიდან შემოსავალი, თქვენ ასწევთ ბანდეროლების ფასებს და მექანიკურათ მთელი ჯამიც პროპორციულად გადიდდება. თქვენ გჭირდებათ მხოლოდ ქარხანათა და საწყობების კონტროლი, რომ ზედმეტი დამზადებული თამბაქო ბაჟს არ ააცდინონ. აქ აბარატიც მარტივი და იაფია. მოხელეთა ბოროტმოქმედებასაც ადვილი ნაკლები რჩება. ზოგიერთი სახელმწიფონი ძალაან გაიტაცა სწორედ ამ კონტროლის ინტერესებმა და შემოიღეს ისეთი აქციზი, რომელიც ხელს უწყობდა მსხვილ ქარხნებს და სპობდა წვრილებს. მაგ. რუსეთში კანონი მოითხოვდა წინასწარ აეღოთ ქარხნებს განსაზღვრული მაღალი თანხის ბანდეროლები, რაც შეეძლო მსხვილსა და არ შეეძლო წვრილ მწარმოებელს. აგრეთვე აკრძალული იყო მესამე ხარისხის თამბაქოს გამოშვება თუ არა პირველ ხარისხის დამზადებულ თამბაქოს რაოდენობასთან შეფარდებით. რასაკვირველია, დიდ ქარხნებს მსხვილ წარმოებას ცენტრებში ადვილათ შეეძლოთ დიდ ძალი პირველი ხარისხის თამბაქო—პაპიროსების გამოშვება და ამისათვის შეეძლოთ შესატყვისი კიდევ უფრო მეტი მესამე ხარისხის დამზადების უფლება მოეპოვებიათ, რაც არ შეეძლოთ წვრილ წარმოების ქარხნებს პროვინციებში. მთავრობის აზრი აქ ის იყო; რომ მოეხდინა ხელოვნურათ თამბაქოს ფაბრიკაციის კონცენტრაცია მსხვილ ქარხნებში, სადაც კონტროლის გაწევა უფრო ადვილი იყო, ვიდრე პროვინციის სხვა და სხვა კუთხეებში გაფანტულ წვრილ-წვრილ წარმოების პატარა ქარხნებში. ამითი იჩაგრებოდა საშუალო და წვრილი წარმოების ქარხნები.

ჩვენ აქ აღარ შევეხებით სხ. ფორმებს აქციონისას: პლანტაციებზე, ფოთლოვან თამბაქოზე და სხ. რადგან ეს ფორმები მხოლოდ გერმანიაში არსებობდა და ისიც გმობის და გაკიცხვის ცეცხლში. მას არავითარი სერიოზული დამცველი არა ჰყავს არც მეცნიერებაში და არც სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში. ამგვარათ, ფაბრიკატის აქციონს აქვს შიშველი უპირატესობა: 1) ათავისუფლებს შევიწროებისაგან მეთამბაქოობას, ხელს სრულიად არ უშლის თამბაქოს მოყვანის გადიდებას, 2) შესაძლოდ ხდის ფაბრიკატის დაბაჟვას ხარისხების მიხედვით (მახორკა, უმდაბლესი, საშუალო, უმაღლესი, A და B ხარისხები, პაპიროსები, სიგარები და სხ. (нюхательный)). 3) ბაჟი უშუალოდ ხვდება მომხმარებელს. 4) კონტროლიორი მარტივია და არ იწვევს ბევრ ხარჯებს. 5) შემოსავლის გასადიდებლათ არ გჭირდებათ რთული მანიპულაცია, არამედ საჭიროა მხოლოდ სხ. და სხ. ხარისხებზე დადებული ბაჟი გაადიდოთ და მთელი შემოსავალიც სათანადოთ იზრდება რაც ყველაზე უმთავრესია. 6) არ ზღუდავს უბრალო ზედმეტ ფორმალობითაც კი გაზიდვას და მით არაფრით ხელს არ უშლის ქვეყნის ექსპორტის გადიდებას და სავაჭრო ბალანსის გაძლიერებას. ამას გარდა სახელმწიფო არ იზიარებს წარმოების არავითარ რისკს და ისაკუთრებს წმიდა შემოსავალს ბაჟის საერთო თანხის სახით. ფაბრიკატიებზე აქციონს ქვეყნებში წარმოებათა ძლიერი კონკურენციაა და საქონელიც საუკეთესოა. ცნობილია მაგ. რუსეთის თამბაქო და პაპიროსები. საფრანგეთსა და ავსტრია-რუმინია-იტალიას მხოლოდ შეჰქონდათ, რუსეთსა და შვეიცარიულ შტატებს კი გაჰქონდათ თამბაქოც და ფაბრიკატიც. მთელი ინგლისი ჰხმარობს ამერიკისა და რუსეთის თამბაქოს. კონკურენციით ვითარდება, და წინაურდება წარმოებაც, რომელიც ისაკუთრებს უცხოეთის ბაზრებს თვით მონოპოლიის ქვეყნებშიაც. ასეთია საერთოთ მონოპოლიის და სხ. ფორმები თამბაქოს გადასახადებისა ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკაში.¹

როგორი ფორმა ბაჟისა თუ გადასახადისა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის ეკონომიურათ და ფინანსურათ?

ტიტე მარგველაშვილი.

¹) იხ. რაგოზინი „Материалы. Записки и мнѣнія против выденія монополіи. იგივე Исторія табака и система налога.

იანუელი Табачная монополія в Европѣ и вѣроятныя послѣдствія ея введенія в Россіи

იგივე Основн. начала финансовой науки,

იგივე О табачной монополіи в Турціи и Румыніи.

ევბერგი ფინანსიური მეცნიერება

ად. ვაგნერი „ „ „ „

შორეულ აღმოსავლეთის მოკლე აკონომიური მიმოხილვა *)

ი ა პ ო ნ ი ა .

ჩვენი სახელმწიფო აღმშენებლობითი პროცესშია. გარეშე ცუდ პირობებში უნდება მას პოლიტიკურად სახელმწიფოებრივ ფორმაში ჩამოსხმა-ჩამოყალიბება, მაგრამ უფრო ცუდი პირობებია მის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობის განსამტკიცებლათ. რამდენათ ეს პირობები საერთო ხასიათისანი არიან, იმდენათ უფრო გვიძნელდება ჩვენ მათთან ბრძოლა. მაგრამ რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საერთო ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობაზე, რომელიც მოგვცემს საშუალებას საუკეთესო გზების ძიებისას, საჭიროა მოკლეთ მაინც შევფიქროთ, გავითვალისწინოთ ცალკე-ცალკე სახელმწიფოთა მდგომარეობა. ჩვენ ევროპაზე თუ ბევრი არა იმდენი მაინც ვიცით, რომ გვაქვს შეძლება ვიქონიოთ მასზე თაფისებური შეხედულება, ანალიზი გაუკეთეთ ამა თუ იმ მოვლენას, იგივე არ ითქმის ჩვენგან შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ როგორც არიან: იაპონია, ჩინეთი და საერთოდ შორეულ აღმოსავლეთის კუთხეები. ეს მხარეები კი დღეს ისეთ თვალსაჩინო კუთხეებს წარმოადგენენ, რომ საჭიროთ მიგვაჩნია, მოკლეთ მაინც, საერთო ხაზებით, შევხვოთ მის მდგომარეობას. ასეთი შეფასება არსებულ პირობებში მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ ახალ-გზების ძიებაში ვიმყოფებით. გარდა ამისა საზოგადოებაში უკანასკნელ დრომდინაც გამეფებულა აზრი, ვითომ დასავლეთია მხოლოდ ყველაფერი და აღმოსავლეთი იაპონია—ჩინეთი თითქოს საყურადღებოს არაფერს წარმოადგენდეს. ასეთი შეხედულება, შემცდარად უნდა ჩაითვალოს, თუ ჩვენ მოკლეთ მაინც გავეცნობით შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნების წარსულს და აწმყო—ვითარებას, რამდენათ ეს შესაძლებელია იმ მასალათა მიხედვით, რომელნიც ამ ჟამათ ჩვენ ხელთ არის.

მსოფლიო ომმა იმდენათ შეარყია ადრე არსებული ურთიერთობა, რომ მამა-პაპათაგან დაგროვილი სიმდიდრე დოვლათი ჩაყლაპა, გაანიავა და შთელი ივროპა, შიმშილ-სიტუტკლის წინაშე დააყენა. უდიდესმა

*) ეს მიმოხილვა შემოკლებით დაიბეჭდა საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის ორგანოში. ამ ჟამათ უფრო საესეს და უკანასკნელ ცნობებს ვაწვდით მკითხველ საზოგადოებას.

ომმა წელში გასწყვიტა მრავალი სახელმწიფოები—ხოცი მათგანი კი სრულიად გააჩანაგა პოლიტიკურათ თუ ეკონომიურათ.

ევროპის გულისყური უკანასკნელ დროდინაც ამერიკისაკენ იყო მიმართული, რომელიც სარგებლობდა რა შექმნილი პირობებით, უფრო და უფრო უჭერდა იმ მუხრუქს, რომელიც საღტებათ შემოკრული ჰქონდა მის მიერ ანტანტის სახელმწიფოებს, ჯერ კიდევ ომის დაწყებდნ. მთელი ოქრო და განძეულობა ევროპისა გადავიდა ამერიკა-იაპონიის და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ხელში. ამერიკის მიერ ანტანტაზე გაცემული აკანსები და სესხები მილიარდ ფრანკებით განიზომება, რომელთა მარტო პროცენტებს გადახდა უძნელდება ევროპას. აუარებელ ქალაღდის ფულის ნიშნების გამოცემამ, მრეწველობის შესუსტებამ დასცეს: სტერლინგების, ფრანგული ფრანკების, ლირების, მარკების, ავსტრიულ ბონების და სხვათა ფასი. ევროპა საშინელ კრიზისს განიცდის და იძულებულია აღმოსავლეთისაკენ მიაპყროს ყურადღება. ამერიკა გრძნობს ევროპის სისუსტეს და მსოფლიოს ბატონობის ყვარჯენს თან-და-თან ხელში იმაგრებს. გაძვალ-ტყავებულ ევროპას კრიჭაში უღვას და მონროეს პოლიტიკას ვითომ თან და თან აღრმავეებს.

ომის პროცესები საგრძნობლათ გაძლიერდნენ ამერიკის გარდა: იაპონია ჩინეთის ნაწილებში შანხაი-კანტონის პროვინციებში და ნეიტრალურ სახელმწიფოებში.

ამერიკის შემდეგ კი იაპონია გაძლიერდა ყველაზედ უფრო. მისი წარმოება დღეს იმდენათ ძლიერია, რომ განსაზღვრულ დარგებში თვით უძლიერეს ამერიკასაც კი უწევს სათანადო კონკურენციას.

მიუხედავათ მიწის სიმციროსა (მაგ. 1914 წელს ერთ კვადრატულ ვერსზე მოდიოდა 157,4 მცხოვრები. იხ. Вѣстникъ Министерства торговли и промышленности 1914.) იაპონიას მოჰყავს იმდენი ბრინჯი, ხორბალი თუ სხვა რომ არამც თუ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, საჭღვარ გარეთაც კი ეზრდება მცირე ნაწილს.

თუ როგორია შედეგი იაპონელთა შრომა-გარჯილობისა საკმარისია ესთქვათ, რომ მათ ერთ დესიატინა მიწაზე მოჰყავდათ საშუალოთ 100 ფუთამდე პური მაშინ, როდესაც არგენტინას 25 ფუთი, სტავროპოლის გუბერნიას 70 ფუთამდე, ყუბანს 33—82 ფუთამდე. იაპონელთ მოყავდათ კარტოფილი დესიატინაზე 850—900 ფუთამდე, ყუბანს კი 350—550 ფუთამდე ასევეა სხვა სასოფლო მეურნეობის დარგებშიც (იხ. Вѣстникъ Министерства торговли и промышленности).

საგულისხმოა ის, რომ, რა დარგიც არ უნდა აიღოთ მეურნეობისა (სასოფლო) ხედავთ, რომ თითქმის ყოველ წლიურად იზრდება მისი მოსავლიანობა. ეს დამახასიათებელი თვისებაა იაპონიის სასოფლო მეურნეობისა (ტერიტორიის შემატებიც რომ მივიღოთ მხედველობაში მაინც). მაგალითისათვის ჩვენ აქ მოვიყვანთ რამოდენიმე წლების ციფრებს:

1896	წელს მოვიღა	ბრინჯი	36200000	კოკუ	
"	"	ხორბალი, ჭვავი და ქერი.	17325000	"	
1900	"	ბრინჯი	41466700	"	} კოლო- ნიებს გარდა.
"	"	ქერი	8959500	"	
"	"	ხორბალი	4236900	"	
1918	"	ბრინჯი	54699168	"	
"	"	ქერი	8368370	"	
"	"	ხორბალი	7774430	"	
"	"	ჭვავი	6431471	"	
1919	"	ბრინჯი	60733387	"	
"	"	ქერი	9875075	"	
"	"	ხორბალი	6360847	"	
"	"	ჭვავი	7660695	"	

(ერთი კოკუ უდრის 180 ლიტრვ, ანუ-6,86 четвертей) ცნობები ამოკრეფილია 1896 წლისა (Современная Японія С. Тройцкаго) 1900 წლისა კი (Японія и ея обитатели. Библиотека само-образования июль 1904 წლის), 1918 და 1919 წლებისა კი ჟურნალ „ესპოტრატო ფრანსედან“ 8 აპრილის 1920 წელსა.

ამას უნდა დაურთოთ რომ იაპონიის მცხოვრებთა რიცხვი 1917 წელს უდრიდა 56022700 სულს. გარდა ამისა მესაქონლეობაში იაპონია ძალზე ჩამორჩენილი ქვეყანაა. მაგ. 15—20 წლის წინათ ცხენს იაპონიაში იშვიათად შეხვდებოდა ადამიანი. ბოლოდროს კი თუმცა არის, მაგრამ თვალ-საჩინო რიცხვს არ წარმოადგენს. იმასვე მიეწერება ის, რომ იაპონიაში უკანასკნელ დრომდინაც გავრცელებულია „რიკუშები“, რომელსაც კაცები დატარებენ; ცხენის მაგივრობას ეწვეიან. ასე რომ მესაქონლეობისათვის ქერის ან სხვა სანოვავის თვალ-საჩინო ნაწილი არ იახარჯება.

ჩვენ არ მოგვყავს აქ ცნობები: სოიას, კარტოფილის, ცერცვისისირის შესახებ, რომელთა კულტურა (бобовыя растенія) თვალ-

საჩინოთ განვითარებულია იაპონიაში ვინაიდან მეურნეობის ხასიათის შესაცნობათ ზემორე-მოყვანილი ცნობებიც საკმაოდ მიგვაჩნია.

ის წარმოუდგენელი შრომა, რომელსაც იაპონელი ხარჯავს მიწის განოყიერება-დამუშავებაში თავის შედეგებს იძლევა. ნუ დაგვაფიწყდება, რომ იაპონელი იძულებულია ის შრომა, რომელსაც ოთხ-ფეხი საქონელი ეწევა სასოფლო მეურნეობაში, თვით თავის ზურგზე გადაიტანოს. იაპონია ის ქვეყანაა სადაც არაფერი არ იკარგება, ადამიანის აქსკრიმენტებიც კი, და მშრომელიც ერთი ათად ინაზღაურებს თავის დანახარჯს. სადმე ხრიოკში თუ იაპონელმა შეამჩნია თავისუფალი, თუნდაც რამოდენიმე ადლი მიწა, არავითარ შრომას არ იზარებს. მის გამოსაყენებლათ. ზურგით ეზიდება მიწას, ზღვიდან სილას და სხვა გასანოყიერებელ ნივთიერებას, ბარავს, სწმენდს მას და ასეთ შრომით და ვაი-ვაგლახით თავის მეურნეობას უმზადებს ახალ-მოსავლის ნაყოფს.

იმ მიწაზედ, რომლის მოსავალი ჩვენში 2-3 კაცსაც კი ძლივს კვებავს იაპონელთ მოჰყავთ თითქმის 10 კაცის სარჩო. მდიდარი ბუნება, მადუნეულობა, გეოგრაფიული მდგომარეობა, ზღვის ნაპირების ხაზი (რის გამო მეთევზეობას ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იაპონიის მეურნეობაში, მეთევზეობისათვის განსაკუთრებული უმაღლესი სასწავლებელიც კი არსებულა. თევზით იკვებება და სარჩოს შოულობს რამოდენიმე მილიონი მცხოვრები. გარდა ამისა თევზი ერთი თვალ-საჩინო შემოსავლის წყაროა. თევზებიდანვე აკეთებენ იაპონელნი მიწის გასანოყიერებელ ნივთიერებას) მუშა ხელის სიიაფე-სიმრავლე, თან დაყოლილი შესისხლ-ხორცებული შრომის მოყვარეობა, სიხალისე და სააქაო ცხოვრების სიყვარული აღმოცენებული რელიგიურ კულტურებინტოიზმზე, მისწრაფება ეროვნულ აღორძინებისაკენ, ქმნიდენ იმ საერთო მიმართულების ხაზს, რომელსაც ეყრდნობოდა იაპონიის ეკონომიური აღორძინება, და რომლის მოწამენი ვართ ჩვენ ამ წამათ.

თუ იაპონია 50 წლის წინათ „სიოგუნ—დაიმიოსთა“ სათარეშო მოედანს წარმოადგენდა, რომლის იმპერატორის-მიკადოს ძალა უფლება „დაი-ნიპონში“ (დიდ-ნიპონში) ოთხ კედლებს იქით არც კი ვრცელდებოდა, დღეს იაპონია იმდენათ ძლიერია, რომ თითქმის მესამე ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში.

თუ 50 წლის წინათ იაპონიას მხოლოდ რამოდენიმე იალქნიანი პატარა გემები მოეპოვებოდა და ამხანაგობა „ნიპონ-თუზენ-კაიშა“ 90-წლებში ერთად ერთი თვალ-საჩინო კომპანია იყო, რომელიც ხა-

ზინის სუბსიდიებით ბოგინობდა, ცოტა ხნის შემდეგ ფეხი მოიდგეს „ოსაკა-სოზენ-კაიბამ“, „ტიიო-კიზენ-კაიბამ“, ბოლო დროს კი უკვე ძლიერი იაპუნური ლოიდიც შეიქნა, და სხვა კომპანიები, ხაზანმარუ თუ სხვა. თუ 1886 წელს იაპონიის სავაჭრო ფლოტის ტონაჟი უდრიდა 92308 რეგისტრულ ტონის წყალ წყვას, 1902 წლისთვის ის გაიზარდა 93461 რეგისტრალ ტონამდე (იხ. Кахоновски წიგნი). მხოლოდ ტროიციის ცნობით (იხ. მისი წიგნი Япония). იაპონიის სავაჭრო ფლოტის წყალ-წყვა 1877 წელს უდრიდა 1,5 მილიონ წყალ-წყვას, ხოლო 1903 წელს კი 7 მილიონ ტონს (ალბათ არა რეგისტრულს). ბ-ნ ტროიციის ცნობები რომ გაზვიადებულათ მივიღოთ, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ნათელია თუ როგორი სწრაფი ნაბიჯით მიექანებოდა წინ იაპონური სავაჭრო ფლოტის ზრდა. დღეს შეგვიძლია ვსთქვათ: იაპონიის სავაჭრო ფლოტა ერთი უძლიერეს ფლოტთაგანია შორეულ აღმოსავლეთში. თუ რამდენათ ძლიერია მისი ტონაჟი იქიდანაც სჩანს, რომ იაპონიამ 1919 წლის პირველ ნახევარში მიჰყიდა ამერიკას, ინგლისს, საფრანგეთს, ჩინეთს, იტალიას, ნორვეგიას და სხვებს 184 გემი, მათ შორის 56 ახალი ტიპისა. იმავე წელს იაპონიამ წყალში ჩაუშვა 611800 ტონის წყალ-წყვის სავაჭრო გემები აშენებული თავის დონებში. გარდა ამისა აშენებს სხვა გემებს ნავარაკში, კობეში, სიმონესეკში და სხვა ნავთ სადგურებში, როგორც თავისთვის ისე სხვებისათვის. ამ ჟამათ იაპონიის სავაჭრო ფლოტის წყალ-წყვა უდრის 3 მილიონ რეგ. ტონს. გარდა პატარა გემებისა და ხომალდებისა. მას უჭირავს მესამე ადგილი მსოფლიოს სავაჭრო ფლოტში.

აღნიშნული ფაქტები ნათელ ყოფენ თუ რა ძალას წარმოადგენს ამ ჟამათ იაპონიის სავაჭრო ფლოტი მსოფლიოში.

იაპონიისავე დოკებში შენდება მისი სამხედრო ფლოტი „მცირე ფლოტად“ წოდებული.

ფეხ ამდგარი და სწრაფი ტემპით წინ მიმავალი იაპონიის მრეწველობა ომის პროცესში საგრძნობლათ განვითარდა, რამაც ხელი შეუწყო იაპონიის ვალიუტის არა ჩვეულებრივ სიმტკიცეს დღევანდელ საერთო ფინანსიურ პირობებში. საკმარისია ამის დასახასიათებლათ მოვაყვანოთ ცნობები ლონდონის ბირჟის კოტიროვიკისა.

12	თებერვალის	იენის	კურსი	იყო	2 მილიონი	10	პენსიდან.	2 მილიონი	და	10 ¹ / ₂	პენსი:
13	"	"	"	"	2	"	"	2	"	11	"
16	"	"	"	"	2	"	"	"	"	"	"
18	"	"	"	"	2	"	"	"	"	10 ¹ / ₂	"
19	"	"	"	"	2	"	"	2	"	10 ¹ / ₂	"

ასე რომ საშუალოთ ერთი იენის კურსი თებერვალში ამა წლისა ყოფილა 34 პენსი. ნორმალურ დროს კი ერთი იენის კურსი უდრიდა 24,6 პენს. ესე იგი თებერვალში 1920 წლისა იაპონიური ვალიუტა იდგა 1,38 ჯერ მაღლა ვიდრე ინგლისური, ნორმალურ დროსთან შედარებით. ასეთი კურსი არსებობდა ინგლისში და ცხადია ცოტა მეტი იაპონიაში იქნებოდა.

17 ივლისს ჟენევის ბირჟის კატიროვკით იენის კურსი ყოფილა:

ბიენი—3 შვეიცარული ფრანკი.

„ — 32,67 ინგლ. პენსი.

„ — 53 ცენტი ამერიკ.

ესე იგი ივლისისათვის ცოტათი დაუწევია იენის კურს, თებერვალთან შედარებით, მაგრამ მაინც 1,33 ჯერ ზევით ყოფილა ვიდრე ინგლისური და სიმტკიცით უთანაბრდებოდა თითქმის ამერიკულს.

1913 წლის სასოფლო მეურნეობის მოსავლიდან გაზიდულ საქონლიდან 60% მოსდიოდა აბრეშუმეულობათა ნაწარმოებზე, რომლის ღირებულება უდრიდა 192668000 მანეთს. 1913 წელს კი იაპონიას გაუზიდავს 356000000 იენის აბრეშუმეულობა (ერთი იენი ნორმალურ დროს უდრიდა $96\frac{4}{5}$ კაპეიკს. ამ ქამათ კი თუ სპეკულიანტურ კურსს მივიღებთ გირვანქა სტერლინგს 6—7 ათას მანეთად, ერთი იენი უნდა ვივარაუდოთ თითქმის მაქსიმალურად 800—900 მანეთი. 1919 წლის პირველ იანვრიდან 20 დეკემბრამდე კი გაუზიდავს 599000000 იენის. ასე რომ 1913 წელიდან 1919 წლის დამლევამდე აბრეშუმეულობის გაზიდვა გაზრდილა 3 ჯერ მეტათ.

1913 წელს იაპონიაში შეზიდულ საქონლის საგრძნობი ნაწილი მოდიოდა ბამბაზე, რომლის შემოზიდვის რაოდენობა უდრიდა 24,783,000 ფუთს. ამავე წელს კი იაპონიაში მოვიდა 50000 ფუთი ბამბა. გაზიდულის გამოჩინებულ იაპონიას 1913 წელს ჰქონდა 21000000 ფუთი გადასაუზავებელი ბამბა. 1912 წელს კი 19,500,000 ფუთი. 1900 და 1901 წლებში იაპონია იძულებული იყო შემოეზიდა თვით ბამბეულობის ნაწარმოები. 1900 წელში 25699353 იენისა და 1901 წელში—14144583 იენისა. ნედლ ბამბათ კი შემოუზიდავს 1900 წელს —59471628 იენისა. 1901 წელს კი 60650362 იენისა. 1895 წელს 24305000 იენისა და 1896 წ. 32106000 იენისა.

ზემონათქვამიდან სჩანს თუ როგორ ვითარდებოდა ბამბეულობის წარმოება. თვით მეოცე საუკუნის პირველ წლებში იაპონიას უცხო-

ეთიდან შემოჭკონდა ბამბეულობის ნაწარმოები, მაგრამ ეს შემოზიდვა თან და თან ეცემოდა. ამასთან კი იზრდებოდა ნელლი ბამბის შემოზიდვა და თვით იაპონიაში მისი გადამუშავება. შემოზიდვა ფაბრიკატებისა ერთ ხელში დავარდნილა $11\frac{1}{2}$ მილიონ იენით, ანუ 44% იმავე წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ იაპონიას ბამბა გადასამუშავებელი ძლიერ მცირე მიუღია. 1911 წლის და შემდგომი ცნობები გვიმტკიცებენ, რომ იაპონიამ იმდენათ განავითარა თავისი წარმოება, რომ არამც თუ საჭიროებს უცხო ფაბრიკატებს—წინააღმდეგ თვით ეზიდება საზღვარ გარეთ დიდ ძალ გადამუშავებულ საქონელს. ამჟამათ იაპონიას შეუძლია ბამბის გადამუშავება 40 მილიონ ფუთამდე, და შეიძლება მეტიც.

თუ რა სისწრაფით განვითარდა ეს დარგი წარმოებისა იქიდანაც სჩანს, რომ მიუხედავად ფაბრიკათა თვალ-საჩინო რიცხვისა იაპონია იძულებულია ახალ ახალი მანქანები შეიძინოს ინგლისისაგან. მაგ. 1919 წელს ინგლისს შეუზიდავს იაპონიაში ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგის ბამბის გადასამუშავებელი მაშინები.

თუმცა იაპონიას თავისი მატყლი არა აქვს და უწინ ეზიდებოდა ავსტრალიიდან, (ბოლო ხანებში ციმბირიდანაც დაუწყია გაზიდვა), მაგრამ შალეულობათა წარმოება მაინც საგრძნობლათ არის განვითარებული, და ბევრ ქვეყნის ფაბრიკატებს ძლიერ კონკურენციასაც უწევს თავისი სიაფის გამო.

იაპონიის წარმოების და მუშათა ექსპლოატაციის დასახასიათებლათ საჭიროა გავეცნოთ რამოდენიმე ფაქტებს. 40 წლის წინეთ იაპონიაში ფაბრიკები თითქმის არც კი მოიპოვებოდა. ჟურნალ „ლე ბიულეტენში“ 27 თებერვლის და 6 მარტის 1920 წლის თარიღით მოყვანილია ოსაკაში მყოფ ინგლისის კონსულის მიერ მოხდენილ ანკეტის შედეგები, რომელნიც ამბობენ:

„იაპონიაში უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში დაიწყო განსაკუთრებითი ზრდა ფაბრიკებისა. მან (იაპონიამ) დაიჭირა თვალ-საჩინო ადგილი სხვა სამრეწველო სახელმწიფოთა შორის, მუშა ხელის სიიაფის გამო. ისინი დახელოვდნენ იაფ ფასიან საქონლის დამზადებაში. ერთ და იმავე დროს ფაბრიკა-სახელოსნოებში მუშაობის გარდა გავრცელებულია მუშაობა სახლშიც. განსაკუთრებით აბრეშუმეულობათა წარმოებაში მიღებულია დედა კაცთა და მცირე წლოვანთა შრომა. ტექსტუალურ წარმოებაში დედა კაცთა და მცირე წლოვანთა შრომა სჭარბობს მიზრდილ მამა-კაცთა შრომას.

ბამბეულობის სართავ წარმოებაში მუშაობენ 100,000 ქალიშვილები და ბავშვები, მხოლოდ ერთი მეოთხედი ამ რიცხვისა მოზრდილი მამაკაცებიაო“.

„1912 წელს ტექსტურალურ წარმოებაში მუშაობდნენ: 130000 ქალი ფაბრიკა-ქარხნებში და 206000 სახლში. მამაკაცი 15000 ფაბრიკებზე და 11000 სახლში“.

„იაპონელი მუშა მუშაობს 10—12 საათს დღეში და ლებულობს დღიურ ქირად 25—80 სენამდე“, (ერთი სენი ომამდე უდრიდა 0,97 კაპეიკს).

„საქარხნო შრომის კანონები შემუშავებულია 1916 წელს, მაგრამ სრულებით არ ეხება იმ წარმოებათ, სადაც 15 კაცზედ ნაკლები მუშაობენ და იმ წარმოებათ სადაც ძრავი მანქანები არ არის.“

სამუშაო დღე განსაზღვრულია 12 საათით, მაგრამ ეს არ ეხება იმ წარმოებათ რომელშიც მუშაობენ მამაკაცი 15 წლის ზევით. კიდევ მეტი 1913 წლამდე დადგენილია 14 საათის სამუშაო დღე აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებშიო.“

აი ასეთ პირობებშია დღეს მუშათა საკითხი იაპონიაში, სადაც 10-14 საათამდე გრძელდება სამუშაო დღე და ხელ ფასი კი 25-80 სენით განისაზღვრება. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში ვერც ერთი ევროპის თუ ამერიკის სახელმწიფოები იაპონიას სიათფეში კონკურენტობას ვერ გაუწევენ და ისიც მიეჩანება წინ დაყრდნობილი მუშათა კლასის საოცარ. ექსპლოატაციაზე.

აქვე უნდა ავღნიშნოთ: იმ დროს, როდესაც 1919 წლისათვის ცხოვრება საშუალოთ იაპონიაში გაძვირებულია 233% სამუშაო ხელ ფასი გაზრდილა მხოლოდ 135% (იხ. ЗАКАВКАЗСКАЯ КООПЕРАЦИЯ № 3).

წარმოება საპნის, ასანთის, ქაღალდისა, შუშეულობათა და სხვა ჯერ 15-20 წლის წინადაც ისეთი ძლიერი იყო, რომ ყველა სხვა ქვეყნის ნაწარმოებნი განდევნა. მიელ შორეულ აღმოსავლეთის ბაზრებიდან თვით სიგნაპურამდე, წარმოება: აბრეშუმეულობათა, ბამბეულობათა, ქაღალდისა, რკინეულობათა, კერამიკისა, ლაკისა, საპნისა, სხვა და სხვა ზეთეულობათა, თევზეულობისა, საათთაქო საქონლებისა (რომელშიც გერმანიის შემდეგ იაპონიას პირველი ადგილი ეკუთვნის, თავისი ცენტრით ოსაკათი).

თვით 1919 და 1920 წლის ფასები, სახარინზე, კოკაინზე, ქინაქინაზე, ზულქებზე, ფილთიკოსის საქონელზე, აბრეშუმეულობაზე და სხვა ფაბრი-

კატეგორიულ საგრძნობლათ ნაკლები იყო ვიდრე სხვა ქვეყნებში, მაგრამ 1920 წლის აპრილ-მაისიდან ფასები საგრძნობლათ დაეცა და განსაკუთრებით აბრეშუმეულობაზე. ამ კითხვის შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

შესანიშნავია, წარმოება პროგრესიულად იზრდება, ჩნდებიან ახალი ახალი ფაბრიკა-ქარხანები, მზადდება დიდ ძალი ფაბრიკატები, მუშახელი სოფლებიდან სამრეწველო პუნქტებში გადადის. წარმოების პროგრესი შემატებისას წინ უსწრებს, მაგრამ მიუხედავად ამისა სასოფლო მეურნეობაც წინ მიეჭანება.

მიუხედავად იაპონიის მილიტარისტულ ძლიერებისა განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი იმ ხარჯთა სიმცირეს, რომელიც მოსდიოდა იაპონიას სამხედრო დარგში.

რუსეთთან ომის შემდეგ, როდესაც განსაკუთრებული პირობებიც კი არსებობდა, მიუხედავად ამისა, იაპონიაში სულზე მოდიოდა სამხედრო ხარჯებისა წლიურათ 1 მანეთი 30 კაპეიკი. იმავე დროს: რუსეთს 3 მან. 90 კაპ., შტატებს—5 მან. 60 კაპ., გერმანიას—7 მან. 70 კაპ., საფრანგეთს 10 მან. და დიდ ბრიტანეთს—14 მან., 60 კაპ.

თითო ჯარის კაცი შენახვა უჯდებოდათ წლიურად: იაპონიას 276 მან. რუსეთს—386 მან. გერმანიას—708 მან. დიდ ბრიტანეთს—1045 მან. შეერთებულ-შტატებს—5199 მან.

თითო ჯარის კაცი მოდიოდა მცხოვრებზე: იაპონიაში—199, რუსეთში 97, გერმანიაში—92 დიდ-ბრიტანეთში—72.

სამხედრო ხარჯები მოსდიოდა წლიურათ: იაპონიას—70,800,000 მანეთი, საფრანგეთს—393,500,000 მან., გერმანიას—467,500,000 მან. რუსეთს 481,400,000 მან., დიდ-ბრიტანეთს—648,100,000 მანეთი.

სახელმწიფო ვალი მოსდიოდა სულზე: იაპონიაში—42 მანეთი, ჩინეთში—3 მან. 60 კაპ., რუსეთში—71 მან., გერმანიაში—130 მან., დიდ-ბრიტანეთში—156 მან. საფრანგეთში—279 მანეთი.

წლიური ხარჯები სახელმწიფო ვალებიდან გამოწვეული იყო: საფრანგეთში—463,000,000 მანეთი, რუსეთში—387,000,000 მან., ავსტრო-უნგრეთში—242,000,000 მან., იტალიაში—220,000,000 მან., იაპონიაში—161,000,000 მან. ჩინეთში—37,000,000 მანეთი (მოყვანილი ცნობები ამოკრეფილია წიგნიდან-კალენდრიდან. გამოცემა გინკჰანისა 1908 წლისა).

საინტერესოა რომ იაპონიის ომებმა ჩინეთ-რუსეთთან, როგორც

ვიციტ, იაპონიას კონტრიბუციის სახით ძლიერ ცოტა თანხა მისცა. დიდი ნაწილი სამხედრო ხარჯებისა კი თვით იაპონიის სახელმწიფო სა-
ლაზოს დაწვა. იაპონიამ კი კომპენსაციის სახით ტერიტორიები შეი-
ძინა. მიუხედავად ამისა მისი სახელმწიფო ვალი შეადგენდა იმ ხანებში
2148,000,000 მანეთს.

ბრიტანული ინდიისა კი	2,353,000,000	მანეთს.	
ესპანიისა	3,503,000,000	”	
იტალიისა.	4,678,000,000	”	
შ. შტატებისა.	4,796,000,000	”	
გერმანიისა.	7,896,000,000	”	
რუსეთისა	8,661,000,000	”	
საფრანგეთისა	10,941,000,000	”	(იხ. შინკმანი და მარკსი 1908 წ.)

საერთო წლიური ხარჯებიდან—479,000,000 მანეთიდან, იაპო-
ნიაში—29% ედებოდა ვალების პროცენტების და თავის გადასახდე-
ლათ, რაც ხელს უწყობდა იაპონიას ვალებიდან განთავისუფლებას და
მის ფინანსების გამაგრებას. ამ უამათ ჩვენ მოწამენი ვართ, ომის წყა-
ლობით, იმისა რომ იაპონიის ვალიუტა სიმტკიცით თითქმის უთანაბრ-
დება ამერკისას. თუ შევადარებთ 1914 და 1920 წლების დამდევის
სურათებს დავინახავთ შემდგეს (ციფრები ნაჩვენებია მილიონ ფრან-
კები). ციფრები შეეხება ბანკების ხელში მყოფ საბრუნავ ფინანსების
რესურსებს.

	ივნისი	1914 წელს	იანვარი	1920 წელს
ბანკები	ოქრო	სულ ტრიალებდა	ოქრო	სულ ტრიალებდა
შტატებისა.	3895	2117	17990	24091
იაპონია	981	2595	2204	2971
ესპანია	543	1919	2453	3868
ჰოლანდია	340	642	1327	2169
შვეიცარია	180	268	517	905
შვეცია	146	323	394	1047
დანია	110	219	318	685
ნორვეგია	61	173	207	602

სულ ოქროთი უზრუნველ ყოფა—85%—70%

ამავე დროს კი ევროპის მეოქმარ სახელმწიფოთა სურათი შემდგეია:

	ივლისი	1914 წელი	იანვარი	1920 წელი
ბანკები	ოქრო	სულ ტრიალებდა,	ოქრო	სულ ტრიალებდა
საფრანგეთისა.	4104	5912	3601	37679
ინგლისი.	1004	733	3133	10670

იტალია	1105	1780	805	12234
რუსეთი	4270	4358	3453	43965
რუმინეთი	154	414	495	4046
სულ	10637	13147	11487	108544

ოქროთი უზრუნველ ყოფა—88% 10%.

ასე რომ ბანკებთან ბრუნვაში მყოფ ვალიუტიდან ყველაზედ უზრუნველყოფილნი არიან:

ამერიკის	74,7%
იაპონიის	74,2%
ესპანიისა	63,4%
ჰოლანდიისა.. . . .	61,2%

ეს გარემოებაც, სხვებთან ერთად, უმთავრესად ხელს უწყობს იაპონიის ვალიუტის სიმტკიცეს, რაზედაც ზემოთ გვქონდა ბაასი.

იმ დროს, როდესაც მსოფლიო ომმა სრულდებით გააჩანაგა ომში მონაწილე ევროპის სახელმწიფოები და ზოგი ნეიტრალური ქვეყნებიც, იაპონიას ეს თითქმის არც კი დამჩნევია. წინააღმდეგ ის უფრო გაძლიერდა როგორც თავის იმპერიალისტურ ზრახვებში, ისე ფინანსურადაც. შემოიერთა ზოგი კუთხეები და სხვა. მიუხედავად იმისა რომ იაპონია თავიდან მონაწილე იყო ომისა, ომიდან გამოწვეული დავალიანება თითქმის უმნიშვნელო ციფრს არ აღემატება მაგალითად ომიდან გამოწვეული დავალიანება სხვა და სხვა სახელმწიფოებში გირვანქა სტერლინგებში სულზე შემდეგია:

ინგლისში	157,5
საფრანგეთში	144,4
იტალიაში	73
შ. შტატებში	55,5
შვეიცარიაში	12,3
ჰოლანდიაში	10,1
დანიაში	5
შვეციაში	3,8
ნორვეგიაში	2,2
იაპონიაში	0,16

(იხ. Бюлл. Всероссийскаго союза кооперативовъ. Лондонъ. Мартъ 1920 г.).
 რა თქვა უნდა, როდესაც სხვა სახელმწიფოები მილიარდებით დაზარალდნენ და პროცენტების გადახდასაც კი ვერ ახერხებენ, იაპონიის

ფინანსებს ეს თითქმის არც კი დამჩნევია, რის გამო იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა მტკიცე იყო თვით 1920 წლის აპრილ-მაისამდე, როდესაც გარემოებანი ცოტათი შეცვლილა.

ეხლა საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი იყო ექსპორტი და იმპორტი იაპონია-ინგლის შორის.

1914 წელს პირველ 9 თვის განმავლობაში ინგლისმა შეზიდა იაპონიაში 7,213,000 გირვანქა სტერლინგის საქონელი.

იმავე პერიოდში ინგლისს გამოუზრდავს იაპონიიდან 3,173,000 გირვ. სტერლინგისა. ესე იგი აქტიური ბალანსი ინგლისის სასარგებლოთ გადახრილა იაპონიასთან აღებ-მიცემობაში 40,40,000 გირვ. სტერლ.

1919 წლის პირველ ცხრა თვის განმავლობაში კი სურათი შეცვლილა შემდეგ ნაირაა:

ინგლისს შეუზიდავს იაპონიაში—9,310,000 გირვ. სტერლ. საქონელი.

ინგლისს გამოუზიდავს იაპონიიდან—18,120,000 გირვ. სტერლ. საქონელი, ესე იგი აქტიური ბალანსი უკვე გადახრილა იაპონიის სასარგებლოთ, ცხრა თვის განმავლობაში 8,800,000 გირვანქა სტერლინგით.

საერთოთ ჯამი ექსპორტ-იმპორტისა იაპონია-ინგლისის შორის პირველ ცხრა თვეების განმავლობაში ყოფილა:

1914 წელს—10,386,000 გირვ. სტერლინგი.

1919 „ —27,430,000 „ „

ესე იგი საერთოთ აღებ მიცემობა გაზრდილა 1914 წელთან შედარებით თითქმის 265% და აქტიური ბალანსი იაპონიის სასარგებლოთ გადახრილა.

საინტერესოა ის, რომ იაპონია მომხმარებელია ინგლისის მანქანებისა, ვინაიდან წარმოება მოითხოვს ახალ-ახალ მაშინებს და იაპონიის მეტალურგიას არ შეუძლია მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ინგლისი კი ეზიდება იაპონიიდან ფარკატებს და საცალოდ ის არის, რომ იაპონიაში შექმნილ საქონელს აწვდის იმ ქვეყნებს, რომელთა მხსნელად ევლინება კაცობრიობას. ასეთი გარემოება რა თქმა უნდა საგრძნობლათ აძვირებს საქონელს. ჩვენში ამ ჟამათ სხვა და სხვა კომისიონერების თუ კამერსანტების სახით შემოაქვთ იაპონურ-ჩინური საქონელი. ბევრს რასმეს. შეტედება ადამიანი „Japan“ (იაპონიის) იარღილებით.

ეხლა შევეხოთ უკანასკნელ წლების აღებ-მიცემობას იაპონია-რუსეთ შიარის. ცნობა ამოღებულია ჟურნალ „Закавказская Кооперация“—იიდან № 3 1920 წლისა. „თანახვად მასალებისა რუსეთ-იაპონიის ვაჭრობისა იაპონიის ვაჭრობამ რუსეთთან სექტემბრისათვის 1919 წ. მიღწია 2,635,907 იენს ექსპორტში და 428,088 იენს იმპორტში. ექსპორტმა გადააცილა იმპორტს 2,207,819 იენით. შედარებით აგვისტოსთან ექსპორტს დაუწევია 4,325,298 იენით. იმპორტი კი გაზრდილა 75,072 იენით. მთელი ექსპორტი იანვრს დასაწყისიდან უდრის 53,879,643 იენს, იმპორტი კი 3,651,271 იენს. შედარებით გასულ წელთან იმავე პერიოდში ექსპორტი გადიდებულია 38,587,674 ხოლო იმპორტი 906,803 იენით“.

როგორც ამ ცნობიდან სჩანს რუსეთის ბაზარი იაპონიისათვის საექსპორტო ბაზარი ყოფილა. ასეთი რამ მარტო 1919 წელს კი არ ხდებოდა არამედ წინა წლებშიც. ამ ცნობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მათთვის, რომ დღეს, როდესაც იაპონიის მრეწველობა კრიზისს განიცდის და უმუშევრობა იზრდება, ერთი მიზეზთაგანი და ფრიად თვალ-საჩინო არის რუსეთის ბაზრის დიდი ნაწილის დაკარგვა იაპონელების მიერ. 1918 წელს, როგორც ზემოთე მოყვანილი ცნობა გვიჩვენებს იაპონიის ექსპორტი განსაზღვრულ პერიოდში ყოფილა 25,000,000 იენი, როგორც ვიცით 1918 წლის ნაწილი ხასიათდება კიმიბირში შორეულ აღმოსავლეთში ბოლშევიკების ბატონობით. და ეს ექსპორტიც შეეხება განსაკუთრებით ხმ დროს უფრო, როდესაც ბოლშევიკები არ ბატონობდნენ. 1919 წლის პირველი პერიოდი 1918 წლის დამლევადან ხასიათდება დირექტორიის და კოლჩაკის ძალაუფლებით. ამ გარემოების გამო იაპონიის ექსპორტი ასულა განსაზღვრულ პერიოდში 8-9 თვეში 53,879,643 იენით და გაზრდილა 38,587,674 იენით. კოლჩაკის ბატონობა საშუალებას აძლევდა იაპონიას დიდ ძალი საქონელი შეეზიდა კიმიბირ—შორეულ აღმოსავლეთში ბოლშევიკების მიერ ძალა უფლების ჩაგდების შემდეგ; 1919 წლის მეორე ნახევრიდან გარემოება შეიცვალა, რის გამო დიდ ძალი საქონელი, რომელიც ჰქონდა იაპონიას დამზადებული რუსეთისათვის; ვერ გაანაღდა რამაც საგრძნობლათ შეუწყო ხელი იაპონიის დღევანდელ კრიზისს. ვლადივოსტოკის და იმერ ბაიკალის მხარეები კი მარტო ასეთ დიდ ძალ საქონელს ვერ საჭიროებენ და იაპონიის საქონელის ბაზარი რუსეთში ძალზე შემცირდა, რამაც თავისი შედეგები გამოიღო.

იაპონიის მრეწველობისათვის, რასაც ქვემოთ დავინახავთ და რაც თვით 1919 წლის იაპონიის სავაჭრო ბალანსს დაეყუო.

თუ როგორ იზრდებოდა იაპონიის ექსპორტი და იმპორტი გარეშე სახელმწიფოებთან საჭიროა გადავხედოთ შემდეგ ციფრებს.

წლები.	იმპორტი.	ექსპორტი.	საერთო ჯამი.	განსხვავება.
1880	37,896,000	28,840,700	66,736,700	— 9,055,300
1890	81,728,000	56,603,500	138,331,000	— 25,124,500
1895	129,260,600	136,112,200	265,372,800	+ 6,851,600
1898	324,639,408	168,240,533	492,879,941	—156,398,875
1900	313,358,225	209,562,906	522,921,131	—103,795,319
1903	317,130,000	289,500,000	606,630,000	— 27,630,000
1913	729,000,000	632,000,000	1,361,000,000	— 97,000,000
1914	545,735,725	591,101,461	1,136,837,186	— 46,361,736
1915	532,449,938	708,306,997	1,240,756,935	+175,857,059
1916	756,427,910	1,127,465,118	1,883,893,028	+370,940,208
1917	1,035,811,109	1,603,005,048	2,638,816,157	+567,193,939
1918	1,668,138,135	1,962,700,258	3,630,838,393	+294,562,123
1919 (11 თვეს).	1,947,280,000	1,821,664,000	3,768,944,000	—125,616,000

(ციფრები ამოღებულია 1880 წლიდან 1913 წლამდე წიგნიდან: Япония и ея обитатели, 1913 წლისა ჟურნალ „ლოიდკომერსიალიდან,“ ხოლო 1914 წლებისა ჟურნალ „Закавказская кооперация № 3 19202“). როგორც ამ ციფრებიდან ჰხედავთ იაპონიის წარმოება განსაკუთრებით ვითარდება 1900 წლიდან, თუმცა თვით 1915 წლამდე ბალანსი იაპონიისათვის პასიურია.

1913 წელს პასიური ბალანსი უდრის 97 მილიონს. 1880 წლიდან 1914 წლის დამლევამდე იმპორტი სჭარბობს ექსპორტს.

1915 წლიდან კი თვით 1919 წლამდე იაპონიის ბალანსი აქტიურია.

1880 წლიდან 1913 წლამდე იმპორტი გაზრდილა 44 ჯერ, ხოლო ექსპორტი 68-ჯერ. 1913 წლიდან 1918 წლამდე იმპორტი გაზრდილა 2,28 ჯერ, ხოლო ექსპორტი—3,1 ჯერ.

საბოლოოდ 1880 წლიდან 1919 წლის დაწყებამდე იმპორტი გაზრდილა 44 ჯერ. ხოლო ექსპორტი—63 ჯერ.

ამავე დროს საერთოდ ჯამი ექსპორტ-იმპორტისა გაზრდილა 54 ჯერ. ასე რომ იაპონიის ექსპორტი წინ უსწრებს იმპორტს თავის ზრდაში.

იაპონიის მეტალურგიული მრეწველობა რა თქმა უნდა ამ ყაპით ვერ შეედრება სხვა ძლიერ სახელმწიფოთა წარმოებას, მაგრამ ისიც დღითი დღეზე ვითარდება, რის დამამტკიცებელია მათი გემების

ალმშენებლობა და სხვა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც თუ ჩვენ გავითვალისწინებთ სპილენძის გადამუშავების საქმეს.

1900 წელს სპილენძი დაუმუშავებიათ 25309 ტონი.

1918 წლის ოქტომბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე კი—83999 ტონა. ესე იგი სპილენძის დამუშავება გაზრდილა თითქმის $3\frac{1}{2}$ ჯერ.

ამავე დროს საზღვარ გარეთიდან შემოუზიდავთ 13866 ტონა სპილენძი, გაუზიდავთ კი 24077 ტონა გადამუშავებულ სპილენძის ნაწარმოებათ. თვით იაპონიაში მოხმარების რაოდენობა ასულა 58458 ტონამდე. სპილენძის დამუშავება 1900 წლიდან 1919 წლამდე გაზრდილა $3,32$ ჯერ.

იაპონელთ სწამდათ, რომ მათი საქმე შესაფერ ნიადაგზე ვერ დადგებოდა თუ ისინი ფინანსიურად და ეკონომიურად დამოკიდებული იქნებოდნენ უცხოელებზედ. როგორც ვიცით იაპონიამ არამც თუ გაინთავისუფლა თავისი თავი უცხო ვალებისაგან, არაჲდ თვითონ სხვებსაც კი შესთავაზა სესხი.

ამავე დროს მან შექნა თვალ-საჩინო ეროვნული წარმოება, რომელიც უცხოელებს მცირე ნაწილი უდევთ ამ ქამათ. მიუხედავად იქისა, რომ იაპონიის კანონების მიხედვით, ყველა უცხოელებს ჰქონდათ უფლება თავისუფალი ვაჭრობისა, ამხანაგობებისა და სააქციონერო საზოგადოებათა დაარსებისა, რომელთათვის მხოლოდ ფორმალური განცხადება იყო საჭირო, უცხო კაპიტალმა იაპონიაში მაინც ვერ მოიმაგრა ფეხი, ვერ გაუძლო იაპონელთა გააფთრებულ მეტოქეობას და იძულებული გახდა არა თვალ-საჩინო ადგილი დაეჭირა.

გასაოცარია ის სიმტკიცე და საშუალებანი, რომელთაც მომართავდნენ ხოლმე იაპონელნი თავიანთ მეტოქეთა წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 1895 წელს მთელ იაპონიაში იყო 3371 კომპანიები 285000,000 იენის თანხით. საშუალოთ ერთ წარმოებაზე მოდიოდა თანხა 85,000 იენამდე, 1900 წლის დასაწყისში კი კომპანიათა რიცხვი ავიდა 7631-მდე 683820225 იენის თანხით. საშუალო თანხა უდრიდა ერთ კომპანიაზე—89,000 იენამდე. თუ კი ამ რიცხვს გამოვაკლებთ 2054 ბანკს—275515637 იენის თანხით, 156 სარკინის-გზო ამხანაგობებს—156967016 იენის თანხით, ჩვენ მივიღებთ ერთ კომპანიაზე საშუალოთ 46000 იენის თანხას, რუსეთში კი სააქციონერო კაპიტალის რაოდენობა, საშუალოთ თითო კომპანიაზე მოდიოდა ოთხ-ჯერ მეტი. (იხ. Японія и ея обитатели, июль 1904 г. Библиотека само-

оправданія.) ამის გამო, ევროპელები იაპონელთა ამხანაგობებს „კარლიკურ“ კომპანიებს ეძახდნენ და სასაცილოთაც კი არ ყოფნიდათ მათი მდგომარეობა. მაგრამ საქმის სიყვარულმა, ენერგიამ, სიმტკიცემ დასახულ ძივნების მისაღწევით და დაუზოგველმა შრომამ თავისი გაიტანეს. დღეს ეს „კარლიკური“ ამხანაგობები ბატონი—პატრონი არიან იაპონიისა და ასეულ მილიონობით ატრიალებენ და ისინი კი, ვინც მათ დასცინოდა იძულებულნი გახდნენ ან შიგ გათქვეფალიყვნენ ან და გასცლოდნენ იაპონიის ბაზარს.

სხვა რომ არა ვსთქვათ, მარტო ტოკიოს და ოსაკას (იაპონურ მანჩესტერს უწოდებენ) წარმოებათ შეუძლიათ სხვა ძლიერი სააელმწიფოებიც კი წამოაჩოქონ, თუ წარმოება იმ ტემპით წავიდა იაპონიაში, როგორც ეს უკანასკნელ დრომდე იყო.

დღეს იაპონიის წარმოება ერთი თვალ-საჩინო წარმოებათაგანია მსოფლიოში. წყნარ-ოკეანეს ნაპირები თან და თან იზიდავენ თავისკენ მსოფლიოს ყურადღებას. მისი გავლენა თან და თან ვრცელდება. დაწყებული იაპონიიდან იაპონური წარმოების ფაბრიკატები აფართოვებენ თავის ბაზარს და ევროპისაკენაც მოილტვიან.

იაპონურ წვრილ რკინეულობათა ნაწარმოებს თავის დარგში შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებისას სიაფის გამო. აბრეშუმეულობის ნაწარმოებნი კი შეეციარულ ფაბრიკატებსაც კი ერეკებიან თან და თან მსოფლიო ბაზრიდან იგივე ითქმის ბამბეულობის, ქაღალდის, საათთაქო, საგალანტერეინო და სხვა საქონლებზე. ტყის დამუშავებასაც (რომლითაც ძრიელ მდიდაჩია იაპონია) ექცევა სათანადო ყურადღება. წარმოება ასანთის, საკანცელარიო, შუშეულობათა, ზეთეულობათა, საძანუფაქტურო და სხვა თავისი სიაფით ცნობილნი არიან.

ამასთან ერთად იაპონიას ის უპირატესობაც აქვს რომ, საკმაო ტონაჟის გამო, მუშა ხელის სიაფისა და ქვა-ნახშირის უზრუნველყოფისა, მისწვდეს ყოველ კუთხეს. ფრახტის სიაფით შეუძლია კონკურენცია გაუწიონ ყველა სახელმწიფოებს: იაპონიას იმდენი ქვა-ნახშირი მოეპოვება (ეს ძარღვი დღევანდელ წარმოებისა), რომ არამც თუ ყოფნის მას, საზღვარ გარეთაც კი რჩება გასაზიდი. ქვა-ნახშირის მადნები: იესოსი, ტოკივარისა, იმიკარისს; საუკეთესო ღირსების კუნძულ ტაკაშივაზე ნავასაკის ბოლახის ახლო და სხვა ადგილებში საშუალებას აძლევენ იაპონიას ქვა-ნახშირის გაზიდვისასაც კი.

მოლონიერებულთა იაპონიის წარმოება კატასტროფას უმზადებს

შორეულ აღმოსავლეთში თვით ამერიკასაც და ჩვენ მოწამენი ვართ იმ ჭიდილის, რომელიც ამ ორ სახელმწიფოთა შორის არსებობს. ორვე მხარე ემზადება მომავალ ბრძოლისათვის. ამერიკის სენატი ასეულ მილიონებს ხარჯავს ძლიერ ფლოტის ასაშენებლათ. იაპონია კი მას (ამერიკას) ეგრედ წოდებულ „მცირე ფლოტის“ აშენებით უბასუხებს, რომლისათვის სდებს 70,000,000 გირვანქა სტერლინგს. ამ თანხიდან პირველსავე წელს უნდა დაეხარჯათ 30,000,000 გირვანქა სტერლინგი. ეს გარემოება თვით ავსტრალიასაც აფიქრებს, მის პრესას საგონებელში ავდებს და ის მიუთითებს მსოფლიოს მომავალ საფრთხეზე. იგივეა მიზეზი ამერიკა-ჩინეთის კეთილ განწყობილებისა. ამერიკა კარგათ გრძნობს რომ იაპონია თან და თან ძლიერდება, ფრთებსა შლის და თავის გავლენის ორბიტაში აქცევს ციმბირ-შორეულ აღმოსავლეთ ჩინეთს და სხვა მცირე ოკეანესთან მდებარე ადგილებს. ეს გარემოება კი სრულიად ეწინააღმდეგება ამერიკის კაპიტალის ინტერესებს, რომელიც ამ ბაზრებში თავის გავლენას განმტკიცებულათ ხაველიდა და თან და თან უფრო იმაგრებდა ფეხს.

ეს არის მიზეზი იაპონია-ამერიკის შორის არსებულ უთანხმოებისა, რომელიც ალბათ ახლო მომავალში ახალ ომების წინაშე დააყენებს კაცობრიობას.

რა თქმა უნდა იმ მიზეზების გამო, რომელიც ჩვენ ზევით დავასახელეთ (მუშახელის სიიაფე, მდიდარი ბუნება, შრომის მოყვარეობა თუ სხვა) ვერც ერთი სახელმწიფო იაპონიას კონკურენციას ვერ გაუწევდენ დი ისიც მიეკანებოდა წინ დაყრდნობილი მუშათა კლასის საოცარ ექსპლოატაციასზედ. ამ ჟამათ ჩვენ მოწამენი ვიყავით იმისა, რომ იაპონიის საქონელი ვლადივასტოკიდან დაწყებული ევროპის კარებამდე იჭერდა თან და თან ბაზრებს.

საინტერესოა მოკლეთ გავცნოთ იაპონიის კოოპერაციის მდგომარეობას და ხასიათს (ცნობა ამოღებულია „Закавказская кооперация-დან.“) „მთავარ მამოძრავებელ ძალათ იაპონიის კოოპერაციისა არის შეძლება მისცეს წვრილ მწარმოებლებს და მიწის მუშებს მიიღონ მცირე პროცენტის გადახდით და უიპოტეკოთ სესხი, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის საქიროებათათვის. ამის და მიხედვით კოოპერატიული საზოგადოებანი იყოფიან: საკრედიტოზე, შემსყიდველ-გამსყიდველზე და მწარმოებელზე“. ასე რომ იაპონიის კოოპერაცია თავის საფუძველში ეყრდნობა წვრილ კერძო მესაკუთრეთა კლასს — ის

მატარებელია წვრილ ბურჟუაზიულ სულის კვეთებისა. აქვე მოგვყავს იმავე ჟურნალიდან ამოღებული ცხრილი.

წლები	საერთო რიცხვი კოლმეპროდუქტებისა	საერთო რიცხვი ქალაქებისა და სოფლებისა	რიცხვი აღრიცხულ კოლმეპროდუქტებისა	რიცხვი წვერთა აღრიცხვის კოლმეპროდუქტებში	საშუალო რიცხვი კოლმეპროდუქტებში	საშუალო რიცხვი მცხოვრებთა
1908	4391	12453	2598	151123	93	49588804
1917	12033	12276	10578	1375502	128	56022700

იაპონელთა ეკონომიური განვითარების, მათი უნარის დასახსნათებლათ საჭიროა მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტები მათი კოლონიებში და საერთოთ იმ ადგილებში მუშაობისა, სადაც კი მოიდგამენ ფებს. კორეის შესახებ ფრანგული გაზეთი სწერს: „იმ დროს როდესაც ევროპის გამარჯვებული სახელმწიფოები განიცდიან დიდ კრიზისს, ევროპის გარეშე სახელმწიფოები სწრაფათ იზრდებიან და მაგრდებიან. მაგალითად იაპონიის კოლონია კარეია. ნოემბრიდან 1918 წლის ივნისამდე 1919 წლისა ბრინჯის გაზიდვა უდრიდა 3,600,000 ჰექტოლიტრს, რაც გვიჩვენებს გაზრდას 0,9 მილიონ ჰექტოლიტრით. ბამბის მოსავალი ავიდა 43,000 ტონამდე და გაიზარდა ორჯერ მეტათ 1913 წელთან შედარებით. უფრო სწრაფი ნაბიჯით გაიზარდა აბრეშუმის პარკის მოსავალი, რომელიც 1913 წელს უდრიდა 83,000 კალათას, ხოლო 1919 წელს 218.000 კალათას“.

ჯანტუნში მყოფი ამერიკის კონსულის ანგარიშიდან სჩანს თუ რანაირად სცდილობს იაპონია გაათავოვოს ძველი და შექმნას ახალი წარმოებანი მანჯურიაში. სხვა დარგთა შორის არის ნახევნები აბრეშუმეულობის საქსოვი ქარხანა, როგორ მოწყობაზედ არის დახარჯული 500000 დოლარი. გარეული აბრეშუმის პარკის მოსავალი მანჯურიაში შემოდგომის 1919 წლისა ყოფილა ცოტა ნაკლები ვიდრე 1918 წელს. დაახლოვებით 1919 წელს ყოფილა შეგროვილი 30000 კალათა 40000 პარკით თითოში. ეს მოსავალი აკმაყოფილებსა ადგილობრივ მოთხოვნილებასა დასძენს კონსული თავის მოხსენებებში.

სიმპტომატურია ის რომ იაპონია სცდილობს უფრო და უფრო განავითაროს აბრეშუმის პარკის მრეწველობის საქმე. ყოველგან სადაც კი შესდგამს ფებს, თუ ოდნავათ შესაფერისი პირობები არის, მაშინათვე ანვითარებს საქმეს. აბრეშუმის პარკის მრეწველობა და მისგან

ფაბრიკატების დამზადება ერთი მთავარი მრეწველობაა იაპონიისა. ფუძე იაპონიის ეკონომიკისა აბრეშუმის პარკის დამუშავებაა, რომლის მოსავალი ყოველ წელს სამჯერ არის.

ასეთი იყო იაპონიის მრეწველობის და მისი ეკონომიურ-ფინანსური მდგომარეობა თვით 1920 წლის დასაწყისამდე, როდესაც გარემოებანი იაპონიისათვის საგრძნობლათ შეიცვალა. ახალმა პირობებმა როგორც ობიექტიურმა ისე სუბიექტიურმა თავისი როლი ითამაშეს და იაპონიის აღორძინებულ მრეწველობას წინ გადაეღობნენ, შექმნეს ეგრეთ წოდებული კრიზისების ხანა. ჩვენ ბევრს დავაშავებდით მკითხველის წინაშე თუ უკანასკნელ თვეების მდგომარეობას არ ავლნიშნავდით რამდენათ ეს შესაძლებელი იქნება იმ მცირე ცნობათა მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, მიუხედავად ამისა საერთო მიზნების აღნუსხვა მაინც შესაძლებელი ხდება, და ჩვენც მას შეუდგებით.

დიდი უთანხმოება არსებობს ერთი მხრივ იაპონია-ამერიკასა და მეორე მხრით იაპონია-ჩინეთ-შორის. ეს უთანხმოება პირველთა შორის უფრო ეკონომიურ-ბაზრების ნიადაგზე და ტერიტორიათა გამოხდება მეორეთა შორის. ორი მოწინააღმდეგეები იაპონიისა, ამერიკა და ჩინეთი, ერთმანეთს უახლოვდებიან და ამერიკა ვითომდა ჩინეთის დამცველათ ევლინება კაცობრიობას. ეს უთანხმოება თან და თან აქტივობის სფეროში გადადის. იაპონია ახალ ბაზრების ძიებაში, შებოჭვილი ვიწრო ტერიტორიით ცდილობს გაფართოვდეს ჩინეთ-მანჯურია-ციმბირის ადგილებით, რათა გაუხსნას სარბიელი თავის მრეწველობას. ამ ბაზრებით უაღრესათ დაინტერესებული ამერიკა ეწინააღმდეგება იაპონიის მილიტარისტულ ზრახვებს, თავის მილიტარიზმის სასარგებლოთ, აქ ივიწყებს „მონროეს“ დოქტრინებს და „სტატუს-კვოს“ ვითომდა დაცვით სცდილობს თავისი გავლენის განმტკიცებას. იაპონია სარგებლობდა რა შექმნილ საერთო პირობებით, ნებით თუ უნებურათ, აფართოვებდა თავის გავლენის ორბიტის საზღვრებს.

ჩინეთი აქტიურათ ებრძვის და ბოიკოტს ქვეშ აცხადებს იაპონიის საქონელს. იაპონია თავის გავლენის განსამტკიცებლათ სემიონოვს, კალმიკოვს და სხვებს ეხმარება ფულით თუ საქმით, თვით კი ჯარები შეყავს ვლადივასტოკ-უსურის მხარეებში.

ომის გათავების შემდეგ თან და თან კლებულობს მოთხოვნილება უცხო სახელმწიფოთა მიერ. ამ გარემოებას უფრო აღრმავებს ის, რომ ბოლშევიზმის გამო იაპონიისათვის იხმობა მთელი ციმბირის ბაზარი,

რომელიც როგორც ზევით ვთქვით ასულათითქმის 54 მილიონ იენამდე. აქტიურ ბალანსით 50 მილიონამდე ასეთი ბაზრის დაკარგვა, რა თქმა უნდა, თავის დაღს დაასვადა იაპონიის მრეწველობას. დიდ ძალი საქონელი დამზადებული რუსეთისათვის იაპონიას გაუსაღებელი რჩება. ამავე დროს სხვა და სხვა ქვეყნები კრძალავენ ფუფუნების საგნების შემოზიდვას, რაც იაპონიის აბრეშუმის, კერამიკისელოაკის და სხვა წარმოებათ ადგებს კრიტიკულ მდგომარეობაში. ამის გამო აბრეშუმის ფასი ერთი სამათ ეცემა თვით მილანის, მარსელის და სხვა ბაზრებზე.

ამ გარემოებას ზედ ერთვის ისიც, რომ ომის შემდეგ სახელწიფოებში თან-და-თან ფეხზე აყენებენ თავიანთ მრეწველობას და სხვა ქვეყნებიდან იმპორტს ამცირებენ. ჩინეთი კი ბოიკოტს ქვეშ აყენებს იაპონიის საქონელს, რითაც ეს დიდი ბაზარიც იკარგება იაპონიისათვის.

ყოველივე ეს 1920 წლის აპრილ-მაისიდან, არა ჩვეულებრივად გაზრდილ იაპონიის წარმოებას კრიტიკულ პირობებში აყენებს. დიდ ძალი საქონელი გაუსაღებელი რჩება. ქარხნები იკეტებიან, უმუშაოება დღითი დღე იზრდება, ეს გარემოება თვით იენის კურსს ეტყობა, რომელიც ივლისში ჩამოვიდა 32,67 პენსადმე, თებერვალში კი 34 პენსზე მეტი ყოფილა.

ამავე დროს პირველ მოთხოვნილებათა საგნებზედ ფასები თან და თან გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ბრინჯის შედარებით ცუდმა მოსავალმაც, და ცხოვრების პირობები გაართულდა; ამან ამოძრავა ქუჩაც-იაპონიის წარმოების განვითარება შეფერხდა, დამზადებული საქონლის ბაზრები შემცირდა, მოთხოვნილებამ იკლო, რასაც ფაბრიკების დახურვა მოჰყვა.

იაპონიის მიძინებული მუშათა კლასიც ამოძრავდა. ქუჩა აბობოქრდა. „მთავრობა და მუნიციპალიტეტები სხვა და სხვა ქალაქებისა ეძიებენ საშუალებათ უმუშევრობის თავიდან ასაცილებლათ, განზრახულია შრომის ბირჟის შექმნა, საზოგადოებრივ მუშაობების მოწყობა და სხვა სართავ მრეწველობის კრიზისი ახასიათებს, მუშებს მასიურათ ითხოვენ. მუშათა მოძრაობის გამო შეჩერდა შიბორის ქარხანა. ცდა მუშათა პალიატიურ ზომებით დაკმაყოფილებისა არ მართლდება“, „ოსაკაში სამრეწველო კრიზისის გამო აპრილის განმავლობაში დახურულა 141 ფაბრიკა. მუშები ათასობით დარჩენილან უსაქმოთ.“ „ტოკიოდან-კიუ-სუს. პროვინციაში დაწყებულა მასიური გაფიცვა მუშებისა“, ამასთან ერთად გაზრდილა ბრძოლა საარჩევნო უფლებათათვის. ხშირი ყდფილა

გაფიცვები მელითონეთა შორის, განსაკუთრებით ოსაკაში და იაკოვამაში. დიდი გაფიცვა მომხდარა სახელმწიფოს ფოლადის ჩამოსასხამ ქარხანაში ქ. იავატაში სადაც 37000 მუშა მუშაობს“. „კობეში მუშების მხოლოდ მესამედი-ლა მუშაობენ. დათხოვნილი მუშები პროვინციაში მიდიან სამუშევრის საძებნელათ.“

აი ის კანტი-კუნტი ცნობები, რომელთაც გადმოგვცემენ გაზეთები, იაპონიის უკანასკნელ მდგომარეობის შესახებ. ამასთან ერთად თუ ანალიზს გაუკეთებთ მის უკანასკნელ ექსპორტს და ყურადღებას მივაქცევთ იენის კურსის დაწევასაც. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იაპონიის მრეწველობის მდგომარეობა უკანასკნელ პერიოდში არა ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. ფასები მანუფაქტურაზე, აბრეწუმეულობაზე და ფაბრიკატებზე ეცემა. ამავე დროს კი პირველ მოთხოვნილებათა საგნების ფასი იზრდება, რაც კრაზისს უფრო აღრმავებს.

იქნება ხანგრძლივი იაპონიის მრეწველობის კრიზისი თუ ის გამოსავალს იშოვის ამ მოკლე ხანში?

რომ ამ კითხვას გავსცეთ პასუხი საჭიროა მოკლეთ შევენოთ დღევანდელ საერთო ეკონომიურ მდგომარეობას და კერძოთ ყურადღება მივაქციოთ და შეძლების და გვართ განვმარტოთ ის ფაქტები თუ რა ხდება შორეულ აღმოსავლეთში. რა ძალები იბრძვიან, რა არის მათი მიზანი და საითკენ შიილტვის თითო მათგანი?

საერთო მდგომარეობა გართულებულია. ომმა შთანთქა აუარებელი სიმდიდრე. ქვეყნები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. ყველაზედ უფრო კარგათ გრძნობს თავს ამერიკა, ეს დაუძინებელი მტერი იაპონიისა. მეორე მხრით იაპონია დაჰკარგავს ბაზარს ჩინეთისას და ვლადივასტოკ.-უსურიის-ციმბირისას. ეს ფაქტია ერთი მთავარი ფაქტაგანი მისი კრიზისის-და ჩვენ ვხედავთ, რომ იაპონია არაფერს არ იშურებს ამ ბაზრების დასაპყრობათ. ბოლშევიზმი კი თან აფართოებს თავის გავლენას შორეულ აღმოსავლეთში და უკიდურეს საფრთხეს უმზადებს როგორც იაპონიას ბაზრის დაპყრობაში, ისე მის პოლიტიკურ წესწყობილებასაც. იაპონია, სარგებლობს რა ობიექტიურ პოლიტიკურ პირობებით, არ ეშვება განსაზღვრულ პუნქტებს შორეულ აღმოსავლეთისას. სანამ კოლჩაკი ბატონობდა იაპონიას საშუალება ჰქონდა მთელი ციმბირის ბაზრით ესარგებლა. დაეცა კოლჩაკი, ბოლშევიკებმა მთელი მხარის დიდი ნაწილი შემოიერთეს და ბაზარიც იაპონიისათვის მოკლედ ტერიტორიით შემოიფარგლა. ის დახმარებას უწევს სემიონოვს, კალმი-

კოვს თუ სხვებს ფულით თუ საქმით, რათა თავისი გავლენა და ბაზრის ტერიტორია გაათართოვოს. ასეთ ლტოლვას იაპონიისას წინ ეჩხებებიან ამერიკა ჩინეთი და აქტიურათ ებრძვიან მას. იაპონიისათვის ეს კითხვა სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვაა და ისიც ყოველივე საშუალებას იყენებს. რათა თავის მიზანს მიაღწიოს, რომ თავი გადაირჩინოს ეკონომიურ გაღატაკებისაგან. ამერიკა ყოველ წამს, ყველა გზებზე წინ უხვდება და გასაქანს არ აძლევს. იაპონიამ რომ შესძლოს რაიმე ნაირათ რუსეთის ბაზართან ურთიერთობის დაქვერ და მით თავი გადაირჩინოს კრახისაგან, ან ძალით უნდა დაიპყროს ის, რაც ასე ადვილიც არ არის, ვინაიდან მას მარტო რუსეთთან არ ექნება ამ შემთხვევაში საქმე ან და რაიმე სხვა გზები უნდა ეძიოს. ამ მიზნით ის ხელს უწყობს სახელმწიფო ბუფერის შექმნას ვლადივოსტოკ-ირკუტსკამდე. მას უნდა ეს სახელმწიფო ბუფერი, არამც და არამც ბოლშევიკური არ იყოს, რომ პროპაგანდაც ბოლშევიკური არ არსებობდეს ამ ტერიტორიაში. ასეთ საშუალებით მას სურს თავიდან აიცილნოს ბოლშევიზმის შიში და მეორე მხრით, უმთავრესად, ამ სახელმწიფოს საშუალებით აწარმოვოს რუსეთთან აღებ მიცემობა. მართლაც ამ ბოლო დროს, როგორც ვიცით, ამგვარი ბუფერი ვითომდაც შექმნა მედვედიცის მეთაურობით, რომელიც რუსული—ბოლშევიკური ორიენტაციის თუმცა არის, მაგრამ დემოკრატიზმის პრინციპებზე სდგას. თუ ასეთმა ცდამ იაპონიისამ წაყოფი გამოიღო, შეიძლება კრიტიკული მდგომარეობა იაპონიისა ცოტათი გაუმჯობესდეს, რაც საეჭვოთ უნდა მივიჩნიოთ. უფრო შესაძლებელია, რომ იაპონიის იმპერიალიზმი, ვერ შეურიგდება ირგვლივ შემორტყმულ სალტეებს და ძალით მოისურვებს მის დაღწევას. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება სრულიად ახალ ომებთან, რომელიც დაიწყება იაპონია-ამერიკა და ჩინეთის შორის. ამის მიზნები უკვე არის და ეს არც ისე გვიან მოხდება. რუსეთიც ვერ ასცდება ამ ომს. ამ ომში შეიძლება უფრო გააფთრებული ხასიათი მიიღოს, ვინაიდან ერთმანეთს შეეჯახებიან ერთის მხრით უძლიერესი ამერიკა და მეორე მხრივ, ცხოვრების ასპარეზზე ახლად გამოსული, იაპონია. თუ საით გადაიხრება სასწორი ამის თქმა ძნელია, ვინაიდან არ ვიცით დღე რა ძალთა ვანწყობილება დაახასიათებს ამ ომს და როგორი კოლიციები შესდგება, მაგრამ ერთი კი ნათელია, ეს ომი, თუ მსოფლიო გარდატეხა არ მოხდა, აუცილებელია. მან უნდა გადასწყვიტოს შორეულ აღმოსავლე-

თის პრობლემა. შეიძლება ეს ომი უფრო ხანგრძლივი და საშინელი გამოდგეს ვიდრე 1914 წელში დაწყებული ომი იყო.

მისი სიმწვავე მით უფრო საგრძნობი იქნება, რამდენათაც იაპონიის მრეწველობის მდგომარეობა კრიზისისაკენ დაექანება. ეს ბრძოლა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა იქნება იაპონიისათვის და ვინ იცის საით გადაიხრება ბედის სასწორი.

მიუხედავად ცუდ პირობებისა ჩვენ ვფიქრობთ იაპონიის კრიზისი ადრე გამოსავალს იშოვის— შეიძლება ამისთვის მას ბევრი რამ გადაელობოს წინ, მაგრამ იაპონიის მრეწველობა—ხალხი მას გადაიტანს. უნდა გვახსოვდეს ერთნაირი ისტორიის მაგალითები, რომ ახლად გამოსულს ერს სარბიელზედ აქვს თავისი როლი, რომელიც მან უნდა ითამაშოს. იაპონიაც სწორეთ ასეთ ერთა ჯგუფს ეკუთვნის და კიდევ მეტი, მას აწახიათებს განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც თავდებია ამ ერის დიდი მომავლისა.

იაპონია ის სახელმწიფოა, რომელმაც რაღაც 40—50 წლის განმავლობაში გამოსულმა ახალ-ისტორიულ სარბიელზე იმდენი რამ გააკეთა და შექმნა, რომ განცვიფრებაში მოჰყავს მთელი კაცობრიობა. მისი მოკლე ახალი ისტორიის ფურცლები ჯერ მთლად კიდევ არ დაწერილა და ვინ იცის რას უმზადებენ მისი სტრიქონები „დაბერებულ“ ევროპას ან და „იანკების“ ამერიკას.

დღეს კი თვით კრიზისი უფრო ხელს უწყობს ისედაც იაფ იაპონურ ფაბრიკატების უფრო გაიაფებას. უფრო და უფრო მცირდება ევროპის სახელმწიფოთა მიერ მათდამი მოთხოვნილება და იაპონიის მრეწველები იძულებულნი არიან წარმოება თან და თან შეამცირონ.

ისე კი იაპონიელები არავითარ შრომას არ მოერიდებიან, რათა გამოვიდნენ გამარჯვებულნი ამ კრიზისისაგან. მათი უნარი თავდებია იმისა, რომ ისინი ამას შესძლებენ ახლო მომავალშიც.

ეხლა ჩვენ გადავალთ ჩინეთზე.

შრომის დამცველი კანონმდებლობა ევროპის სახელმწიფოებში

ინგლისი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დედამიწის ზურგზედ არ შოიბოვებოდა არც ერთი კულტურული სახელმწიფო, რომელსაც შრომის დამცველი კანონმდებლობა არ ჰქონოდა. მსოფლიო ომის დაწყებამდე—მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს შრომის დამცველი ფაბრიკა-ქარხნის ფართე კანონმდებლობა მუშათა საკითხის—მნიშვნელოვან ნაწილად ითვლებოდა ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვაგან შრომის პირობები სხვა და სხვა კანონებით ვრცლად და ნათლად იყვნენ გარკვეულნი და ჩამოყალიბებულნი. მუშათა შრომის კანონმდებლობა იმ დროის ლიბერალურ ეკონომიურ წყობილების შედეგი, და გამოხატულება იყო წარმოების შობირდაპირე მხარეთა ურთი-ერთ დამოკიდებულების თითქმის ყოველივე წვრილმანიც კი კანონათ იყო გადაჭრილი. შრომის პირობების უფლებრივ ნორმებით გამიჯვნა ბავშვის და ქალის შრომიდან დაიწყო. შრომის მფარველი კანონები უპირველესად ყოვლისა მხოლოდ ფაბრიკის მუშებს ეხებოდახ და ამიტომ თანაგვარი კანონების რიგს— „ფაბრიკის კანონმდებლობა“ ეწოდა. შრომის კანონმდებლობით მფარველობა შემდეგში ფაბრიკის გარეშე-მომუშავეზედაც გავრცელდა. სახელოსნოებში მომუშავენი, ხელზედ მოსამსახურენი, ნოქრები და ყოველნაირ დარგის და წარმოების მუშაკნი ყველანი-შრომის კანონებით თავიანთ პროფესიონალურ უფლებებს იცავდნენ. ამიტომ დასახელებულ კანონმდებლობას სახელი გამოეცვალა. „ფაბრიკის კანონმდებლობის“ მაგიერ უფრო ფართე სახელი— „მუშათა კანონმდებლობა“ დაერქვა.

შრომის დამცველი კანონები ყველაზე ადრე ინგლისში დაიწერა. ინგლისი თავის ფაბრიკა-ქარხნეული წარმოებით შრომის კანონმდებლობის აკვნად ითვლება. „ფაბრიკის შევირდები“ პროლეტარიატის ოჯახიდან-პირველები იყვნენ-ვისაც სახელმწიფო გამოეკომაგა.

ბატონი მწარმოებელნი „ფაბრიკის შევირდებს“ უკიდურესად ავიწროებდნენ. ფაბრიკებში მათი ნორჩი სხეულის შემძლებლობის ექსპლუატაციას საზღვარი არა ჰქონდა.

წარსულში ინგლისის საზოგადოების ღარიბთა ინტერესების დამცველად განსაკუთრებული საზოგადოებები — „ღარიბთა სამზრუნველოები“ ჰყავდა. მაგრამ ყოველად შემძლებელ ფაბრიკა-ქარხნების პატრონებს — „ღარიბთა სამზრუნველოები“ ვერაფერში წინააღმდეგობას ვერ უწყებდნენ. მათ შეგირდებისადმი უსინდისო მოპყრობას სიჩუმით ჰფარავდნენ. ინგლისის მცირე წლოვან „ბოგანო პროლეტარს“ მოსარჩლე არავინა ჰყავდა.

მდგომარეობა ისეთი შეიქმნა სახელმწიფოს ერთი დიდი ნაწილის მოქალაქეებისათვის, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სახელმწიფო იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო და ჩაგრულთა ინტერესები დაეცვა, ბავშვების მდგომარეობა ფაბრიკებში-კი ისეთ საშინელებას წარმოადგენდა, რომ მშობლებს პირდაპირ ეშინოდათ თავიანთი ნორჩი მოზარდები ფაბრიკებში ეტარებინათ. მაგრამ სიღარიბე ქალას ატანდათ, იძულებული იყვნენ თავიანთი პატარა შვილები სატანჯველად მაშინებთანა ჰყოლოდათ. ფაბრიკანტებიც როგორღაც — მაშინდელი მშობლებისთვის გამოურკვეველი მიზეზით ბავშვებს დიდებზედ უპირატესობას აძლევდნენ. ფაბრიკებიდან უფროსებს ერეკებოდნენ. ბავშვებს კი თავაზიანად და დიდის ხალისით იღებდნენ. თავიანთ ასეთ საქციელს სხვათა შორის ასეც კი ასაბუთებდნენ: „ბევრს ნაზ, სუფთა და ფაქიზ საქმეს ბავშვის ნორჩი, ქორფა თითები უფრო უხდება, ვიდრე დიდის ტლანქი, დაკოჭიყებული თითებიო.“ ასეთ უსინდისობით სავსე გულახდილობით თავს შეიქცევდნენ ბატონი მწარმოებელი და სრულებით არა ფიქრობდნენ იმაზედ, თუ რას უშვრებოდნენ მათი მაშინები ნორჩ-ქორფა თითების პატრონთ — მცირეწლოვან ბავშვებს! სრულებითაც არ ენაღვლებოდათ უფალ ფაბრიკანტებს, რომ მათი ფაბრიკების მოშენებული ჰაერით პაწია მუშაკების სიცოცხლე უზომოდ იწამლებოდა და მათი მომავალი დღითი-დღე მოკლდებოდა...

ფაბრიკა ქარხნების კარები მცირეწლოვან მუშაკებისთვის მუდამ ღია იყო. „ღარიბთა სამზრუნველოებსაც“ ეს უნდოდათ. ღატაკ ბავშვებზედ ფიქრს და ზრუნვას გულდამშვიდებით მათ ფაბრიკებში გასტუმრებას აგზნობინებდნენ. ხელგაშლით სთავაზობდნენ გაღუფურჩქნელ სიცოცხლით სავსე მოზარდებს გაუმადლარ ფაბრიკანტებს. ამით მათ გულსაც იგებდნენ და თავიანთ საქმესაც იკეთებდნენ. ბავშვებით პირდაპირ ახდილი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. „სამზრუნველოების წევრები“ დანიშნულ დღეებში ბავშვებს აგროვებდნენ. ფაბრიკის მოურავი მი-

დიოდ, შინჯავდა ბავშებს, არჩევდა თამამებს და ღონივრებს და ფაბრიკაში მიჰყვანდა. ფაბრიკებში ჩაყენებული მოზარდები „შაგირდებთან“ ითვლებოდნენ. ჯამაგირი მათ არ ეძღვოდათ. ბინა და ულუფა იყო მათი შრომის საფასური. საკმელს ძალიან უყვარვის იღებდნენ. მათი საცხოვრებელი ქონხახები ადამიანის სახლებს არა ჰკვინდნენ. შეგირდებში სიკვდილი იყო გაბატონებული, აუარებელი მოზარდის სიცოცხლე უდროოდ ესალმებოდა წუთის სოფელს.

საცოდავი ბავშვები დღე ღამეში მუდამ თექვსმეტ საათს მუშაობდნენ. ძალიან ხშირად დღეს ღამეს უსწორებდნენ. ზოგიერთი ფაბრიკები დღე და ღამე გამუდმებული მუშაობდნენ. ასეთ ფაბრიკებში სამუშაო დრო ცოტათი ნაკლები იყო. ბავშვები ორ წყებად მუშაობდნენ. ერთი რიგი მეორესა სცვლიდა. ლანკა-შირში მაშინ ყველამ იცოდა და ყველა ლაპარაკობდა, რომ პატარა მუშაკების „ლოგინები მუდამ თბილები იყვნენ“. დღით მომუშავე ჯგუფი რომ დგებოდა მათ აღვილს ღამით მომუშავე ჯგუფი იჭერდა. ბავშვების მუშაობას თვალყურს ზედამხედველები ადევნებდნენ. ბავშვები რაც უფრო მეტს მუშაობდნენ ზედამხედველებისთვის უფრო სარფა იყო. ბავშვების ხელებით გაკეთებული ნაშრომის რაოდენობით ზედამხედველების ჯამაგირი განისაზღვრებოდა. ზედამხედველებიც თავისას სცდილობდნენ, უზომოდ ამუშავებდნენ საცოდავ ბავშვებს. ბევრი ბავშვი დიდი ჯაფისაგან ღონე მიხდილი იმდენად სუსტდებოდა, რომ სახლში ამხანაგებს ხელთ მიჰყავდათ. ბევრი საცოდავი ბავშვი ტანჯვას ვეღარ უძლებდა. იხელთებდა თუ არა დროს ფაბრიკიდან გარბოდა. ბავშვების ასეთ თავგასულობას „ჯალათებმა“ მალე ბოლო მოუღეს. გაქცეულებს იჭერდნენ და ნორჩ ხელფეხედ ბორკილებს ადებდნენ. ბავშვებში ჯაშუშები გაიჩინეს და მათი საშუალებით ბავშვის გულუბრყვილო სულის ყოველნაირი განძრახვა წინასწარ იცოდნენ. სიკვდილი—ერთი გამოსავალი იყო იმ ჯოჯოხეთიდან, რომელსაც ფაბრიკა ბავშვებისათვის წარმოადგენდა. სიცოცხლით ჯერ ისევ გაუმადლანი, სიცოცხლის ჯერ სრულიად არ მკოდნენი—სიცოცხლეს გაურბოდნენ—სიკვდილს არჩევდნენ. „ფარიკის შაგირდებში“ თვითმკვლევლობა საშინლად გახშირდა. მალე თვითმკვლევლობა მოარული სენივით მოედო პატარა მუშაკებს და როგორც ალმასი ცელი ყანას, ისე სცელავდა ბავშვების ნორჩ სიცოცხლეს...

ამ საშინელებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოება,

მთავრობა ყველა ერთად ამტყუველდა. მეტისმეტად საშინელი და დიდი იყო ბავშვების უბედურება. ყველას — გარდა ფაბრიკანტებისა — გული შეეშფოთდა. მთავრობის სიტყვას მალე საქმეც მოჰყვა. მთავრობის დანიშნულმა გამოძიებამ ფაბრიკანტების ბოროტება სულ ერთიანად გამოამზევა... საშინელებას ფარდა აეხადა. მის მოსასპობად და ძირიანფესვიანად ამოსაგდებად 1802 წ. მთავრობამ „ბამბის ძაფით მქსოველ ფაბრიკებში შავირდების ჯანმრთელობის და ზნეობის — დამცველი კანონი“ გამოსცა. კანონი კი გამოსცა მთავრობამ, მაგრამ თავდაპირველად არც განსაკუთრებული პირები დანიშნა, არც დაწესებულებები შექმნა, რომლებსაც გამოცემული კანონის მოთხოვნილებანი ცხოვრებაში გაეყვანათ. ფაბრიკანტები კანონის შესრულებისათვის თავს ძალიანაც არ იღებდნენ. მათთვის არც თუ ძალიან სასიამოვნო იყო ბავშვების შრომის დამცველი კანონი. გარდა ამისა მათ აქამდისინ სრულიად შეუზღუდველ ცხოვრების ბატონ-პატრონობას გამოცხადებული კანონით ცოტა არ იყოს ფრთები ეკვეცებოდა. ამიტომ ზოგიერთი ფაბრიკანტი კანონის შესრულებისათვის ისე ძალიან თავს არ იტკივებდა. მაგრამ ანონი შინც კანონი იყო. მეტადრე „ზომიერ-წესიერ“ ინგლისელისათვის მთავრობის კანონი მართალია სასიამოვნო არ იყო, მაგრამ მაინც ასე თუ ისე ასრულებდა. ამიტომ კანონს პირველ ხანებში ისეთი დიდი და ავალსაჩინო სარგებლობა არ მოჰქონდა. ერთი რამ-კი აევრისათვის ცხადი შეიქმნა. ძალიან ბევრს, გამოცემულმა კანონმა, დაანახვა და დაარწმუნა კიდევ, რომ ფაბრიკის პატარა მუშაკები სრულიად უპატრონონი არა ყოფილან. გამოცემული კანონის მნიშვნელობა სხვაფრივ უფრო დიდი იყო. იმ კანონით შრომის დამცველი კანონმდებლობის გზა გაიხსნა და დიდ საქმეს საძირკველი ჩაეყარა. ყველამ დაინახა, რომ შრომის მფარველად, ფაბრიკანტების თავაშვებულ ექსპლოატაციის წინააღმდეგ თვით მთავრობა გამოვიდა. 1802 წ. კანონი დასახელებულ დარგში სახელმწიფოს პირველი ნაბიჯი იყო. პირველი ნაბიჯის გადადგმა ისე მტკიცედ და გაბედულად მოხდა, რომ ცხადი იყო, რომ მომავალში მთავრობა დაწყობილ საქმეს არ შეაჩერებდა. და მართლაც ასე მოხდა. შრომის დამცველი კანონი პირველად მხოლოდ ბამბით მომუშავე ფაბრიკების მუშებს ეხებოდათ. მაგრამ მალე მთავრობამ კანონის ძალა მთელ საქსოვ წარმოების მუშებზედ გაავრცელა. კანონის გამოცემამდე ფაბრიკებში სამუშაოდ ცხრა წლის და მათზედ პატარა ბავშვებსაც იღებდნენ. კანონმა ისეთი პატარა ბავშვების ფაბრიკებში მი-

ლება სასტიკად აკრძალა. ნება დართო ფაბრიკებში მხოლოდ თერთმეტი წლის ბავშვების მიღება. ცამეტწლამდე ფაბრიკის მცირე წლოვან მუშაკებს დიდებისათვის სავალდებულო საშუალო დროს—მხოლოდ ნახევარი უნდა ემუშაენათ. 1802 წ. კანონის გამოცემამდე ქალები და 14—18 წლის მოზარდები დღე-ღამეში თორმეტს საათ მუშაობდნენ. კანონმა მათ საშუალო დრო შეუმცირა. მათთვის კვირაში მხოლოდ ორმოცდა თექვსმეტი საათი საშუალო დროდ დააწესა.

1833 წელს მთავრობამ განსაკუთრებული მოცულებები დანიშნა. მათი მოვალეობა იყო შრომის დამცველი კანონის შესრულებისათვის ყური ეგდოთ და მის ცხოვრებაში გაყვანისათვის ხელმძღვანელობა გაეწიათ. იმ დროიდან მართლაც ფაბრიკანტებს კანონი ძალაუვნებურად სისრულეში მოჰყვანდათ. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ კანონის მეთვალყურე მოხელეებს ზოგიერთი ჯიუტი ფაბრიკანტი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ ინგლისელი მოხელის დამახასიათებელი თვისებები—სიმტკიცე ხასიათისა და ურყეობა დასაბუთ მიზნისკენ მისწრაფების დროს თავისას იტანდნენ. და წერილობითი კანონი მუშათა ცხოვრებაშიაც კანონად ხდებოდა. საქსოვ წარმოებაში კანონმა მალე დიდი სასარგებლო შედეგი მოიტანა. მუშის ჯანრმთელობა უზრუნველჰყო, რითაც შრომა უფრო გაანაყოფიერა. ეს იყო მიზეზი რომ შრომის დამცველი კანონის სამოქმედო ფარგალი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უფრო გაფართოვდა. მთავრობამ კანონის უფლება ყველა დანარჩენ დიდ წარმოებაზედ გაავრცელა. 1867 წ. კი თითქმის ყველა სახელოსნოებიც იმავე კანონებს დაუმორჩილა. რაც დრო გადიოდა შრომის დამცველ კანონთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა. 1878 წ. შრომის დამცველი კანონები ერთ კრებულად გამოიცნენ შემდეგი სათაურით—„ფაბრიკებისა და ქარხნების კანონმდებლობა.“ იმავე წელს კანონმდებლობის უფლება სამთამაღრო წარმოებაზედაც გავრცელდა. ქალებსა და თორმეტ წელზედ უმცროს ბავშვებს კანონმდებლობამ მაღაროებში მუშაობა აუკრძალა. ცამეტიდან-თექვსმეტ წლამდე კი ახალგაზრდებს მაღაროებში კვირაში მხოლოდ ორმოცდა თოთხმეტი საათი შეეძლოთ ემუშაენათ. ქალებისათვის და ორთავე სქესის მოზარდებისათვის ფაბრიკა-ქარხნებში საშუალო კვირა საათების იმავე რიცხვიდ იყო კანონით განსაზღვრული.

შრომის დამცველი კანონმდებლობა ინგლისის მუშა ხალხმა დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა. ბრძოლა ორ მოპირდაპირ-

რე ბანაკთა შუა იყო გაჩაღებული. ერთ მხარეზედ თავისი პროფესიონალური ინტერესებისთვის ინგლისის მშრომელი ხალხი იბრძოდა. მათ თავდაპირველად ხელმძღვანელობდნენ ბურჟუაზიულ ლიბერალ-ფილანტროპები, მორალიკალე ფაბრიკანტები და ტორიელთა პარტიის ზოგიერთი წევრი, რომელთაგან ყველაზედ უფრო თვალსაჩინოდ ოსტლერი, სადლერი და ებლი ითვლებოდნენ.

მებრძოლ ხალხს ფაბრიკანტების ბანაკმა სასტიკი წინააღმდეგობა გამოუცხადა. ეს ბანაკი ძალიან მძლავრი ბანაკი იყო, საერთოდ მეცნიერების, კერძოდ პოლიტიკური ეკონომიის და მართველობის წარმომადგენელი მათ მხარეზედ იყვნენ. ფულს ყველა შეცდომაში შეჰყვანდა. ფულის ძალა ყველას და ყველაფერს იქით ატრიალებდა, როგორც ეს ფულის პატრონთ ენებებოდათ. მაგრამ ნათქვამია— „წვეთებმა ბოლოს-და-ბოლოს პიტალო კლდეც დაანგრისო“ ფაბრიკანტების კლდე-ბანაკიც მუშათა იერიშების წვეთებმა ბოლოს და ბოლოს გატეხეს და აიძულეს მთავრობა მუშა ხალხის შრომის დამცველი კანონმდებლობა შეექმნა. ვინ გამოიჩინა ინგლისში ყველაზედ დიდი ღვაწლი და ენერჯია შრომის დამცველ კანონების შექმნაში ძალიან ძნელი სათქმელია. ბავშვთა შრომის ვადის შემცირებაზედ და მუშათა კლასის საშუალო დროს კანონმდებლობით განსაზღვრაზედ უპირველესად ყოვლისა რობერტ ოუენმა ხმა აღიმალა. შემდეგში ოუენი სოციალისტურ პროპაგანდას და მოღვაწეობას მეთაურობდა. ოუენს გვერდში რიჩარდ ოსტლერი ამოუდგა. ეს უკანასკნელი დიდათ ნიჭიერი, გამოჩენილი მკერმეტყველი ორატორი და მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო. ერთხელ დასახულ მიზნისკენ ოსტლერი დიდის სიმტკიცით და შეუდრეკელი ენერჯიით მიდიოდა. შრომის— „მონობის უღლიდან“ განთავისუფლება იყო მის მიზანი. „ათი საათის სამუშაო დღე“—ეს იყო იმ დროს დიდი მოთხოვნილება—ლოზუნგი და საუკეთესო იარაღი შრომის მონობიდან გასანთავისუფლებლად. ათი საათის სამუშაო დღისთვის მოძრაობას ოსტლერი მედგრად გაუხდა მასსუკან, როცა მან ბრადფორდში ერთი ფაბრიკა ინახულა და იქ „ფაბრიკის შევირდების“ საშინელი წამება თავის თვალეებითა ნახა. ფაბრიკის შევირდების როგორც ცხოვრების ისე მუშაობის აუტანელი პირობები ჟურნალ-გაზეთები ოსტლერის ნაწერების და კრებებზედ დიდი სიტყვების საგნებად გადაიქცნენ. ოსტლერი თავისი მკვეთრი კალმით მთელ ინგლისს საზოგადოებას ფაბრიკების საშინელებას ნათლად და ცოცხლად

უხატავდა: დიდ კრებებზედ ოსტლერის ხმა „ფაბრიკის შეგირდების“ უბედურებაზედ ჰქუხდა და ყველას ერთს რწმენას უწერდა: „გულში, რომ ფაბრიკებში გამეფებულ ბავშვთა ბარბაროსულ ექსპლუატაციას უნდა რაც შეიძლება ჩაქრა ბოლო მოეღოს. ოსტლერს წარმოების არც ერთი დიდი ქალაქი აღარ დარჩენია, სადაც კრებები არ გაემართნოს. ოსტლერი ყველა ფაბრიკის მუშების დიდი მეგობარი გახდა. ოსტლერს მეტი სახელი „ფაბრიკის მეფე-კაროლი“ დაარქვეს. ოსტლერის მუშათა საქმისთვის მოღვაწეობაში ერთი შესანიშნავი დღე ხაზგასმითაა აღნიშნული. ის დღე 1832 წლის 23 აპრილია. იმ დღეს ქ. იორკში ოსტლერმა მუშათა დიდი მიტინგი მოიწვია. 23 აპრილი საშინელი ცუდი დღე გათენდა. თითქოს ბუნებამ უჯიბრა მუშა ხალხს და დიდებული საქმისთვის ხელი უნდა შეეშალნაო.

მაგრამ ოსტლერის სახელით გატაცებამ, მუშათა საყვარელ ბელადის ნალაპარაკების გაგონების სურვილმა სიცივის, თოვლყინვის და უამინდობის შიში დასძლია. ორმოც და ორმოცდაათ ვერსის სიშორიდან აუარებელი მუშა ხალხი იორკის ირგვლივ მდებარე ფაბრიკებქარხნებიდან იორკში გაეშურა. ბევრი მათგანი ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი თოვლქვაპში ოსტლერის ყურის დასაგდებად მიინტყვიდა. ზოგი ჩამორჩენილ ადგილებიდან ხალხი ფსალმუნების გალობით იორკში მიემგზავრებოდა. ზოგი კი მომენტის შესაფერისი სარევილიუციო სიმღერებით გზას იმოკლებდა. რამდენიმე ფაბრიკის მუშები ბაირახებით და დროშებით მიდიოდნენ. ბაირახებზედ სახარებისა და ბიბლიის ტექსტები დაეწერათ: „გაუმარჯოს ათი საათის სამუშაოდღეს,“ — „ძირს თეთრი მონობა“ და სხვა ამგვარი სარევილიუციო წარწერებს ხალხი ზოგიერთი ფაბრიკების მუშების დროშებზედ კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ დანიშნულ ადგილებში იორკში მოზღვავებულმა უთვალავმა ხალხმა საკმელ-სასმელი დროზედ ვერ მიიღო, მიინტყველვან საგანგებო წესი და რიგი სუფევდა. ხალხი შეგნებულად თავის დღეობას დღესასწაულობდა. ცუდმა ამინდმა, სიცივემ, უკმელუსმელობამ, დაღლილობამ — ხალხი ვერ დასძლიეს. თავით-ბოლომდე ხალხმა კრება გულმოდგინედ მოისმინა. ორატორების აღფრთოვანებულ, მგზნებარე სიტყვებს ყველა გატაცებით ყურს უგდებდა. კრება ხუთი საათი გაგრძელდა. გათავებისას ხალხი ოსტლერის დიდად კმაყოფილი და მადლიერი დაიშალა. იორკიდან შინისკენ დაბრუნება მუშებისთვის უფრო სამძიმო იყო ვიდრე იორკში მოსვლა. ვხვები უამინ-

დობას უარესად გაეფუჭებინა. ღონე მიხდილი, მშიერ-მწყურვალი, სიცივისაგან გათოშილი ხალხი მაინც კმაყოფილი გატარებული დღით სახლებში ბრუნდებოდა. ასეთი საინტერესო სურათები და ეპიზოდები ინგლისის მუშათა მოძრაობიდან ოსტლერის ცხოვრების ისტორიაში ძალიან ბევრია ჩაქსოვილი და აღნიშნული. მდიდარი, ლამაზი და შინაარსიანი იყო ინგლისის მუშათა მოძრაობის ბელადის—ოსტლერის—ცხოვრება. მუშათა მოძრაობამ გააშუქ-ცისკროვნა თავისი საყვარელი მეზაირახტრის კერძო ცხოვრებაც!!

ი. ლომოური.

საბაღე ნიადაგის გაშრობა ზედმეტი ნესტიისაგან.

I.

ნარინჯოვანი ხეხილისათვის წყალი ისეთივე აუცილებელი მაკვებ-ბარი ნივთიერებაა, როგორც ყველა მცენარისათვის. უწყლოდ, არავითარი მცენარე არა ხარობს: წყალი ხრწნის ნიადაგში მყოფ მინერალურ მაკვებარ ნივთიერებას, აქცევს სითხეთ, რომელსაც მცენარის წვრილი ფესვები ადვილად სწუწნიან ნიადაგიდან. სადაც წყალი არ არის იქ მცენარის საზრდოება შეუძლებელია. ხოლო ზედმეტი წყალი კი მავნებელია მცენარისთვის და ხშირად სიცოცხლესაც უსპობს. ნიადაგში, სადაც ზედმეტი ნესტია, ჰაერი კარგა ვერა მოძრაობს, უჰაეროდ კი მცენარეს ერთი წამით სიცოცხლე არ შეუძლიან. ზედმეტი ნესტი ნიადაგში აჩენს წყალბადს და ტბორთობს, რომლებიც მცენარისათვის საწამლავია. სადაც ეს ნივთიერება ჩნდება, იქ მცენარე ვერა ხარობს.

რომელ ნიადაგს ეძახიან ზედმეტ ნესტიანს?

საზოგადოდ ზედმეტ ნესტიან ნიადაგად უნდა მივიღოთ ისეთი ნიადაგი, სადაც წყალი რჩება ანუ ჩერდება რამდენიმე თვით. ნიადაგი, რომელშიაც წყალი ჩერდება არა მთელი წლის განმავლობაში, არამედ მხოლოდ პერიოდულად იყვინთება წყლით, ნესტიანი არ არის. თუ წყალი ზამთარში და გაზაფხულზედ(?) წვიმების დროს ნიადაგის პირ-

ზედ ჩერდება რამდენიმე კვირით, ასეთი ადგილი ნესტიანია, მაგრამ მცენარისთვის მავნებელი-კი არ არის. ზედმეტი წყალი მცენარისათვის მხოლოდ მაშინ არის მავნებელი, როცა მცენარის წვენი მოძრაობს ე. ი. გაზაფხულზედ და ზაფხულში, ზამთრის სინესტე-კი მცენარეს არას ავნებს.

როგორ უნდა გავიგოთ ნიადაგის სინესტე?

ამისათვის დანიშნულს ადგილას ამოსთხრიან ერთ არშინ სიღრმის ორმოს და თუ ამ ორმოში ორი დღის განმავლობაში წყალი ჩადგა ეს იმის მომასწავებელია, რომ აღნიშნული ნიადაგი ძალიან ნესტიანია და მისი გაშრობა აუცილებელია. ასეთი ნიადაგი ერთი წლის წინათ უნდა გაშრეს, ვიდრე ბალი გაშენდება.

თუ როგორ უნდა გაშრეს ნიადაგი ეს იმაზეა დამოკიდებული თუ საიდანა ჩნდება სინესტე. თუ სინესტე გამოჟონავს გორაკის ძირიდან და ჰვარავს მის ახლო-მახლო მდებარე მინდვრებს, ამ შემთხვევაში უნდა ვიპოვოთ ამ წყლის სათავე. მისი სათავე შეიძლება იყოს ერთს ან რამდენიმე ადგილას. ამ სათავეებს მოუყრიან თავს ერთად არხის საშუალებით. არხი გაჰყავთ დაბალ ადგილისაკენ, მისი საშუალებით იწრიტება მთელი სინესტე. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საბაღე ადგილი მდებარეობს გორაკსა და გორაკის შუა და წარმოადგენს დაბლობს, მაშინ, როდესაც გარშემოხვეული აქვს მალლობები, საიდანაც თოვლის და წვიმის ნიაღვრები ამ ნიადაგისაკენ მიდიან.

ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლიან ნიადაგის არხით გაშრობა. აქ უნდა მივმართოთ შემდეგ საშუალებას: უნდა გავიგოთ რა თვისებისაა ამ ნიადაგის ყამირი, თუ იგი ქვიშნარია და ადვილად უშვებს სინესტეს, მაშინ უნდა ამოვთხაროთ ორმო იმ სიმაღლისა სანამ მივალწვევთ ქვიშნარს. როცა ამოვთხრით რამოდენიმე ნაწილს ამ ქვიშნარისას უნდა ჩავდოთ შიგ თხემლის ხის ტოტებიდან შეკრული კონები, რომლის სისქეც უნდა უდრიდეს ორმოს სიგანეს. ამ კონებს ჩაჰყვება სინესტე ქვიშნარამდის, სადაც იგი ვაიფანტება. მხოლოდ ამ საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან ზემოაღნიშნული ნიადაგის გაშრობა ზედმეტად სინესტისაგან, თუმცა ასეთს საშუალებას იშვიათად ვხვდებით ცხოვრებაში. უმეტეს შემთხვევაში სინესტეს არხების საშუალებით ვაშრობთ.

არხი არის ორგვარი: ღბა და დახურული. ორივე ამ არხებს აქვთ, როგორც, დადებითი აგრედვე უარყოფითი მხარე. დახურული არხის ერთ დადებითი მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ და-

ხურული არხის ზედა პირზედ — დედამიწაზედ შეიძლება გაშენდეს რამე, რომ მიწა ცუდათ არ მოსცდეს. დახურული არხის გაწმენდა ხშირად არ გვიხდება და დიდხანს ინახება. შეიძლება დახურული არხი გაკეთდეს პატარა, რისთვისაც კოტა შრომა და ხარჯი დაგვჭირდება. მაგრამ თუ დახურული არხი დაინგრა და გაფუჭდა ძნელია დაზიანებული ადგილის პოვნა. მებაღეები არჩევენ დახურული არხების გაყვანას. ასეთს არხებს აკეთებენ შემდეგის სახით: უნდა ვიპოვნოთ ის ადგილი, საიდანაც სინესტე იწყება. ამ ალაგას უნდა ამოვთხაროთ ორმო სიღრმით $\frac{3}{4}$ არ. და სიგანით 5-6 გოჯამდის. ორმოს სიგანეზედ — ჯვარედინად აწყობენ თხემლის კონებს, რომლების მსხვილ თავებსაც აბჯენენ იმ ადგილას საიდანაც სინესტე ჟონავს.

ორმოს ძირი ნახევრამდის თავისუფალია წყლის სამოძრაოდ, მხოლოდ კონის ზევით დაყრილია ჩალა, შემდეგ კი მიწა. თხემლის ტოტები დიდხანს არ ღებება და ადვილად უშვებს წყალს ტოტებს შუა. მთელ არხში ისე აწყობენ კონონებს, რომ ზევითა ნაწილში მსხვალი თავი უღევს, ქვემოლ-კი წვრილი. კახების არხში ჩაწყობის წესი ისეთივეა, როგორც სახურავზედ კრამიტის დაწყობისა. ესე იქცევიან მხოლოდ იქ, სადაც თხემლის ხეებია, რადგანაც სხვა ჯიშის ხეები ამ მიზნისათვის გამოუსადეგარია. ხოლო სადაც თხემლის ხე არა ხარობს და სამაგიეროდ იშოვება ბრტყელი ქვები — იქ არხებში აწყობენ ქვებს: ორ ქვას არხის კედელზედ, მესამეს კი სახურავად და ზევიდან აყრიან ფუჩჩის ან წვრილ ქვას და შემდეგ მიწას. შეიძლება არხში ჩაიწყოს აგრედვე თიხის მიღები, რომლის ნაპრალები სწოვენ ნიადაგიდან სინესტეს. ეს უკანასკნელი საშუალება ძვირად ჯდება, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია. ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით მართო ზემოაღნიშნულ ორი ტიპის საშრეტებს.

საწრეტი ანუ გასაშრობი ორგვარია: მთავარი არხი და პატარა არხები. მთავარ არხს ისეთ არხს ვუწოდებთ, რომელშიაც მთელი სინესტე თავს იყრის და გადის ბადის ბოლოს. სიმაღლე მთავარი არხისა უნდა იყოს არა ნაკლებ $\frac{3}{4}$ არშინისა, რადგანაც ნარინჯოვან ხეხილის ფესვები $\frac{3}{4}$ არშ. ქვევით არ მიდის ნიადაგში. საზოგადოდ არხის სიმაღლე დამოკიდებულია ნიადაგის მდებარეობაზედ. ჩვენ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ არხში წყალი არა ჩერდებოდეს და თავისთავად უნდა მიდიოდეს. წყალი-კი არხში თავისუფლად მხოლოდ მაშინ იმოძრაეებს, როცა არხი დაქანებულია.

ამ დიდს არხს ეძახიან მთავარ საწრეტ არხს. პატარა არხები აგროვებენ სინესტეს ნიადაგიდან და უფრთებენ მთავარ არხს.

ეს პატარა არხები ერთი მეორეზედ იმოდენად არის დაშორებული, რამოდენათაც ეს საჭიროა დანიშნული ადგილის გასაშრობად. რომ გავიგოთ მანძილი ამ არხისა, უნდა ამოვთხაროთ პატარა ორმო სიღრმით არა უმეტესი 1 არშინისა. თუ ამ ორმოში წყალი გაჩერდა, საჭიროა ამ ადგილიდან დავიწყოთ პატარა არხების გაყვანა. ამ ორმოდან უნდა გავზომოთ მანძილი მთავარ არხამდის. ესთქვათ ეს მანძილი უდრის 15 საყენს, ეს იმის მომასწავებელია, რომ პატარა არხი აშრობს 15 საყ. ერთი მხრიდან და 15-მეორედან ე. ი. სულ 30 საყ. სათავე პატარა არხისა უნდა იყვეს სიმაღლით $\frac{3}{4}$ არშინისა, ხოლო ბოლო-კი იმ სიმაღლისა, რა სიმაღლეც აქვს მთავარ არხს.

მ. ქარცივაძე.

ხ ო ლ ე რ ა

(დასასრული)

ხოლერის საწინააღმდეგო ზომები:

ჩვენ უკვე ვიცით—რა არის ხოლერა, საიდან გვეტუმრა იგი, რა არის მისი მიზეზი, რა ნიშნები აქვს და როგორა ვრცელდება და გადადის ერთიდან მეორეზედ. მტერს როცა იცნობს ადამიანი, იცის მისი ზნე-ჩვეულება—მტერი იმდენად საშიში აღარ არის, ასევეა ხოლერაც. მას უკვე ჩვენ ეხლა კარგად ვიცნობთ. მასთან ბრძოლა ეხლა ჩვენთვის საშიში აღარ იქნება. ხოლერა, შედაოებით სხვა გადამდებ სენებთან, ყველაზედ ადვილი მოსაგერებელია. მიუხედავად იმისა, რომ ხოლერა ძალიან გადამდები და მეტის-მეტად სახიფათო ავადმყოფობაა. ხოლერით არავინ უნდა გახდეს. ავად; თუ გარფთხილდება. და თუ გახდა ვინმე ავად—არ უნდა მოკვდეს—თუ შეასრულებს ყველა საჭირო აუცილებელ ზომას. ხოლერას „ღარიბ დატაკი კაცის“ ავადმყოფობას ეძახიან. მართალიც არის. იქ სადაც სიღარიბე მორთულ-მოკმაზულია გაუნათლებლობით, უვიცობით, სიმშლით, ჭუჭყით და ვაგლახით—აი სწორედ იქ—ხოლერა კვლავტარავით ერჭობა, ფრთებს განზედა და ღონივრადა შლის და თამამად დაპარპაშებს. ხოლერისათვის იქ ყოველთვის დღესასწაულია!

თავიდან რომ ავიცილოთ ხოლერა საჭიროა შემდეგი ზომა-საშუალება:

ა) ხოლერა თუ გაჩნდა ცხოვრება არაფრით არ უნდა შესცვალოთ. ზოგიერთი ხოლერით შეშინებული ჭამა-სმაზედ უარს ამბობს, ეშინიან ხოლერის ვიბრიონები საქმელ-სასმელს არ ჩაატანოს—ამიტომ თითქმის არაფერსა სჭამს.

შიმშილობს, ის კი ავიწყდება, რომ უქმელობით სუსტდება. დასუსტებულ ჯანს კი უბრალო თავის ტკივილიც სახიფათოდ უხდება. ამიტომ საჭიროა მხოლოდ გაფრთხილება საქმელ-სასმელში, და ზომიერება. უხეირო, უმი საქმელ-სასმლით კუჭ-ნაწლავი არ უნდა მოიშალოთ. უნდა ერიდოთ უფარვის ხილს, მწვანილეულობას და ბოსტნეულობას. ნაკლებად უნდა მიირთვათ კიტრი, საზამთრო. ნესვი, ქლიავი, აჭკვეთოთ მჟავე, მწარე და მლაშე საქმელი...

ბ) დასაღვეად არასგზით არ უნდა-იხმაროთ უმი—მოუხარშავი წყალი, უნდა სვათ მხოლოდ და მხოლოდ ნადუღი წყალი:—თუ ვინცობაა ნადუღი წყლის შოვნა ძალიან ძნელია და ძალა უნებურად უმი წყლის სმა გიხდებათ საჭიროა წყალი ძალიან ზომიერადა სვათ. სასარგებლო იქნება რომ თითო სტაქან წყალს აფთიაქიდან გამოტანილი მარილის სიმჟავის ხუთ-ხუთი წვეთი მიუმატოთ და ისე იხმაროთ. ბევრი სიჟავის ხშირად ხმარება სასარგებლო არ არის.

გ) ხოლერობის დროს შაგარი სასმელების ხმარება ყოველად მიუღებელია. ვინც დაჩვეულია—შეიძლება დალიოს დღეში თითო რუმკა არაყი და თითო სტაქანი წითელი ღვინო ან ლუდი. ცივი შუშხუნა სასმელებიც უნდა აიკრძალოთ. ასეთი სასმელები თავიანთი სიცივიტ კუჭს აფუჭებენ, კუჭის წვენს აწყალევენ და რადგანაც ხშირად უმი წყლით არიან დამზადებულნი შეიძლება თვითონვე გახდნენ ხოლერის გადამდების მიზეზად.

დ) ოჯახში უმი წყალი არაფრისთვის არ უნდა იხმარებოდეს. პირის დაბანვა, კუჭკლისა და საჭმლის გარეცხვა აღუღებული თბილი წყლით უნდა ხდებოდეს.

დ) ერთ ჯერზე გაძლომა არ არის კარგი. სასურველია ცოტა-ცოტა იჭამოს და ხშირად.

ე) დილით სახლიდან უზმოზე უქმელი ნუ გამოხვალთ. იმ დროსთვის კუჭი სრულებით ცარიელია, ღამით კუჭმა სასმელ-საქმელი ნაწლავებში გადაგზავნა—დილისთვის ერთი ნამცეციც არ დაიტოვა. ცარიელ კუჭში ერთი წვეთი სიმჟავეც არ მოიპოვება, ეს კი არ არის სასურველი. ამიტომ საჭიროა მარილ წყარილი ერთი ლუკმა პური მაინც შესჭამოთ. ზედ რომ დაატანოთ ჩაი ან ნადუღი წყალი უკეთესი იქნება. ერთი ლუკმა საქმელიც, რომ ჩავიდეს კუჭში, კუჭი მაშინათვე სიმჟავეს უშვებს. სიმჟავე კი ვიბრიონებისთვის საწამლადაა.

ვ) უმი რძე არ უნდა დაილიოს. მაწონი ძალიან მარგებელია. ნაყიდი ერობო, თუ სახლში ხელმეორედ არ გადაიდნო, არ უნდა იჭამოს.

ზ) ყოველნაირ გაციებას უნდა ერიდოთ. გაციებული ადამიანი ძალიან ადვილად ხდება ხოლერით ავად.

თ) ხოლერობის დროს სახლში, კარმიდამოზედ და ეზოში საგანგებო სისუფთავე უნდა დაიცვათ. უსწორ-მასწოროდ არ შეიძლება ფეხისადგილზედ სხვა და სხვა ადგილას მიდგომა. აუცილებლად საჭიროა თუ ვაკეთებული ფეხისადგილი არ არის, პატარა ორმო მაინც ამოთხაროს და ის იხმარებოდეს. ფეხის ადგილები და სიბინძურეთა ორმოები უნდა თავის დროზედ იწმინდებოდნენ, ღრო გამოშვებით შიგ წყალში გახსნილი კირი ანუ „კირის რძე“ უნდა

იქცეოდეს. შიგნით ფეხის ადგილს ყოველ დღე კირის რძით უნდა ირეცხებოდეს.

ი) უჩუობესია მოვერიდოთ საავადმყოფოებს და იმ ბინებს, სადაც ხოლერია ნები წვანან.

წ) დიდის სიფრთხილით უნდა მოუაროთ ავადმყოფის განავალს და პირნალებს. ყველაფერი ეს უსუფთაობა ჭურჭელში უნდა გროვდებოდეს, ზედ კირის ოძე ესხმეოდეს და ისე იქცეოდეს ფეხის ადგილში.

ნ) ავადმყოფის მოვლის დროს დიდი სიფრთხილე და საგანგებო სისუფთავეა საჭირო. თვითვეული შემთხვევის შემდეგ, თუ შევხვდეთ ავადმყოფს ან მის ნახპარ საცვალს, ჭურჭელს, ლოჯისს და სხვა—უნდა აუცილებლად ხელები სპირს წყლით დაიბანოთ და შემდეგ რაიმე სადებზინფექციო სითხე გადაივლოთ.

ჰ) არაფრის წაღება არ შეიძლება იმ ოჯახიდან, სადაც ავადმყოფი იწვა ან მიცვალეზული იღო. წაღებულ საგანს შეიძლება ხოლერის ვიბრიონები გაჰყვნენ იქ სადაც მიიჩანთ.

ო) ავადმყოფის ოთახში ჰამა-სმა ყოველად დაუშვებელია.

პ) ავადმყოფს საგანგებო მოვლა ესაჭიროება: დღეში სამჯერ უნდა უსუფთავდებოდეს ტანი სადებზინფექციო სითხით ან თბილი წყლით.

ჟ) ერიდეთ ბუზებს. გაელიტეთ ყოველნაირი საშუალებით. მოარიდეთ ბუზებს სუყველაფერი—უფრო კი საჭმელ სასმელი, საცვალი და სხვა.

რ) ხოლერისა ნუ შეგეშინდებათ. შიში ხშირად კუჭის მოშლილობას იწვევს. ავადმყოფს კუჭი კი პატრონის ცუდი მფარველია.

ს) ხოლერობის დროს ოჯახში თუ ვისმეს ფალარათობა დაემართა, მაშინათვე ექიმს უნდა დაუძახოთ. ექიმის ყოველნაირი დანიშნულება სისწორით უნდა შესრულდეს. სანამ ექიმი მივიდოდეს ავადმყოფი ცალკე, დიდ სუფთა ოთახში უნდა მოთავსდეს, მუკელი თბილათ შეეხვეს; უმჯობესია დამათბობელი კომპრესი, ან პარკით ცხელი ქატო (შვრია და ნაცარიც შეიძლება) დაადოთ. პიტნის, ან გირილის, ან მალინის ცხელ-ცხელი ჩაი ოფლისთვის ასვით თითო ჰქიქა. ჩაის შეიძლება ხუთ-ხუთი წვეთი მარილის სიმჟავე მიუმატოთ. თუ ექიმის მოყვანა შეუძლებელია—საჭიროა შემდეგი: ავადმყოფს თავიდანვე უნდა (ხუთი მეთადი გრამისა) კალომელი მიეცეს. ორი-სამი საათის შემდეგ სასაქმებელი ხეთი (ორი-სამი საქლის კოვზი) დააღვივინეთ. კალომელის დაღვევის შემდეგ მარილის სიმჟავე არ იხმარება. თუ ფალარათობა არ შეუჩერდა სალიცილის ბისმუტი (ხუთი მეთადი გრამისა) უნდა მიეცეს დღეში ექვსჯერ. გაუკეთდეს ტანინის ან მარილწყლის ოყნა დღეში ხუთჯერ—ექვსჯერ. თითო ოყნაზე აიღეთ რვა ჩაის ჰქიქა ნადული თბილი წყალი და ორი საქმლის კოვზი ტანინი ან ორი მ სხალი მარილი. შემაწუხებელი წყურვილის მოსაკლავად ასვით ნადული ცივი წყალი, ჩაი ლიმონით ან მარილის სიმჟავეო. პიოლებინების შესაჩერებლად იხმარეთ ყოველის პატარ-პატარა ნაქრები. უკეთესია ყნულს დაწვეთოთ ათი წვეთი გოფმანის წვეთებისა ან ერთი წვეთი ეთერისა. კრუნჩხვა-მანქვის წინაღიმდე ძალიან კარგია თბილ წყალში (30—35°) ბანაობა. ავადმყოფი უნდა ზასვით ოცდა რვა გრადუსიან წყლის ვანაში და შემდეგ ცხელი წყალი უმატოთ

იმდენი, რომ წყლის სითბო 33—35 გრადუსამდე ავიდეს. ვანაში ავადმყოფის დატოვება 10—20 წუთამდე შეიძლება. დიდი ხნით ვანა სახიფათოა—ავადმყოფი შეიძლება დასუსტდეს და ვანაში გული წაუვიდეს. ვანამ რომ უფრო ძრიელად იმოქმედოს—გაახუროს ავადმყოფი—კარგი იქნება თითო ვანას ნახევარ გირვანქა გარჩიცა მიუმატოთ. ვანის შემდეგ ავადმყოფი ყინულიან წყალში დასველებულ ტილთით უნდა დაზილოთ, თბილ ლოგინში განაიყვანოთ, ასეთ რაც შეიძლება ბლომად მალინას ცხელი ჩაი, შავი მაგარი ყავა. (ჩაის შეიძლება მიუმატოთ კონიაკი, ან წითელი ღვინო—ერთი ან ორი კოვზი თითო ჭიქახედ) ცხელ ვანებს დიდი სარგებლობა მოაქვთ, ავადმყოფს დროებით უჩერდება მანკვა-გოეხა, უდგება ფაღარათობა და პირღებინება, გუნებაზედაც ცოტახნობით კარგად ხდება. აუ გინიცობა ვანების გაკეთება უხერხულია, მაშინ ავადმყოფს ხელფეხი უნდა დაეზილოს დღეში სამჯერ-ოთხჯერ ქათურის ან გარჩიცის სპირტში დასველებული შალის ნაჭრით ან ჩბირი ჩოთქით. (შეიძლება დასახელებად იხმართო ძმარნარევი ცხარე არაყი). ავადმყოფის დახეღვას მისი ოშხივარში გატარება სჯობია. ეს ასე ეწყობა. ავადმყოფის ტახტის თავსა და ბოლოს თითო მალალ თავიანი სკამი უნდა დაიდგას. სკამის თავ ბზედ გასდეთ გრძელი ჯოხი. ჯოხზედ გადაფარეთ დიდი საბანი ან ბრეზენტი ისე რომ ავადმყოფის საწოლსა და გადაფარებულ საბან-ბრეზენტ შორის ცარიელი ხანი დარჩეს. საბანი იატაკამდე უნდა იყვეს დაშვებულნი, თავი ავადმყოფს საბან გარედ უნდა ჰქონდეს და ზედ პარკათ ყინული ედოს. ასე მოწაულებულ მწოლარე ავადმყოფს გარშემო „კარავში“ უნდა ტახტში ჩაწყობილი რამდენიმე გახურებული აგური (უკეთესა რკინის ნაჭერი) ავადმყოფის საწოლ ქვეშ შეიდგას და აგურებს დროგამოშვებით ცხელი წყალი დაეხსას. ავადმყოფი ოშხივაო გადაფარებულ საბან ქვეშ გროვდება და ავადმყოფს აცხუნებს-ათბობს. ავადმყოფის ასეთნაირად ოშხივარში გატარებას ვანები უნდა ამჯობინოთ. ვანების მიღება საავადმყოფოში უფრო მოსახერხებელია, —ამიტომ ავადმყოფი უკეთესია თავიდანვე იქ მოათავსოთ. თუ ოშხივარში გატარების დროს ვანაში ავადმყოფი სუსტდება—გული მისდის—უნდა დაალევინოთ. ან კარგი ღვინო ან ვალერიანის წვეთები ჯერზედ ოცდა ხუთი წვეთი. თუ ასეთი ზომებით ავადმყოფი გაპობრუნდა და უკეთესობა დაეტყო ჯერ კიდევ ლოგინში უნდა იწვეს და დიდის სიფრთხილით მოუაროთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ მის ჭამა-სმას. ხელი უნდა შეუწყაოთ შესაფერისი დიეტით. (ავადმყოფისთვის შერჩეულ, საჭირო-საჭმელ სასმელს დიეტას ეძახიან). პირველ ორსამ დღეში, თუ ავადმყოფს მაღა მოუვიდა, უნდა ასეთ ბრინჯის, ან ქერის, ან შვრიის ნახარში, ბულაონი და კარგი ღვინო. შემდეგ შეიძლება აძლიოთ ნაღული რძე—სჯობიან ზელტერის წყლით. ავადმყოფი ასეთ ნაირად შეზავებულ რძეს უფრო კარგად იტანს. მაგარი საჭმლის მიცემა ყოველად შეუძლებელია. ხორცი შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ როცა სრულიად მოაჩება. ასეთი მოკლა-პატრონობა და ხელის შეწყობა ესაჭიროება ხოლგრიანს ავადმყოფს. ეს სუყველაფერი მხოლოდ მდიდარს არ გაუჭირდება. ღარიბ-ლატსკს სად აქვს მოვლის თავი და შეძლება. ამიტომ საჭიროა ავადმყოფი-მე-

ტადრე ღარიბი ოჯახიდან, თავიდანვე საავადმყოფოში გაიგზავნოს მით უმეტესად, რომ ხოლერობის დროს საგანგებო საავადმყოფოები—ბარაკები—ეწყობა ხოლერიანთა ივის. ავადმყოფია ბარაკში გაგზავნა—განცალკევება—სასარგებლო და საქაროა ჯერ თითონ ავადმყოფობისთვის და მერე მის მახლობელთათვის. თვითული ავადმყოფი ხომ თამამად შეიძლება ჯერ თავის ოჯახის, მერე მეზობლების და შემდეგ მთელი სოფლის მიზეზად გახდეს და ყველას ხოლერა გადაადოს. ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ავადმყოფები უმჯობესია საავადმყოფოში გაიგზავნოს. ეს ავადმყოფისთვის საჭიროა. ამასვე მოითხოვს მთელი სოფლის, ქალაქის ინტერესები.

უ) ავადმყოფის ადგომის შემდეგ მის ბინას საგანგებო დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს. (ოთახის დამღუღრას, ვიბრიონების მოსასპობად სითხეებით გარეცხვას და ოთახში საწამლავის დახრჩოლებას—დეზინფექციას ეძახიან).

წ) ავადმყოფის ტანსამოსი, საცვალი, ლოგინის პირ-სარჩული უნდა ერთი საათით მაინც სულემის სითხეში დალბეს და მერე გამოიხარშოს და გაირეცხოს.

ჯ) სადაც ავადმყოფი იწვა იმ ოთახის კედლები, იარაქი, კარებები, სკამები და ავადმყოფის ტახტი უნდა სულემაში დასველებული ტილოთი კარგათ გაიწმინდოს. რკინას, თუჯს ეესტს და სხვა ლითონს სულემა აშავებს და აფუჭებს, ამიტომ ასეთი ლითონის საგნები და ავეჯი კარბოლის სითხით უნდა გაიწმინდნენ (ორი ჭიქა სუფთა კარბოლის სიმყავე უნდა ერთ ვედრო წყალში გაიხსნას).

კ) მაუდი, ტყავეულობა და ფეხსაცმელი არ შეიძლება დასველდეს—გაფუჭდება. ასეთი ნივთეულობა უნდა სადეზინფექციო სახლში გაიგზავნოს, რომ იქ საწამლავის (ფორმალინის) ომზივოში გაატარონ და მით ვიბრიონები მთლად გაჟლიტონ. თუ ეს არ მოხერხდება მაშინ ასეთი ნივთები სულემიანი ზოთქით უნდა გაიწმინდნენ და რამდენიმე დღით მსჯელ გაიფინონ.

ფ) უმჯობესი იქნება მოვიწვიოთ სადეზინფექციო სახლიდან მკოდნე კაცი (დეზინფექტორი), რომელიც ავადმყოფის ბინაზედ საწამლავს (ფორმალინს) დაახრჩოლებს საგანგებო იარაღით, რითაც მთელი ბინა ვიბრიონებისაგან გასუფთავდება და აღარავისთვის ხოლერა საშიში აღარ იქნება. ბინის დეზინფექციის შედეგ ოთახების კარ ფანჯარა უეჭველად ერთი დღე დამით მაინც უნდა გაიღოს ჰაერის გასაწმენდათ. მხოლოდ მერე შეიძლება შიგ შესვლა და ცხოვრება.

წ) ხოლერასთან საბრძოლველ საუკეთესო იარაღად და საშუალებად ხოლერის აცრა ითვლება ისე როგორც ყვავილის წინააღმდეგ ყვავილის აცრა. აცრა სრულდებით საშიში არ არის. დიდი სარგებლობა მოაქვს, ადამიანს უბედურებას—ხოლერას—თავიდან აცილებს. ხოლერა ხუთა შვიდი დღის განმავლობაში უნდა აეცრას.

ხოლერასთან საბრძოლველად ბევრნაირი სადეზინფექციო საშუალება იხმარება. ყველაზედ საუკეთესო და იაფი შემდეგი საშუალებაა:

1. ავადმყოფის განავალი, პირნაღები, შარდი და სხვა რომ ხოლერის ვი-

ბრიონების მხრივ უშიშარ ვყოთ, საჭიროა მათ კირის სითხე (კირის რძე) დავასხათ, ერთი ნაწილი კირი ოთხ ნაწილ წყალში უნდა გაიხსნას და რამდენიც ავადმყოფის განავალი ან სხვა უსუფთაობა იქნება იმდენივე კირის სითხე დაე-სხას. ერთის საათის შემდეგ ხოლერის ვიბრიონები უკვე საშიშროებას აღარ წარმოადგენს და უსუფთაობა უნდა ფეხისადგილში ან სხვა უწმინდურებათა ორმოში ჩაისხას.

2. იმავე მიზნისათვის ხლორის კირიც იხმარება; ორი ნაწილი ხლორის კირი—ას ნაწილ წყალში უნდა გაიხსნას და შემდეგ დანალექიდან გადაღებული ხლორის კირის წმინდა სითხე იხმარება ისე, როგორც უბრალო კირის სითხე.

თუ ხლორის კირის ფხენილს ვარჩევთ სახმარებლად საჭიროა ორი სამი სტოლის კოვზი კარი დაახლოვებით ხუთ სტაქან უსუფთაობაში ჩაიყაროს და ოცი წუთის შემდეგ უკვე სრულიად უშიშარი უსუფთაობა ფეხისადგილში ჩაიქცეს.

3. ხელების დასაბანად და თვით ავადმყოფის ტანის გასასუფთავებლად კარბოლის სითხე იხმარება. უფრო უკეთესად მოქმედობს საპონ-კარბოლის სითხე, რომელიც ასე მზადდება:

სამი ნაწილი მწვანე საპნისა ას ნაწილ ცხელ წყალში უნდა გაიხსნას, მოემატოს ათი ნაწილი კარბოლის სიმქავისა და ასე მომზადებული სითხე აღნიშნულ საჭიროებისათვის იხმარებოდეს; ხელების საბანად ხლორის კირის წყალიც იხმარება.

აი რა ყოფილა ხოლერა და როგორ უნდა გადავირჩინოთ თავი სკვდისავან. თუ ვაჩნდა ხოლერა—ვისაც თავის თავის უბედურება არ უნდა—ამ წერილს რამდენჯერმე გადაიკითხავს და ყველაფერს ისე შეასრულებს როგორც აქ არის ჩაწერილი.

ექიმი ი. ლომოური.

საჭიროა უმჯობესი და მსოფლიო მამულის მკვლევარი ნათესავსადაც.

ცხადია, რომ ჩვენში დიდი მიწის სიფიწროვია; მიწის კანონი თითქმის გატარდა, მაგრამ მაინც უზრუნველ ვერაჟო უმიწა-წყლო გლეხობა მიწით; ნორმად აღიარებული 7-დესეტინა არ შეხვდა ყველას, ნორმა უმეტესად ისევ მიწის მეპატრონეებს დარჩა; გლეხობის უმეტესობა დღესაც იძულებულა სანახევროდ იმუშაოს ძველებურად მეპატრონის მიწაზე; ასე რომ აგრარულ სფეროში უკმაყოფილებს; შრომის ექსპლოატაციას დღესაც არა ნაკლებად აქვს ადგილი.

ეს იმიტომ, რომ ჩვენში ბევრი მიწებია დაუმუშავებელი დასასახლებლად, მრავალი ქაობებია ამოუსაშრობი და სხვა. ჩვენში რომ რადი-

კალური ზომები იქნეს მიღებული დღეს გამოუსადეგარ მიწების დასამუშავებლად, მათ მოსაწესრიგებლად, ასეთ მიწის სივიწროეს აღარ ექნება ადგილი. მაგრამ დღესაც არის ჩვენში ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება მოსახლეობის გაშენება. ეს არის ყარაიაზის ველი და ზოგიერთი ადგილები ახალქალაქის მაზრაში. საჭიროა იქ გადასახლება უმიწა-წყლო გლეხებისა; ამ მიზნით მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება შემდეგის მოწოდებით მიმართავს **ერობებს** და **თემებს**:

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება ასახლებს უმაკულო და მცირე მიწა-წყლის მქონე მოქალაქეთ ყარაიის ველზედ და ახალქალაქის მაზრაში. ამ მიზნისათვის განყოფილების განკარგულებაში იმყოფება ყარაიაში 2.000 დესიატინამდე საუკეთესო ნიადაგის სარწყავი მიწები და ახალქალაქის მაზრაში 20.000 დესიატინამდე ურწყავი, მაგრამ ნოყიერი მიწები. უკანასკნელი რაიონი განთქმულია როგორც თავისი მდიდარი ხორბლეულობის მოსავალით და საძოვრებით, აგრეთვე საუცხოო ჯანსაღი ჰავით და სასმელი წყლებით და ვარგისია დასახლებლად. უმთავრესად მაღალი ადგილების მცხოვრებთათვის, რომელნიც მისდევნენ ხორბლეულობის და მესაქონლეობის კულტურას, როგორც არიან: რაჭველები, ლეჩხუმელები, ზემო-იმერლები, ზემოქართლები, მოხევეები, მთიულები თუშები და ფშავლები. ხოლო ყარაიის ველს გამოსადეგია დასახლებლად უმთავრესად გურიის, სამეგრელოს, ქვემო-იმერეთის და სხვა დაბლობი ადგილების მცხოვრებთათვის, რომელნიც შეჩვეული არიან ცხელ ჰავას და მალიარიან ადგილებში ცხოვრებას. ამ რაიონის გასაჯანსაღებლად მიღებულია ზომები: გაგზავნილია ამ ჟამად ექიმა და სხვა სპეციალისტთა ექსპედიცია, რომელიც ერთი მხრით საფუქელიანად წამლობს მალიარიიდან დაავადებულებს, რომ ამ გვარად სრულიად მოისპოს ეს სენი ყარაიაზე მცხოვრებთა აგებულებაში, მეორე მხრით იკვლევს მალიარიის გამავრცელებელ კოლოების ბუდეს — ქაობებს და იმუშავებს პროექტს ამ ქაობების დაშრობისას, რომ ამ გვარად ძირ-ბუდიანად მოისპოს ცებ-ცხელების გავრცელების შესაძლებლობა, როგორც ეს უკვე მოხდენილია იტალიაში; საფრანგეთში და სხვა განათლებულ ქვეყნებში.

თითვეულ გადასახლებულ ოჯახს განყოფილება აძლევს ყარაიაში 5 დეს. მიწას, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 8—10 დეს., რომელსაც შეისყიდის გადასახლებული ხუთი წლის შემდეგ შეღავათიან ფასებში

უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადახდით. როგორც ყარაიაში, აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში განყოფილება უწყევს გადასახლებულებს დახმარებას ადგილზე მათი ბარგით და საქონლით რკინის გზით გადაყვანით, სათესლე ხორბლით, სამეურნეო იარაღებით, მუშა-საქონლით, შენობების ასაგები მასალით და სხ. ყოველივე ეს გადასახლებულებს ეძლევათ უბროცენტო სესხად, რომელიც გადახდილ უნდა იქნას გადასახლებულისაგან დასახლებიდან 5 წლის შემდეგ ნაწილ-ნაწილ 10 წლის განმავლობაში.

ახალ ადგილზე გადასახლებულთ უფლება აქვთ ორი წლის განმავლობაში დღიდან დასახლებისა გადასცენ სხვას ან გაჰყიდონ თავიანთი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე, მხოლოდ ადგილობრივი სათემო ერობის ნებართვით.

გაუწყებთ-რა ამას, განყოფილება გთხოვთ გამოუცხადოთ ზემოხსენებული თქვენი მაზრის და თემის უმამულო და მცირე მამულის პატრონთ. გადასახლების მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებას ცალკ-ცალკე ან ჯგუფად, პირადად ან რწმუნებულებით და სათემო ერობისაგან შემოწმებულ ცნობებით ბლანკზე, რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ. განყოფილება დაუყონებლივ გააგზავნის მათ ადგილზე, სადაც ყოველგვარ დახმარებას გაუწყევს განყოფილების რწმუნებული.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება.

ერობებმა და თემებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი, რომ ეს მოწოდება საქმით იქცეს, რომ უმამულო თუ მცირე მამულის მქონე უსათუოდ გადასახლდეს ხსენებულ ადგილებში. როგორც მოწოდებიდან სწინს გადასახლების განყოფილება საკმაო დახმარებას ჰპირდება გადასახლების მსურველთ; მართალია ძნელია მცირე მიწის მეპატრონესთვისაც კი თავის მამა-პაპეული კარ-მიდამოს მიტოვება; სადაც მას ბევრი რამ აკავშირებს, მაგრამ საჭიროა განუმატონ მათ ერობებმა, რომ ეს აუცილებელად საჭიროა როგორც მათთვის ისე მათი მომავალი თაობისათვისაც.

რაც მეტად გავიშლებით, ფაჩთოდ დავსახლდებით მით უკეთესია ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებისთვის. ჩვენი ხალხი ასეთ შემთხვევებში დიდ უნარს იჩენს: ის სწრაფად ახერხებს უცხო ადგილას მოსახლეობის გაშენებას. მაგ. ალაზანს ვაღმა, კაბალზე სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში 15-დე საუკეთესო სოფლები გააშენეს, უმეტესად იმერლებმა.

დღეს ეს გადმოსახლებული ხალხი სრულიად კმაყოფილად გრძნობს თავს. ცხადია ასევე მალე გაშენდება სოფლები ხსენებულ ადგილებშიაც, თუ სურვილი დი დახმარება იქნება.

გ. მ.

ორკვირეული მიმოხილვა

წარსულ კვირაში დასრულდა კოოპერატორთა ყრილობა, რომლის მიღებული დადგენილებანი ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ პროვინციაში დაბრუნებულ ყრილობის მონაწილეთ მაინც გვინდა მიუთითოთ ზოგიერთ იმ დეფექტებზე, რასაც ხშირათ ადგილი აქვს ჩვენი კოოპერაციის ცხოვრებაში. თითქმის 9-10 წელიწადია რაც კოოპერაციის იდეა ჩაისახა ჩვენში და ეს დრო სრულიად საკმარისი იყო, რომ ჩვენ ხალხს კოოპერატიული დაწესებულებანი შეეყვარებინა, დროდ შეეთვისებია კოოპერაციის მიზან დანიშნულებანი, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, დღესაც ხალხი აღმაცერად შეყურებს ამ მეტად კულტურულ დარგს. რა არის ამის მიზეზი? უმთავრესად უსისტემობა, საქნის უნიადგობა, შენ ჩემობა და სხვა. ყოველივე ახალ საქმეს თან ახლავს თავისი ნაკლი, მაგრამ კოოპერაციის არსებობის დრო ჩვენში საკმარისი იყო საქმის გამოსაჯანსაღებლად, მის მკვიდრ, ნამდვილ კოოპერატიულ ნიადაგზე დასაყენებლად.

დღეს სოფლად არსებული კოოპერატიული დუქნები უფრო კერძო ჩარჩ-ვაქრების დუქნებს წაგავს; ისინი სრულიად დაშორდენ კოოპერატიულ ნიადაგს. „პატრონები“ თავისებურათ აწარმოებენ საქმეს, წევრების მოთხოვნას არ უწყვეტ ანგარიშს, კოოპერატივის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს დქნის კედლებზე ან ჯიბის წიგნაკში აწარმოებენ; ვარდა ამისა კოოპერატივების გარშემო უაღრესად გაძლიერებულია ნათლიაობა, შენ-ჩემობა: თავისიანებისათვის დუქნის მართვლებს ყველაფერი აქვს გადამალული, ჩვილებრივ, „მომაკვდავ“ წევრს კი ხელცარიელს ისტუმრებს. ვარდა ამისა ხშირად აქვს ადგილი აშკარა ბოროტ მოქმედებას: ითვისებენ საზოგადოების ფულს; ფლანგავენ კოოპერატივის საქონელს, რაც იწვევს ხალხში დიდს უნდობლობას, და კოოპერატივის წინააღმდეგ დიდ მითქმა მოთქმას. ამის შემდეგ რად უნ-

და გაგვავკვირდეს თუ ხალხი ექვის თვალით შეყურებს ჩვენში მეტად სიმპატიურ კოოპერატიულ მოძრაობას.

გარდა ამისა კოოპერატორებს ამ ეკონომიურ არევე-დარევის დროს შეეძლოთ დახმარება გაეწიათ სახელმწიფოსთვის: მოეწყოთ ადგილობრივ ნაწარმოებთა საწარმოო დარგები, აემუშავებიათ მცარე ტენნიკის ფაბრიკა-ქარხნები, გაეხსნათ ქაოაქად უწყო მდკომარეობაში მყოფ მუშა-მოსამსახურეებისათვის იაფ ფასიანი სასადილოები მაგრამ უნდა ითქვას გულახდილათ, რომ ჩვენმა კოოპერატივებმა ვერავითარი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ვერ გადაუდგეს ჩვენი ეკონომიური ცხვრების გასაუმჯობესებლად, ისინი ადგილობრავ მხა სოფლის ნაწარმოებსაც ვერ უფლიან ჯეროვანად, ისიც სოფელში მოხეტიალდე წვრალ ჩარჩებს უვარდებათ ხელში; განსაკუთრებით დღეს სოფლის კოოპერატივები კარგამოკეტილია, არ აქვთ ისეთი საქონელიც კი, რომლის შექმნა არც ისე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. დასახელებული დეფექტები საერთოა ყველა ჩვენი კოოპერატივებისათვის. ყრლობაზე მონაწილე კოოპერატორები, განსაკუთრებით კი კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი ვალდებულნი არიან მიიღონ სასწრაფო ზომები დაავადებულ კოოპერატივების გამოსაცოცხლებლად. არავითარი ზომები, საშუალებანი არ უნდა დავიშუროთ მიძინებულ კოოპერატივების გამოსათხიზებლად, რადგანაც ღრვად უნდა გვრწამდეს, რომ ჩვენ ეკონომიურ ტკივილებს კოოპერაციის ნაყოფიერება მალამოდ დაეღება.

აღსანიშნავია რომ ბევრი კოოპერატორები ჩვენში კოოპერაციის ჩამოქვიითების მიზეზად ფინანსიურ უსახსრობას ასახელებენ, მაგრამ როგორც ყრლობაზე გამოიჩკვა ამ მიზეზის მოგვარებაც არ ყოფილა ძნელი საქმე; აი ამ მხრივ რა მისაბაძი ნაბიჯი გადაუდგავს ქუთაისის სარაიონო კავშირს: საოპერაციო თანხის შესაძენათ მას მიუმართავს შინაურ სესხისათვის; გამოუშვია ხუთი მილიონის სესხის ფურცელი კოოპერატივის წვერთა შორის გასავრცელებლად; თითო ფურცელის ღირებულება უდრის 1000 მანეთს, სესხის ვადა განისაზღვრება ექვსი თვით; ასეთი სესხის წესი მეტად მოსაწონი და სასარგებლოა. ერთი სიტყვით თუ საქმისადმი სიყვარული და შეგნება იქნა ყოველგვარი დაბრკოლებანი იქნება დაძლეული; საჭროა მხოლოდ მეტი საქმიანობა გამოიჩინონ ჩვენმა კოოპერატორებმა.

* * *

წარსულ კვირაში საზოგადოებრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე

გელათის ინციდენტი, რამაც დიდათ აღაშფოთა საზოგადოების ერთი ნაწილი და ცდილობს დაიცვას სულიერი მამების უსაფუძვლო პრეტენზიები. ესენი ცდილობენ ეს ინციდენტი მთავრობის საწინააღმდეგო აგრესიით გამოიყენონ რათა, გავლენა მოახდინონ მდაბიო ხალხის იმ ნაწილზე, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერათ სულიერი მამების ძლიერება და ჯვარ-ხატების სასწაულოთმოქმედება; მაგრამ ხალხის ეს ნაწილიც არც ისე შეუკნებელია, რომ ვერ დაათასოს მთავრობის წინააღმდეგ ახალი ნაბიჯები.

ან რა მოხდა ასეთი?

მიმდინარე წლის ნოემბრის 13, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარისაგან ბ-ნმა მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, სადაც მას ერობის თავმჯდომარე ატყობინებდა, რომ გელათის მონასტრის ძვირფასი ნივთები იყიდება ბერების მიერ და ზოგიერთი გაყიდული ნივთები დააკავეს. მთავრობის თავმჯდომარემ მაშინვე გაგზავნა თავისი რწმუნებული და მიანდო: თუ ფაქტი ბერების მიერ ნივთების გაყიდვისა დამტკიცდებოდა, მიეღო ყოველივე ზომები გელათის მონასტერში შენახულ ძვირფასს განძეულობის დაცვისათვის და თუ საჭიროდ დაინახვდა გადაეტანა ის სახელმწიფო ხაზინის სალაროში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარს აგვისტოში ნება მიუცია გელათის მონასტრის წინამძღვრისათვის, რომ მას „გაეყიდნა ისეთი ნივთები, რომელიც საეკლესიო სახმარებლად არ არის საჭირო“. მონასტერში დაცულ საუნჯის სამალავი მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გარღვეული დახვდა და ამის მიზეზად ეკონომის გაოცვლა დაასახელეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ერთ ძვირფასს ხატს რამდენიმე თვალი ახლად აცლილი აქვს და უეჭველია გაყიდულია, რამდენი ნივთები გაიყიდა აგვისტოს შემდეგ—ამის თქმა ჯერ-ჯერობით ძნელია.

ყველა ამის შემდეგ მთავრობის რწმუნებულმა მიიღო ზომები მთელი ამ განძეულობის მონასტრიდან გამოტანისა და მის დასაცავად საიმედო ადგილას.

ამგვარად მთავრობამ შეაჩერა ქურდობა მონასტერში; და მონასტრის განძეულობა უშიშარ ადგილას სახელმწიფო ხაზინაში შეინახა. ეს იყო და ეს მთავრობის თავმჯდომარის მთელი „დანაშაულობა“; მთავრობა ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგანაც ის ისტორიული განძეულობა, რომელიც გელათის მონასტერში ინახებოდა ეკუთვნის მთელ ერს და არა ორიოდ ბერ-მონაზანს; ამისათვის მათ არ

ჰქონდათ უფლებას გაეყიდათ სამონასტრო განძეულები და რომ ბერებმა ბევრი ნივთები მართლაც გაყიდეს ეს დაამტკიცა მთავრობის გამოძიებამაც და ამას ვერც სამღვდლოების დამქაშნი ჰყოფენ უარს.

ჯერ არ მომხდარა ფაქტი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა და მით უმეტეს იურიდიული თვალსაზრისით ეს განძეულობა სახელმწიფო ქონებას შეადგენს და არა ბერების კერძო საკუთრებას. სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი მთავრობა თუ მისი თავმჯდომარე ღირსეულად მოუფლის სახალხო ქონებას.

ამ ინციდენტის გამო მთელი ერის მიერ ნდობითა და სიყიარურობით აღჭურვილ მთავრობის თავმჯდომარეს უდიერის სიტყვებით მიმართა ქათალიკოს-პატრიარქმა, მის მაგიერ, რომ ის თავმჯდომარეს საქმეზე მოლაპარაკებოდა; ეს კიდევ ცოტა, — პატრიარქმა თავს ნება მისცა განკიცხვაც კი გამოეცხადებია მთავრობის თავმჯდომარისათვის „მორწმუნეთა სახელით“.

მართალია სამღვდლოებას გული სტკივა, რადგანაც დემოკრატიის გაბატონებამ მათ ნიადაგი გამოაცალა, მაგრამ იგივე ხალხი მაინც არ მისცემს მას ნებას, რომ ჩვენ სახელმწიფოს და მის მმართველთ განკიცხვა და წყევლა-კრულვა გამოუცხადოს; თუ ნიკოლოზ მეორეს და მის მთავრობას ჩვენი სამღვდლოება ყველა გზა-ჯვარედინზე ლოცვა-კურთხევით იხსენიებდა, რა დააშვა ჩვენმა მთავრობამ გასაკიცხავი, გარდა იმისა, რომ ის გამოხატავს ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს, რომელიც სრულიად ეს ეგუბა ხალხზე ბატონობის მიჩვეულ სამღვდლოების ინტერესებს, მის ბუნებას...

ამას სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოში ვერვინ გაბედვდენ კლერიკალები...

* * *

ბათუმის საკათხვა ლამის საერთაშორისო ხასიათი მიიღოს. ჯერ იყო და საბჭოთა რუსეთის საგარეო მინისტრმა ჩიჩერინმა ნოტიო მიმართა ჩვენს მთავრობას, სადაც აღნიშნული იყო ვითომ საქართველოს მთავრობა ბათუმსა და მისი ნავთსადგურის ჩაბარების შესახებ აწარმოებდეს მოლაპარაკებას ინგლისთან. ამის გამო ჩვენმა კომუნისტებმა მოუწოდეს ქუდზე კაცს, წარბ-შეუბრელად განაცხადეს, რომ „უცეცხლოდ არ ჩნდება კვამლი“ და უსათუოდ საქართველოს მთავრობა ბათუმის გარშემო მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთანო. ამ ახალი ქორის უსაბუთობა ნათელყო ჩიჩერინის ამ ნოტაზე ჩვენი მთავრობის მიერ მიცე-

მულმა პასუხმა, სადაც ნათლად იყო აღნიშნული, რომ მთავრობას არ მოეპოვება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო საფუძვლიანად ჩავეთვალა ხმები ბათომის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ.

ქალ. ბათომი და ბათომის ოლქი წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ბუნებრივსა და განუყოფელს ნაწილს და მათზე ვრცელდება განსაკუთრებული სუვერენული ხელისუფლება საქართველოსი, და ამიტომ ყოველი ღონისძიება მათი ხელუხლოების დასაცავად, უკეთუ მს. რაიმე საფრთხე მოეღოს, უნდა გამომდინარეობდეს არა სხვა ვინმესაგან, არამედ საქართველოს მთავრობისაგან.

საქართველოს ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლო თავისუფლების მოპოვება და დაცვა, შესძლებს აგრეთვე მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ ცდას, მისი სუვერენიტეტის დასარღვევად, ან მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულს, ვისგანაც და რა მოსაზრებითაც უნდა მოხდეს ასეთი ცდა.

ხოლო ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა და მუქარა მისი ტერიტორიის დარღვევისა, უკეთუ ამას ადგილი ექნება, ვრსი მხრითაც უნდა იქნეს იგი მომართული, ცნობილ უნდა იქნეს როგორც აქტი აშკარად იპერიალისტური ხასიათისა, ისე როგორც ყოველი გამოსვლა ბათომის დამცველიდ, რამდენადაც ეს გამოსვლა მოხდება საქართველოს მთავრობის ცნობისა და თანხმობის გარეშე.

ჩვენ გვეგონა რომ ასეთი კათეგორიული პასუხის შემდეგ ბათუმის გარშემო ამტყდარ მითქმა-მოთქმას ბოლო მოვლდებოდა, მაგრამ წარსულ კვირაში გამოქვეყნდა კიდევ ახალი ნოტა იმავე ჩიჩერინისა მიმართული კერზონისადმი; ნოტაში ჩიჩერინი სხვათა შორის აღნიშნავს:

როგორც სჩანს, ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ამ ქალაქს რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ნაწილს შეადგენს, ასე თუ ისე საფრთხე მოეღოს. ზემოთ ნაჩვენები ბრიტანეთის დეპუტეები ამტკიცებენ, რომ ბათომს მართლაც მოეღოს საფრთხე, მაგრამ ეს საფრთხე არის—ოკუპაციისა მოკავშირეთა ჯარების მიერ. ბრიტანეთის მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბათომის თავისუფლებასა და საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე მოეღოს რუსეთის მთავრობის მხრივ, —ეს მტკიცება გამოწვეულია ინგლისის მთავრობის უცოდინარობით კავკასიის საქმეებში.

ჩიჩერინის მიერ ასეთ კეთილშობილური ტონით დაწერილ ნოტას საქართველოს შესახებ პირველად ვკითხულობთ და არც გვინდა ამ შემთხვევაში შევიტანოთ ექვი მის გულწ-ფელობაში. პოლიტიკოსების ამ მიწერ-მოწერიდან ნათლად სჩანს, რომ საქართველოს მთავრობას არასოდეს არ უწარმოებია ბათუმის შესახებ არავითარი მოლაპარაკება. ან რა ქკუაში მოსასვლელი იყო ასეთი ჭორის გამართლების ცდა, მაშინ, როცა საქართველოს დემოკრატია ერთ სულოვნად აღიარა, რომ ბათუმი მისი ორგანიზმის განუყრელი სხეულია, რომ უბათუმოდ არსებობა არ შეუძლია, ამისათვის ის მას ცოცხალი თავით არ დასთმობს. ასეთია საქართველოს დემოკრატის ნებისყოფა, მისი მტკიცე გადაწყვეტილება, ამის შემდეგ განსაცვიფრებელია თუ რას ედავებიან ერთმანეთს ბ. ჩიჩერინი და კერზონი. რას ყოფენ? ვის ქონებას?—ჩვენი საკუთრების გარშემო რათ იწუხებენ თავს, ისინი ოფიციალურად ხომ არც ერთი არ ყოფს უარს საქართველოს უფლებას ქ. ბათუმზე და მის ოლქზე; აქ რაღაც პოლიტიკური ნასკვი იკვანძება, რომლის გხსნის მოლოდინში ორივე სახელმწიფოს პოლიტიკოსები სამზადისს შეუდგნენ; ერთს მეორესი ეშინია; არ ვიცით როდის ან რით გათავდება ეს პოლიტიკური კომედია ბათუმის გარშემო; მაგრამ ეს კი ყველას უნდა სწამდეს, რომ საქართველო არასოდეს არ გახდება „გასაქელ კოზაკათ“ ორ მოჭიდავე სახელმწიფოთა შორის. საქართველოს მთავრობას, მაინც მართებს მეტის სიფხიზლით ადევნოს თვალყური ამ კომედიის მსვლელობას. სიფრთხილეს თავი არ სტკივა; დღეს დიპლომატიურ ენაზე უფრო ძლიერია რეალური სიმაგრე, რაც უნდა შეადგენდეს ჩვენ საზრუნავ უქთავრეს საგანს.

* * *

მთელმა რესპუბლიკამ 12 დეკემბერს მესამედ ილღესასწაულა სახალხო გვარდაის დღე; ამ დღესასწაულში მთელმა ერმა მიიღო ერთსულოვნად მონაწილეობა; ეს ადვილი ასახსნელიცაა: ერის ბედი მჭიდროთ არის დაკავშირებული გვარდაის გმირულ სულის კვეთებასთან; არა ერთხელ ყოფილა ჩვენი რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნის საკითხის გადაჭრა სახალხო გვარდაიზე დამოკიდებული და სახალხო გვარდაი ამ საკითხს ყოველთვის ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ წყვეტდა. მას არასოდეს დაუშვია ძირს ეროვნულ-რევოლიუციონური დროშა, ის მუდამ იმარჯვებდა ე. ი. იმარჯვებდა მთელი საქართველოს დემოკრატია და ამ გამარჯვების საღღესასწაულო დღემ მიტომ მიიღო ამ ზოგ ერო-

ენული დღესასწაულის ელფერი. 12 დეკემბრის დღესასწაულს ჰქონდა ერთგვარი დემონსტრაციის ხასიათი, რომ ერთხელ კიდევ გვეჩვენებინა მტერ-ორგულთათვის ჩვენი სახელმწიფოებრივი ძლიერება, შეურყეველი ნემისყოფა, მტკაცვე ეროვნული ენერგია და ერთსულოვნება თავისუფალ სამშობლოსათვის გამირულად თავდადებისა; 12 დეკემბრის დღესასწაულის ბრწყინვალედ ჩატარება ერთხელ კიდევ გვაძლევს საბუთს, რომ იმედიათის თვალთ შევყუროთ ჩვენ რესპუბლიკის პრესპექტივებს; ამ დღემ ერთხელ კიდევ დაანახვა კარებზე მომდგარ მტრებს, რომ ძნელია ასეთი ერის სიკვდილი, მისი დამოკიდებულების განადგურება, რომელსაც ისეთი რევოლუციონური თავდადებული მებრძოლნი ყავს, როგორცაა ჩვენი გმირი გვარდია და მამაცი ჯარი; ასეთი ერის ეროვნული სიკვდილი არავითარ ძალას არ ძალუძს. რა არის მიზეზი ჩვენი შეიარაღებულ ძალთა ასეთი თავგანწირვისა? ეს არის უმეტესად მათი შეგნება და სიყვარული დემოკრატიული რესპუბლიკისა: თვითეულმა გვარდიელმა თუ ჯარის კაცმა კარგად იცის თუ რატომ ან ვის ებრძვის. მან კარგად იცის, რომ ჩვენი მთავრობა არ არის გატაცებული იმპერიალისტური სულისკვთებით, ის მხოლოდ თავსწიკავს, თავდაცვისთვის ბრძოლაში კი ჩვენი შეიარაღებული ძალები გამირები არიან.

საფრთხე კარს მოგვდგამია: შავი თუ წითელ ფერში გახვეული „მეზობლები“ შთანთქმას გვიპირებენ; მაგრამ მუდამ გამარჯვების იმედი გვაქვს, და ამის საუკეთესო საბუთს გვაძლევს გვარდიის დღე, 12 დეკემბერი.

განმანი.

ერთი კანონ-პროექტის გამო

ჩვენ ჟურნალში მოთავსებული იყო შინაარსი კანონ-პროექტისა რესპუბლიკის ტერიტორიის ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად დაყოფას შესახებ. ხსენებული პროექტი დამფუძნებელი კრების კომისიამ განიხილა და მოიწონა, მაგრამ ჯერ ეს საკითხი დამთავრებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ის ჯერ დამფუძნებელ კრებას არ მიუღია. მოსალოდნელია დამფუძნებელმა კრებამ ის წარმოდგენის სახითარ მიიღოს, შეიტანოს შიგ მრავალი საგულისხმო ცვლილებანი, მაგრამ მიუხედავად ამისა გაზეთებში ხშირად იბეჭდება ზოგიერთი თემების თუ ერობე-

ბის პროტესტები ხსენებული კანონ-პროექტის წინააღმდეგ; კერძოდ ჩვენმა რედაქციამაც მიიღო ამის შესახებ საწინააღმდეგო წერილები. წერილის ავტორები იწუნებენ კანონ-პროექტის ზოგ ნაწილს, მაგრამ ხსენებულ წერილებში ძალიან ცოტა საბუთებია მოყვანილი ხსენებულ კანონ-პროექტის საერთო დებულებების წინააღმდეგ. ცხადია, როგორც კანონ-პროექტის ავტორს, ის დამფუძნებელი კრების მართველობის კომისიას მიზნად ჰქონდა დასახული უფრო გაპარტივება ადმინისტრატიული ერთეულებისა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს როგორც ეკონომიური ისე ძველი ეთნოგრაფიული თუ ისტორიული მოსაზრებანი. რომ უფრო ფართოდ იქნას გაცნობილი ხსენებული კანონ-პროექტი ამ ახლო მომავალში ის ცალკე წიგნად იქნება გამოცემული ეროვნული კავშირის მიერ, რის შემდეგ ყველა დაინტერესებულ და მკოდნე პირს ექნება საშუალება დაწვრთვებით განიხილოს ის და გამოსთქვას თავის აზრი ამ კანონ-პროექტის შესახებ. ამ საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა—გამოცვლას ჩვენ ჟურნალშიაც სიამოვნებით დაუთმობთ ადგილს; საჭიროა მხოლოდ წერილში მოყვანილი მოსაზრებანი ყოველ მხრივ იყოს გაშუქებული და საბუთებზე დაყარებული. ის მასალები, რომლებიც პირდაპირ ეხებიან ამა თუ იმ თემის გამოყოფას და სხვა საერობო ერთეულში გადატანას, ჩვენს გარდა უნდა გაეგზავნოს პირდაპირ დამფუძნებელი კრების თვით მართველობის კომისიასაც. გ. —???

ქ რ ო ნ ი კ ა .

დამფუძნებელი კრებაში.

კ ა ნ ო ნ ი .

მოქალაქეობრივი მდკომარეობის აქტების რეგისტრაციისა.

1. დაბადების, ქორწინების და სიკვდილის აქტები შეტანილ იქნეს მეტრიკის წიგნებში.

2. მეტრიკის წიგნების წარმოება დაევალება ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს.

შენიშვნა: იმ მაზრებში, სადაც თვითმმართველობა ჯერ კიდევ არ არის შემოღებული, წიგნების წარმოება დროებით დაევალება ადგილობრივ ადმინისტრაციას.

3. თვითეულ საქალაქო და სამაზრო ერობის გამგეობასთან არსდება განსაკუთრებული განყოფილება მეტრიკის წიგნების საწარმოებლად. განყოფილების ხელმძღვანელობა დაევალება გამგეობის წევრს.

4. რამოდენიმე სამილიციო უბნად დაყოფილ ქალაქში მეტრიკის წიგნების წარმოება მოეწყობა ყოველ სამილიციო უბანში.

5. მაზრაში მეტრიკის წიგნების წარმოება ყოველ წვრილ საერობო ერთეულთან და სადაც ასეთი არ არის, საკომისარო რაიონში.

6. თუ წვრილი საერობო ერთეული ან სარაიონო კომისარიატი დიდია, სამაზრო ერობის გამგეობას შეუძლია მეტრიკის წიგნების წარმოება მოაწყოს კიდევ უფრო მცირე ერთეულში.

7. ყოველი დაწესებულება აუ თანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს მეტრიკის წიგნების წარმოება, უშუალოდ ექვემდებარება ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობას კუთვნილებისამებრ.

8. მეტრიკის წიგნების საწარმოებლად განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს და დაიკრძავს სამსახურიდან, გამგეობის სათანადო წევრის მიერ წარდგენით, ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობა კუთვნილებისამებრ.

9. მეტრიკის წიგნების წარმოება მოხდება არ ცალად, სრულიად ერთნაირად.

10. დაბადების (თუნდაც მკვდარი ბავშვი დაიბადოს), ქორწინების და სიკვდილის ყოველი შემთხვევა, არა უგვიანეს ორი თვისა იმ დღიდან, როდესაც ის მოხდება, უნდა ეკნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს მეტრიკის წიგნებს. დაბადებისა და გარდაცვალებისათვის განაცხადებენ მშობლები, ნათესავები ან მახლობელი დაბადებულისა ან გარდაცვალებულისა ან შინაურები, ხოლო თუ უთვისტომოა იმ სახლის ან ბინის პატრონი, სადაც ბავშვი დაიბადა, ან გარდაცვალებული უკანასკნელ დროს სცხოვრობდა, ან იმ დაწესებულების (თავშესაფარი, საპრობილო და სხვა) უფროსი, სადაც ადგილი ჰქონდა დაბადებას ან გარდაცვალებას, ან ისინი, ვინც მიგდებული ბავშვი ან გვამი იპოვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვისმე გარდაცვალება ექვს გარეშეა, თუმცა მისი გვამი ნაპოვნი არ არს, მაგალითად, წყალში დაიხრჩო, ან ცეცხლში ან თუ სხვა რაიმე უბედურ შემთხვევის გამო დაიღუპა, ადგილობრივი მილიციის მიერ ამისათვის შედგენილი ოქმის პირი წა-

რედინება სათანადო დაწესებულებას, რომელიც მეტრიკის წიგნებს აწარმოებს, წიგნებში ჩასაწერად.

ქორწინებისათვის განცხადება შეაქვთ დასაქორწინებლებს.

უკეთეს მეტრიკის წიგნების მწარმოებელმა თანამდებობის პირმა საექვოდ სცნო, სინამდვილის მხრივ, განცხადება, ცნობა ან ოქმი, ვალდებულია შეამოწმოს მათი სინამდვილე, რისთვისაც ყოველი დაწესებულება და თანამდებობის პირი მოვალეა აღმოუჩინოს მას კანონიერი დახმარება.

11. დაბადებისა, ქორწინებისა და გარდაცვალებისათვის ცნობა უნდა ჩაიწეროს მეტრიკის წიგნების ორივე ცალის სათანადო ნაწილებში ერთმანეთზე მიყოლებით, წლის მიმდინარე ნომრების რიგით, და ხელი მოაწერონ, როგორც მე-12-14 მუხლებში აღნიშნულმა პირებმა, ისე თანამდებობის პირთაც, რომლებიც აწარმოებენ მეტრიკის წიგნებს. როდესაც ვისმე არ შეუძლია ხელის მოწერა წერის უცოდინარობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, იმ შემთხვევაში მის მაგივრად, მისივე მინდობილობით, ხელს აწერს სხვა პირი, ან და ამას აღნიშნავს თანამდებობის პირი ვიდრე თვითონ მოაწერდეს ხელს.

შემოკლებით ჩაწერა და ამოშლა აკრძალულია. ყოველი შესწორება ან მიწერა აღნიშნულ უნდა იქნეს აქტში მონაწილე პირთა ხელის მოწერამდე. შესწორება უნდა მოხდეს ისე, რომ შეცდომით და ზედმეტად დაწერილის გარჩევა შეიძლებოდეს.

12. დაბადების აქტში აღინიშნება:

- 1) წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი დაბადებისა.
- 2) სახელი და სქესი ახლად დაბადებულისა, და
- 3) სახელი, მამის სახელი, გვარი, ეროვნება, სარწმუნოება და საცხოვრებელი ადგილი მამის და დედის ან მხოლოდ დედის, როდესაც ბავშვი დაბადებულია უქმრო ქალისაგან, უქორწინებელი მამა ბავშვისა უნდა ჩაიწეროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხაობას განაცხადებს.

დაბადების აქტი ხელმოწერილი უნდა იქნეს მეტრიკის წიგნების ორთავ ცალში ბავშვის მშობლების, ან მათი მონაცვლე პირების და აგრეთვე დაბადების ერთი მოწმის მიერ (მუხ. 10) მივდებული ბავშვის დაბადების აქტში აღინიშნება დაბადების დღის ნაცვლად, დღე, როდესაც ბავშვი იქნა ნაპაფხი, და დაახლოებით მისი წლოვანება, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის 1-ლ ნაწილში.

13. ქორწინების აქტში აღინიშნება:

- 1) წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი ქორწინებისა.
- 2) სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება და წლოვანება თვითთელი მეუღლის და აგრეთვე მათი საცხოვრებელი ადგილი.
- 3) მერამდენე შეუღლება ეს თვითთელ დაქორწინებისათვის.
- 4) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი და ქორწინების მოწმეებისა, რიცხვით არა ნაკლებ ორისა. ქორწინების აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს დაქორწინებულ მეუღლეცა და დაქორწინების მოწმეთა მიერ.

14. გარდაცვალების აქტში აღინიშნება:

- 1) სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება, წლოვანება და საცხოვრებელი ადგილი მისი გარდაცვალებულისა.
- 2) წელიწადი, თვე, რიცხვი გარდაცვალებისა.
- 3) მიზეზი გარდაცვალებისა.
- 4) თუ მცირეწლოვანი გარდაიცვალა, სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი მისი მშობლებისა.
- 5) იყო თუ არა გარდაცვალებული დაქორწინებული, და თუ ქმრიანი ქალი ან ქვრივი გარდაიცვალა, სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, გარდაცვალებულის ქმრისა.
- 6) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი იმ პირისა, რომელმაც გარდაცვალება განაცხადა. (მუხ. მე-10).

გარდაცვალების აქტს ხელს აწერს ამის მაუწყებელი პირი, ხოლო თუ წიგნებში ჩაიწერება იმ დაწესებულების უფროსის ცნობით, სადაც მომხდარა გარდაცვალება, ან მილიციის ოქმის მიხედვით (მუხ. მე-10), ყოველსავე ამას აღნიშნავს მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, ვიდრე ხელს მოაწერდეს.

15. ის დამატებითი შენიშვნა, რომელიც უნდა აღინიშნოს მეტრიკის წიგნებში სასამართლოს დადგენილების ძალით, შეტანილ უნდა იქნეს წიგნების ორთავ ცალ აქტის იმ ადგილში, რომელსაც ეხება. თუ ამ აქტთან არ აღმოჩნდა საკმაო ადგილი, ამ შემთხვევაში, ასეთი შენიშვნა შეტანილ უნდა იქნეს წიგნებში ცალკე მორიგ მუხლად ნომრის აღნიშვნით იმ აქტისა, რომელსაც ეხება, ხოლო ამ აქტთან აღინიშნება შენიშვნის ნომერი.

თუ წიგნის მეორე ცალი უკვე გაგზავნილია შესანახად ოლქის სასამართლოს ნოტორიალ არქივში, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი

თანამდებობის პირი ჩასწერს შენიშვნას წიგნის ადგილობრივად დარჩენილ ცალში და დაუყონებლივ აცნობებს ამ შენიშვნის პირს სათანადო უფროს ნოტარიუსს წიგნის მეორე ცალში იმავე შენიშვნის შესატანად.

16. წლის ბოლოს, არა უგვიანეს შემდეგი წლის იანვრის 15-სა, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, ვალდებულია დაამთავროს წიგნების ორთავ ცალის თვითეული ნაწილი იქ, სადაც ნაწერი თავდება, აქვე ოქმის ჩაწერით: ამ ოქმში, იმის მიხედვით, თუ წიგნის რომელ ნაწილში იწერება, აღინიშნება, კუთვნილებისამებრ, დაბადებულთა, დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა წარსული წლის რიცხვი; შემდეგ წიგნების მწარმოებელი ხელს მოაწერს და წიგნების მეორე ცალს გაუგზავნის სათანადო ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსს არქივში შესანახად.

17. მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი და უფროსი ნოტარიუსი, რომელთაც აბარიათ შესანახად მეტრიკის წიგნების მეორე ცალი, ვალდებულნი არიან მისცენ დაინტერესებულ პირთს სწორი ამონაწერი მეტრიკის წიგნებისა.

18. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების მეტრიკის წიგნებში ჩაწერა და მათი ამონაწერის მიცემა განთავისუფლებულია ყოველივე გადასახადისაგან, გარდა საღებრო გადასახადისა.

შენიშვნა: ამონაწერი გარდაცვალებისათვის თავისუფალია საღებრო გადასახადისაგანაც.

19. დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მეტრიკის წიგნებში ჩაწერასთან ერთად, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, შეადგენს თვითეული ჩაწერილი შემთხვევისათვის, სასტატისტიკო ფურცელს, ყოველთვიურად, არა უგვიანეს 5-სა, წარსული თვის ყველა ფურცლები გაეგზავნება საქალაქო ან სამაზრო ერობის გამგეობას, რომელსაც ბარათის შინაარსი შეაქვს სათანადო სასტატისტიკო რეველში და შემდეგ ამ ფურცლებს დაუყონებლივ გაუგზავნის ცენტრალ სასტატისტიკო კომიტეტს.

20. ფურცლები მეტრიკის წიგნებისა და ბლანკების სასტატისტიკო ფურცლებისთვის მზადდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და გაეგზავნება ყოველ წლიურად არა უგვიანეს ენკენისთვის 1-ლისა, ყოველი ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობას. გაბგეობა შეჰკრავს ფურცლებს წიგნებად, დანომრავს, გაუყრის ზონარს, მოაწერს ხელს და დაუგზავნის ორ ცალად, სასტატისტიკო ფურცლების ბლანკებთან

ერთად არა უგვიანეს იმავე წლის ნოემბრის 1-ლისა მეტრიკის წიგნების მწარმოებელ ყოველ დაწესებულებას. წიგნის სათაურ ფურცლებზე აღინიშნება მისი სახელწოდება, დაწესებულება, სადაც იწარმოებს, და წელიწადი, რომელსაც ეკუთვნის.

შენიშვნა 1: ფურცლები მეტრიკის წიგნებისათვის მზადდება ამ მუხლთან დართული ფორმით.

შენიშვნა 2: ფურცლები, მეტრიკის ფურცლები და სასტატისტიკო ბლანკები დაიგზავნება არა უგვიანეს 1921 წლის მარტის 1-სა. 1921 და 1922 წლებისთვის დამზადდება მეტრიკის საერთო წიგნები და დაიგზავნება არა უგვიანეს 1921 წლის მაისის 1-ლისა

21. დამამტკიცებელ საბუთად დაბადების, ქორწინების და გარდაცვალებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ კანონის შემოღების დღიდან, ითვლება ამ კანონის მე-17 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ მიცემული ამონაწერი მეტრიკის წიგნებისა.

22. ამ კანონის შემოღებამდე დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობა და ამონაწერი გაიცემა ძველი წესით.

23. თუ დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება მომხდარა ამ კანონის შემოღებამდე, მაგრამ ძველი წესით ჩაწერილი არ არის მეტრიკის წიგნებში, შეიძლება ჩაწერილ იქნეს ამ კანონით შემოღებული ახალი წესით და ამ შემთხვევაში ამონაწერი მეტრიკის წიგნისა მიეცემა რაინტერესებულ პირთ ამ კანონის მე-17 მუხლის თანახმად.

24. ამ კანონის შემოღების დღიდან ყველა სარწმუნოების სამღვდლოებას ეკრძალება იმ საეკლესიო წესების შემრუდება, რომლებიც დაკავშირებულია დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების ფაქტთან (მონათვლა, წინადაცვეთა, ჯვრის წერა, წესის აგება, დასაფლავება და სხვა) იმ პირთათვის, რომლის კანონიერი რეგისტრაციის მოწმობა მისთვის არ წარუდგენიათ.

შენიშვნა: თუ ახლად დაბადებული მძიმე ავადმყოფია, სასულიერო პირს შეუძლია ბავშვის მონათვლა, წინადაცვეთა და სხვა, იმ პირობით, რომ 24 საათის განმავლობაში, დღიდან მონათვლისა, ეს შემთხვევა აცნობოს მეტრიკის წიგნების მწარმოებელ დაწესებულებას.

25. თუ დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მეტრიკის წიგნებში ჩაწერა-კი ვისმე უარი ეთქვა, ან სისწორით არ ჩაწერეს,

დინტერესებულ პირს შეუძლია ორი თვის განმავლობაში, დღიდან უარისთქმისა, ან უწესო ჩაწერისა, ან დღიდან ამის გაგებისა, შეიტანოს საჩივარი სათანადო ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობაში, კუთვნილებისამებრ, ხოლო საჩივარი გამგეობის მიმართ შეუძლია შეიტანოს ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში საერთო წესით.

26. ყალბი განცხადებისათვის (10 მუხ.) და ყალბი ფაქტის დამოწმებისათვის (11-13) ან ჩაწერისათვის დამნაშავე დაისჯება, როგორც ყალბი საბუთების შედგენისათვის. ამ კანონის სხვაგვარ დარღვევისათვის, უკეთეს სხვა კანონით უფრო სასტიკი სასჯელი არ არი დადებული, დაისჯება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დასადავებ სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით.

27. შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, გამოსცემს ინსტრუქციას ამ კანონის განსახორციელებლად.

28. გაუქმდეს ყოფილ რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის მე-1 ტომის, გამოც. 1889 წ., მე 858—988 მუხლები და აგრეთვე ყველა სხვა კანონი, რომელნიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

29. ამ კანონის მოქმედების დასაწყისის დღის განსაზღვრა, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა დღიდან ამ კანონის მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

1920 წ. დეკემბრის 3-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანიი.

დ ე კ რ ე ტ ი

ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოსაწყობად ერთი მილიონი (1.000.000) მან. გადაღებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის ერთი მილიონი (1.000.000) მანეთი ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოსაწყობად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ნოემბრის 23 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მღვიანი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანიი.

დ ე კ რ ე ტ ი

საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამმზადებელი სადგურის დამთავრებისათვის 37.19.000 მ. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი შვიდას ცხრამეტი ათასი (3.719.000) მანეთი სოფ. ტაბახმელაში საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამმზადებელი სადგურის დამთავრებისათვის; თანახმად ამ დეკრეტთან დართული ხარჯთაღრიცხვისა.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ნოემბრის 26 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მღივანი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დ ე კ რ ე ტ ი

სახელმწიფო ბანკისათვის დამზღვევი ფონდის დასაარსებლად 50.000.000 მან. სესხის მიცემის დეკრეტის (კანონ. კრებ. 1920 წ. № 24 კანონი მე-240) შეცვლისა.

1. სახელმწიფო ბანკისათვის დამზღვევი ფონდის დასაარსებლად 50.000.000 მან. სესხას მიცემის დეკრეტის (კან. კრებ. 1920 წ. № 24 კან. მე-240) პირველი მუხლი შეიცვალოს ასე:

მიეცეს სახელმწიფო ბანკს უფლება დაზღვიოს მის მიერ დაჯირავებული ან შესანახად მიღებული საქონელი მოთავსებული სახელმწიფო ბანკის საწყობებში ან და საზოგადოებრივი დაწესებულების ისეთ საწყობში, რომელსაც ამ ბანკის საბჭო დაადასტურებს.

მეორე მუხლი იმავე დეკრეტისა შეიცვალოს ასე:

მიეცეს იმავე ბანკს უფლება იმ საფასურის საქონლის დაზღვევისა, რამდენსაც თვით ბანკის საბჭოს და გამგეობის შეერთებული კრებული სცნობს შესაძლებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ.

ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

— დამფუძნებელ კრების სახალხო განათლების კომისიის წინადადებით განათლების მინისტრის ამხანაგმა ბ-მა ცინცაძემ გააკეთა კომისიაში მოხსენება რესპუბლიკის სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. კომისიამ ამ საკითხზე მსჯელობას მოანდომა მ სხდომა და გამოიტანა შემდეგი საერთო ხასიათის დადგენილებანი:

მოისმინა რა მოხსენება განათლების მინისტრის ამხანაგისა სახალხო განათლების უწყების მოღვაწეობის შესახებ, კომისია აღიარებს: 1) განაპირა კუთხეებს (სვანეთს, სამუსლიმანო საქართველოს და სხვა ჩამორჩენილ ადგილებს), სადაც ობიექტურ პირობების გამო სახალხო განათლების საქმე დაბრკოლებულია, უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება დაწყებით სკოლების გახსნის მხრით; საჭიროა ამ მიზნით მასწავლებელთა სათანაო კონტიგენტის შეკრება და მათი უზრუნველყოფა გადიდებული ჯამაგირით. ამასთანავე შემდეგშიაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითი სკოლების საქმეს აღმოსავლეთ საქართველოში; 2) საჭიროა ხელის შეწყობა უმაღლეს დაწყებით სკოლების საქმისათვის ყველგან; საჭიროა გაეწიოს დახმარება ხაზინადან შეძლებისამებრ ამ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებს, რომლებსაც ხაზინა არ ინახავს, საჭიროა მათი გამგრავლება საქართველოს ყველა ადგილებში (რადიუსი მ — 4 ვერსი) საოსტატო სემინარიების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გადდიდეს. სასურველია გადაკეთდეს სემინარიებად ზოგიერთი გიმნაზია აღმოსავლეთ საქართველოში; 3) უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების უზრუნველყოფას სასწავლო ნივთებით (რუქები და სხვა) და მოწყობილებით (კაბინეტები და სხვ.). პროვინციაში, სადაც ეს სკოლები ახლად დაარსებულია საჭიროა აგრეთვე მიეცეს მათ სააღმშენებლო მასალა და მიწა; 4) ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მიმართ კვლავაც წარმოებულ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მათი ეროვნულ-კულტურულ უფლებების დაცვით; 5) კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ უწყებამ შესაფერი ენერგია გაიმოიჩინა ხელოვნების დარგების მოწესრიგების საქმეში და ისინი სახელაწიფოს გარშემო შემოიკრიბა, საჭიროა ამ დარგებში მომუშავეთა შემოკრებაც ხელოვნების არსებულ ორგანოების გარშემო; 6) კომისია სურვილს გამოსთქვამს მოისმინოს სრულდ მოხსენება სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ; 7) კომისია აღიარებს, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი არც ნივთიერად, რაც საერთო პირობებს მიეწერება; მაგრამ ისინი არ არი-

ან უზრუნველყოფილნი არც მომარაგებით, თუნდაც იმ მასშტაბით, რომელიც მიღებულია სახელმწიფოს ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის. კომისია იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მხრივ უწყების მიერ მიღებულ იქნება ყოველნაირი ზომა, რათა ეს ნაკლი ასე მწვავე განათლების საქმისათვის გამოსწორებულ იქნეს. საერთოდ კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს მოხსენების გამო და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც უწყების მთელი ძალღონე მამართლული იქნება იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც წინ ეღობება სახალხო განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე აყვანას.

მ თ ა ვ რ ო ბ ა შ ი

ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა ნ ი

ი უ ს ტ ი ც ი ი ს მ ი ნ ი ს ტ რ ი ს ვ ა ნ

ც ი რ კ უ ლ ი ა რ ი .

სასამართლო პალატის თავმჯდომარეს, ტფილისის და ქუთაისის ოლქის სასამართლოთა და ყველა საქმრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარეებს.

1919 წლის თებერვლის 25-ს ბრძანების შესაცვლელად, და დასამატებლად, მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1) 1921 წლის იანვრის პირველიდან ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოს ენით.

შენიშვნა: ეს წესი არ ეხება სოხუმის ოლქის სასამართლოებს, რომელთათვის გამოცემული იქნება ცაკე წესები.

2) ძველი დაწყებული საქმეები, რომელიც არა ქართულზე არიან ნაწარმოები უნდა დამთავრებულ იქნეს სახელმწიფო ენით. უკვე წარდგენილ საბუთების და სხვა ქაღალდების გადათარგმნა სავალდებულო არ არის. ამიერიდან კი არა სახელმწიფო ენაზედ შედგენილი საბუთები უნდა წარდგენილ იქმნეს თარგმანების დართვით სახელმწიფო ენაზედ.

3) მომრიგებელ-მოსამართლენი ვალდებულნი არიან საქმეების გარჩევის დროს იხელმძღვანელონ ენის ხმარების მხრივ მომრიგებელ-მოსამართლეთა დებულების (იხ. კან. 66, 1919 წ. კრებული 16—17—18 მუხლებით).

4) სასამართლოს პროკურორებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ ცირკულიარის საესებით ასრულებას.

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

— გერმანიაში მყოფი საქართველოს კომერციული აგენტი იტყობინება ბერლინიდან, რომ მის მიერ შექმნილია გერმანიაში საქართველოს საჭიროებისათვის დიდ ძალი სასოფლო სამეურნეო იარაღები, რკინის გზების მასალები, ელექტრონის და ტელეფონის არმატურები, წყალსადენთა და ტრამვაის ხელისაწყობები. შესყიდული საქონელი მოკლე ხანში გამოიგზავნება საქართველოში. ამასთანავე გერმანული ფირმებს შეუკვეთეს საქართველოსათვის საჭირო საქონლის მეორე პარტია.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე ნოემბრის 29 გაირჩა საკითხი საქართველოს ცენტრალურ გადაზღვევის საზოგადოების „კავშირის“ წესდების დამტკიცების შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: საზოგადოებას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მისი წესდება გადაეცემა საგანგებო კომისიას, რომელშიაც შევლენ ფინანსთა მინისტროსა და ვაჭრობა-მრეწველობის პალატის წარმომადგენლები. კომისიას ევალება სასწრაფოდ დაიმუშაოს აღნიშნულ საზოგადოების წესდება. ამასთანავე ამ კომისიამ უნდა გამოსთქვას აზრი, შესახებ საკითხისა, თუ როგორ ფორმაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს საზოგადოების ოპერაციებში და აგრეთვე მისი კონტროლის განხორციელებაში. შემდეგ საბჭომ განიხილა საკითხი „ფრანგულ-ქართულ სავაჭრო კომპანიის“ საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ, საბჭომ დაადგინა, მიეცეს ნებართვა საზოგადოებას და ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს საზოგადოების წესდების დამტკიცება. „ამერიკა ამიერ კავკასიის სავაჭრო კორპორაციას“ „ამერიკის“ საქციონერო საზოგადოების წესდების განხილვის საკითხი გადაიდვა შემდეგი სხდომისათვის, როდესაც საზოგადოების დაარსების ინიციატორებს სათანადო მასალების წარმოდგენა ევალებათ. დასასრულ განიხილეს ტფილისის და ნოტანების საბაჟოების საკონფისკაციო საქმეები. საბჭო დაეთანხმა იურიდიულ კომისიის დასკვნას.

სავალიუტო ოპერაციები.

ნოემბრის ოცს, მთავრობამ დაამტკიცა სავალიუტო ოპერაციის შემოღებისათვის საჭირო ინსტრუქციები, რომელიც შედგენილია 1920 წლ. ოქტ. 16, განსაკუთრებულ თათბირის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად. ინსტრუქციის ძალით საქართველოს სახელმწიფო ბანკი იძლევა ნებართვებს შეიძინონ უცხო ვალიუტა იმ საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც უფლება აქვთ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა:

1) საზღვარ გარედ გასამგზავრებლად შეიძლება უცხო ვალიუტა გადაეგზავნოს საზღვარ გარეთ მცხოვრებ ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთ ოჯახებს; 2) უცხო ვალიუტის შექმნა შეიძლება აგრეთვე საჯარო სამრეწველო მიზნებისათვის და სხვ. საჭირო არ არის განსაკუთრებული ნებართვა კანონით განსაზღვრულ (ასი გირვანქა სტერლინგი) უცხო ვალიუტის გასატანად. თუ ნიხრზე მეტ ვალიუტის გატანის ნებართვით არ უსარგებლობიათ იგი უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული. თუ მით უსარგებლობიათ ნაწილობრივ უნდა აღინიშნოს როდის, რომელ დაწესებულებაში, რომელი და რამდენი ვალიუტა იყო შექმნილი. შინაური დაზღვევა ხდება მარტოდ მარტო ადგილობრივი ბონებით; დაჰზღვევ საზოგადოებებს უფლება ეძლევათ მიიღოს ჯილდოები უცხო ვალიუტით (იგი სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს), გადაიზადოს გემებისა და მათი მოსამსახურეებისათვის მისაღები ფული უცხო ვალიუტით და სხვ. კერძო ბანკებმა ყოველ დღიურად უნდა წარუდგინონ სახელმწიფო ბანკს ცნობები ვალიუტის ყიდვა-გაყიდვის ანგარიშების შესახებ, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა ამა თუ იმ დღეს ოპერაციები უცხო ვალიუტით.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

„ზოოტენნიკური“ ბიუროს დაარსება.

მესაქონლეობის და მერძეობის გასაუმჯობესებლად აგრონომიულ დახმარების სექციასთან არსდება „ზოოტენნიკური“ ბიურო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტ „ზოოტენნიკები“ და ინსტრუქტორები. ბიუროს გამგეთ ინიშნება მესაქონლეობის უფროსი სპეციალისტი თამამშევი. ბიუროს უმთავრესი მიზანია: შეისწავლოს

მესაქონლეობის სხვა და სხვა დარგის მდგობარეობა, გახსნას კულტურულ განმანათლებელი სექციები ამ დარგისთვის, მიიღოს ზომები—ტექნიკური პერსონალის გასაუმჯობესებლად. გამოსცეს სხვა და სხვა სახელმძღვანელოები, დაარსოს ორგანიზაციები, მოაწესრიგოს მესაქონლეობის საჭირო მასალის შოწოდება და სხვა.

მკითხველთა საყურადღებოდ.

გასული წლის ერობათა და თემთა ცხოვრების საზოგადო მიმოხილვა დაიბეჭდება 1921 წ. იანვრის ნომრებში.

რედაქცია

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

(დავ. კლდიაშვილი. მოთხრობები. ტომი I და II. კ. აბაშიძის და ივ. გომარაშვილის კრიტიკული წერილების ზედღარით. წ.-კითხ. გაშავ. საზ. გაშეცემა).

დავ. კლდიაშვილის ნაწერებს ამ ოცდასამი წლის წინათ მე ვრცელი კრიტიკული შეფასებით შევხვდი და იგი განხილვა დავსტამბე აკაკის „კრებულში“. განსვენებულს პროფესორს ალექსანდრე ხახანაშვილს ვრცლათ უსარგებელია თავის საყურადღებო „Очерки“-ებში დ. კლდიაშვილის დასათესებლათ იმ ჩემი სტატიით და აქ, ახლა დ. კლდიაშვილზე ვიტყვი იმას, რაც აქამდე არ მითქვამს.

დავ. კლდიაშვილი მწერალი რეალისტი, ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვარი იმერეთის ბუნების და ახალი ცხოვრების ცოცხლათ აღმწერი. ეს ქართული სალიტერატურო კრიტიკის გადაწყვეტილი ჭეშმარიტებაა. მარა ამას უნდა დავუმატო აქ შემდეგი. დ. კლდიაშვილი ამასთანავე ფსიქოლოდიც არის, რომელსაც დიდი ცოცხალი დაკვირვების ნიჭის გარდა, აქვს ნიჭი იმერელ თავად-აზნაურთა დახასიათების, ცხოვრების გაცნობისა და აღწერისა, ამ ადამიანთა მოქმედების, ყოფა-ქცევის და საქციელის ღრმად განცდისა და გაგებისა.

ახალმა ქართულმა ლიტერატურამ იმერეთში წარმოშვა მხოლოდ ორი ნამდვილი და ორგინალური რეალისტი ბელეტრისტი—გიორგი წიფეთელი და დავით კლდიაშვილი. პირველის ბელეტრისტული ნაწარმოებნი ხატავენ სრულიად მთელი იმერეთის ყოველი წრის, ყველა წოდების მრავალგვარ მოვლინებას და ისეთი გასაოცარი ტიპებით ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას, როგორც კუდაბზიკა, კიკოლიკა, მამიდა ასმათი, ედიშერ ქველბაქიანი, ბახვა ფულავა და ერემია წარბა.

გიორგი წიფეთელის მხატვრულ ნაწარმოებში, როგორც სარკეში, ისე ჩანს ძირითადი, „მთავარი მოტივი“ ამ დიდად დიდი ქართველი ბელეტრის-

ტის ნაწერებისა, რომელიც საფრანგეთის სახელოვანი კრიტიკოსის—ტენის არ იყვეს, წარმოადგენს დრო-ჟამის და რასის შეერთებულს ზედგავლენის რეზულტატს“.

დავ. კლდიაშვილი ასეთი ფართე, ასე დიდი მასშტაბის ბელეტრისტი, რა თქმა უნდა, არ არის. იგი ჩვენი ცხოვრების მოვლენათა ერთ კათედორიას ხატავს მხოლოდ. დავ. კლდიაშვილის ტალანტი მხოლოდ ერთი წრის, ერთი წოდების, სახელობ, იმერეთის სოფლის ღარიბი და შეუძლებელი აზნაურთა გამომხატველია.

ამ ნიადაგზე-კი იმას თითქმის ბადალიც არა ყავს ჩვენში, რადგან დიდი დაკვირვებითა და ცოდნით გვიხატავს ამ წრის მოხუცებულებსაც, ახალგაზრდებსაც, შუახნის ადამიანებსაც, კაცსაც და ქალსაც.

ამ საერთო დახასიათებას უნდა მივუმატო აქ ისიც, რომ დავ. კლდიაშვილს ნაზ, თავდაპირველ დამცინავს ნიჭთან ერთად მეტათ სიმპატიური მიმზიდველი წარმოდგენის ნიჭი აქვს ბოძებული, რომელიც ამოვლებულია სხვისი დიდი შებრალების, შეცოდების მაღლში.

საქართველოში ყოველგან და მწერლობაშიაც, რასაკვირველია, თავი და თავი რეზონერობაა, ქადაგება, სენტენციები და მშრალი ამბებია აღწერილი, ან გაძეფებულია ფოტოგრაფიული რეალიზმი და რომანტიზმი. ნამდვილი რეალიზმი, რომელიც დიდი დაკვირვების, მოსწრებული მახვილ-გონიერების ნაყოფი იყოს, ახლა ისახება ჩვენში. დავ. კლდიაშვილის ნაწერები, როგორც გიორგი ჭერეთლის შკოლის ბელეტრისტიკისა, ჩემი აზრით, პირველი ამბავია ჩვენი ახალი ლიტერატურისთვის, რომელიც ცოცხალ, შემოქმედებით საყვარე კრიტიკას დიდ მასალას აძლევს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ქართველმა ნიჭიერმა კრიტიკოსმა—ივ. გომართელმა—ზედი ზედ სამი საყოფადღებო სტატია უძღვნა მას...

ამ პირველი ამბავით, ესე აგი, სპეციალურათ ლიხი იმერეთის გაღარიბებულ აზნაურთა ცხოვრების ქართულ სამხატვრო ლიტერატურასთან დაკავშირებით, დავ. კლდიაშვილმა ნათლათ და გარკვევითაც გამოხატა ერთი დიდი მწარე საზოგადოებრივი თვისების და ხასიათის მდგომარეობა და იგი ნაყოფიერიც შეიქნა ჩვენი ლიტერატურის წარმატებისთვისაც. მწარე სინამდვილის მართლად და იუმორით საყვარე დახატვამ ჩვენ ნიჭიერ მწერალს მისცა მჩქეფარე, ცოცხალი სახეები და მის მხატვრობაში მე ვჭკვრეტ დიდ ცხოველმყოფელ ფართე საზოგადოებრივი ხასიათის შემოქმედებას.

„შერისხვაში“ გაღარბებული აზნაურის—კაცია საგუნაშვილის მიერ წში- და გიორგიზე მეზობლის გადაცემის ამბავია აწერილი.

იმერეთში ბევრგან ისეთი სოფელია, საცა თუ საყანე ადგილი რამდენიმე წელიწადი არ შეასვენეს, ერთი კაკალი სიმინდი არ მოვა ზედ. რასაკვირველია, ამ მოღლილ ადგილებს შეუკავებელს სტოვებენ. კაციამ მოღლილი ნაყანები შეუკავებელი გაუშვა და სოფლებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და ამ შესვენებულ ადგილზე დაიწყეს სიარული, ახალი სასიარულო გზა გაიჩინეს. ძველი გზა კიდევ დაავიწყდათ, მით უფრო, რომ კაციას ადგილზე სიარულის

დამშლელიც არავინ იყო. ერთ დღეს, როცა კაცია გაშვებული საყანის შემო-
ლობვა მოინდომა, მეზობლებმა მას მოთხოვეს, რომ ერთი ნაწილი გზათ დაე-
ტოვებინა. აი, ამაზე კაცია ავარ-დავარდა და საქმე სოფლის სასამართლომდის
მივიდა. სასამართლომ ასე გადაწყვიტა: რადგან ძველი გზა ისეა გაფუჭებული,
რომ მისი შეკეთება ყოვლათ შეუძლებელია, ამიტომ კაციას საყანე ადგილს
უნდა ჩამოეჭრას ერთი ნაწილი ახალი გზისთვისო. კაცია თავის მეზობელს
—ანდრეას—აბრალებდა ამას და იგი წმ. გიორგის ხატზე გადასცა.

გავიდა ხანი და გადაცემამაც არ გაქრა და ამისთვის ჩვენი კაცია ძალი-
ან გაჯავრებული შეიქნა წმ. გიორგის ხატზე.

აღდგომა დღეს, როცა ხატებით დიდის ამბით ეკლესიას გარს შემოუარეს
და მერე მღვდელმა მთელი სოფლის ხალხი დალოცა, სწორეთ ამ დროს კაცია
წინ წამოიჭრა, მისწი-მოსწია მან სასოებით დაჩოქილი ხალხი და, თვალის და-
ხამხამების უმაღლვე, წმ. გიორგის ხატთან გაჩნდა და დაიძახა:—ესმის ახლა ვი-
თომ მაგას რაზე?

იმ წამსვე ხალხი ახრიალდა: კაცია საგუნაშვილმა წმ. გიორგის ხატი
დავამოო და კაციას ცოლი—დოდოც ანან ქკუაზე შეშალა და გადარია.

იმ სამახსოვრო დღიდან კაცია სრულიათ გამოიცვალა. იგი უწყინარ
შემლილს დაემსგავსა და უცნაურათაც მალე მოტყდა. ბოლოს, მძიმე ავთმყოფი
ფიც შეიქნა და ეს უშველებელი, ვეება, დევი კაცი მოკვდა საშინელ ტანჯვაში.
ამ რიგათ, ეს მოხუცებული კაცი თავის გულს შემოასკდა და გულფიცხობამ მას
ისეთი საქმე ჩაადენია, რომელმაც მას კიდევ ბოლო მოუღო. სოფლის ტირილიც
არ ღირსებია საწყალობელ კაციას.—ვერ ვიტირებთ—ამბობდენ მეზობლები:
ღმერთს ვაწყენებთ, რო მისი მგომბელი ვიტიროთ!—მხოლოდ ცოლ-შვილმა
გაასვენა მისი ნეშთი სასაფლაოზე და ისინიც მხოლოდ იმის უბედურ დღეზე
გაჩენას დასტიროდენ.

მკითხველი ნათლათ ხედავს, რომ ავტორს დიდი სინამდვილით გამოუხა-
ტავს იმერელი აზნაურის გულფიცხობა, მისი სულიერი ავლა-დიდების ავან-
ჩავანი და ამ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელის შედეგიც.

მოთხრობაში „სხვერპლი“ გამოყვანილია რძალ-დედამთილ შორის ურთი-
ერთი დამოკიდებულობა, რომელმაც იმსხვერპლა ახალგაზნდა, სიცოცხლით სავ-
სე რძალი. ამ მოთხრობაში ავტორს დაუხატავს დედამთილის თავგადასავალი,
დაქვრივება, გააწარებული ცხოვრება, ამ ქვრივის ხასიათის შეტის შეტი სი-
მტკიცე და გამარჯვლობა, რომელიც მოგვავაგონებს ოთარაანთ ქვრივსა და მა-
მიდა ასმათს. სწორეთ ამ ხასიათის სიმტკიცისა და სახის სხვანაირი მკაცრი
გამომეტყველებისა გამო, და იმიტომაც, რომ ამ ქვრივს ნამეტანი ბევრი საქ-
მეები მოცლას არ აძლევს ხალხში გაეროს და გაერთოს, კუდიანი უწოდეს
და იმისი ეშინია კიდევ იმ სოფლის ხალხს. აი, ასეთ კუდიანს ხელში ჩაუვარ-
დება ახალგაზნდა რძალი, რომელიც სრულიათ ახალი ცხოვრების ყაიდაზეა აღ-
ზდალი და უნდა მან თავისებურათაც, უფრო თავისუფლათ იცხოვროს. მარა
ამ ახალგაზნდა ქალს წინ გადაედობება სასტიკი და ხასიათით უფრო ძლიერი
დედამთილი და იგი თავისებურათ მოარჯულებს ამ რძალს. ბოლოს, რძალმა

ველარ აიტანა ამნაირი ცხოვრება, მასთან დიდი შევიწროება და გალახვაც და, როგორც სიცივეს შეუჩვეველი ყვავილი, სრულიათ უდროოთ დაქვნა და... მოკვდა.

ამ მოთხრობას ავტორი წერს დიდი ცოდნით. მას ლამაზი სტილითაც აქვს დახატული სოფლის ცხოვრების უბრალო სურათები და ზოგიერთი იქ გამოყვანილი მოქმედი პირები ზედ მიწვევით დახასიათებულია. ავტორი, ნაზი, მიმზიდველი იუმორით წერს მოთხრობას და პირად ზიზლსა და შეჩვენებას, სიმპატიას—ანტიპატიას იქ ადგილი არა აქვს.

მოთხრობაში «სოლომონ მორბელაძე» დახატულია გაღარბებული აზნაური—სოლომონ მორბელაძე, რომელიც შუამავლობით (მაჭანკლობით) ირჩენს თავს და უძღვება ოჯახსაც. იგი გაურიგებს საქარაძის ლამაზ ქალიშვილს ქათამაძის ვაჟს—ნიკოს, რომელსაც სემინარიის კურსი დასრულებული აქვს და ღვდლათაც უნდა მალე აკურთხონ დიდსა და მდიდარს მრევლში. სოლომონი სამაჭანკლოთ მიღებას ელის და ცოლსაც გულს უკეობს ასეთი სიტყვებით: «იმისთანა ტკიცინა წითელ-წითელ თუშნიანებს მოგიტან, თვალები ავიბჭყიალსო». მარა ამის მაგიერათ, მან «ექვსი მანათი და ორი აბაზი, მიიღო და ერთი ხარის ტყავი». როგორც ხედავთ, ამ პატარა ჩვეულებრივ, დაწვრილმანებულ ცხოვრების უმნიშვნელო ამბავში მთელი ჩვენი ცხოვრების ტრალიზმია ჩაქსოვილი. აქ ძალიან კარგათ აქვს ავტორს დახატული საწყალობელი სოლომონ მორბელაძის მდგომარეობა მის მოქცევაში მის განუყრელ ჯგორთან: შეადარეთ ეს ადგილი გ. წერეთლის ნაწერს „მგზავრის წერილებ დან“, ილიკო ხონელის „Имеретинский катеръ“-ს და ბევრსაც იცინებთ. «წყეული გროშის» შესაძენათ სოლომონ მორბელაძეს ერთად ერთი საშუალება მოუგონია—მაჭანკლობა: და ამ ხელობით უნდა იცხოვროს და აცხოვროს ცოლ-შვილიც. თვისი ცხოვრების და ხელობის უმსგავსობას, სისაძაგლეს კიდევ გრძნობს სოლომონი: «ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძალღებული ცხოვრებაც!..» და სხვ.

ამ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი სოლომონი კიდევ ებრალება ავტორს. სასაცილოსთან ერთად, სიბრალულსაც გვინერგავს გულში ავტორი და გვაგრობინებს, რომ ამ გვარი ცხოვრების წარმომშობ მიზეზებს მხნეთ შევებძლოთ, რომ ეს მიზეზები მოისპოს. სათავეში და ცხოვრება ჩვენი ამ ქვეყნათ დაემსგავსოს ნამდვალ და ჭეშმარიტი მოქალაქის მღელვარე, ცოცხალს და ბედნიერს ცხოვრებას.

„სოლომონ მორბელაძე“ ზომიერი, საზღვარ გადაუცილებელი კომიზმით არი დახატული და, ამიტომაც ეს ნაწარმოები შეიძლება ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებათ ჩაითვალოს. აქ ავტორს ამასთანავე ეტყობა დიდი დაკვირვების ნიჭი და ჩვენი ცხოვრების ცოდნა. მთელი იმერეთის ლარიბი აზნაურთა ყოველი ფეხის გადადგმა, ავან-ჩავანი და ცხოვრება თქვენი თვალის წინ სრულიათ იშლება სხვა და სხვა ყვერადებით და სახეებით და გაძლევთ დიდ მასალას შეჩერდეთ, ზედ და დაკვირვებითაც გაითვალისწინოთ ბგი, განსკვირვით ყოველი ავი და კარგი ამ ცხოვრებისა და დაასკვნათ ერთი აზრი, ერთი ფილოსოფური შეხედულება.

მოთხრობაში «წრფელი გული» გამოყვანილია ახლად ჯვარდაწერილი

ყმაწვილი ქალი—ბაბო, რომელსაც სხვა ვინმე—ბრელიშვილი ყვარებია. ყმაწვილი ქალი ამ თავის საიდუმლო სიყვარულს ვერავის უმხელს და ამისთვის უზომოთაც იტანჯება. ავტორს თუმცა ცოცხლად აქვს ეს მოთხრობაც დაწერილი, მარა მას ატყვია მიმბაძველობა და საგანიც ბუნდათ, გაურკვევლათ აქვს აღწერილი.

მოთხრობაში „სამანაშვილის დედინაცვალი« გამოყვანილია ღარიბი აზნაური—ბეკინა სამანაშვილი, რომელსაც განუზრახავს მეორე ცოლის შერთვა. მარა ეს გარემოება იმის დაცოლშვილიანებულს ვაჟს—პლატონს გულს უკლავს, რადგან იცის, რომ დედინაცვალს ან შვილი მოყვება თან ზა ოჯახს მკამელი გაუზნდება, ან შეეძინება ბეკინასგან შვილები და პლატონს ქონების მოზიარენი გაუზნდება და, ამიტომაც, იგი დიდი წინააღმდეგია, რომ მამა მისმა ცოლი შეერთოს, დედინაცვალი მოიყვანოს. აი, ამ შიშმა შეიპყრო პლატონის მთელი არსება, დაუმონავა და დაუბეჩავა მას გული და გრძნობა-გონება და იქამდისაც-კი მიდის, რომ თვით შეიქნა მაჭანკალი და მამა მისს—ბეკინას ცოლი გაურიგა, ორჯელ დაქვრივებული, ხანშესული მანდილოსანი, რომელსაც ოცდაათის წლის განმავლობაში შვილი არ მიცემია. სრულიათ დაარზენებული ამ გარემოებით, პლატონი დედინაცვალს გაიჩენს და ბეკინაც დამშვიდებულია— მაგრამ გადის დრო და ეს გულწილი და მორჩილებით აღსაესე «ორ ნაქმარები» დედინაცვალი დაორსულდება კიდევ. ამ დროს უწყინარი, გულკეთილი, თვისი ცოლ-შვილის უერთგულესი ყმაწვილი კაცი—პლატონი ისე საშინლათ გამწარდება, რომ მოხუცებულ მამას—ბეკინას ურჩევს ცოლს მუცელი წაუხდინეო. აი, რით დასრულდა პლატონის მაშვებობა, მაჭანკლობა! საწყალობელმა ბეკინამაც შეატყო ცოლს მისი მძიმე გარემოება და ამან-კი თავ ზარი დასცა მოხუცებულს—მარა, რაღას იზამდა ახლა.

ამასობაში გამხეცებული პლატონი ეცა დედინაცვალს—ელენეს და ფეხმძიამე ქალი ტახტზე, გააგორა წააქცია. პლატონს უნდოდა ქალისათვის წიხლი ჩაეკრა მუცელში, რომ ბავში მოეკლა. მარა ბეკინამ ხელი კრა. პლატონი უცხად მოტრიალდა და ისევ უნდა ჩაერთყა მეორეთ წიხლი, მარა ბეკინამ კიდევ ხელი წაავლო გამხეცებულ შვილს, რომელიც გიჟივით ყვიროდა:—არ მოკვდები! არ მოკვდები! ახლაც არ მოკვდები! და გადაქცეულ ელენეს მოსულიერებას კაი ხანს მოუნდა ბეკინა და მისი რძალი—მელანო. დედინაცვალ ელენეს ვაჟიც შეეძინა და წინანდელი სიამტკბილობის დამყარების იმედიც მის ოჯახში სამუდამოთ გაუქრა გულიდან უბედურ ბერიკაცს—ბეკინას. ამას შემდეგ, მამა და შვილი გაიყარნენ. ბეკინას მეტი შვილი აღარ მისცემია და, ხუთი წლის შემდეგ მან კიდევ წაილო თქვენი ჳირი.

«შავდღეზე გაჩენილი ძმის, უდანაშაულო ჩჩვილის შებრალებმა» პლატონს გულშიაც არ გაუვლია. პლატონი დედინაცვალს თვისი ხუთი წლის ვაჟით კარში გამოყრის და ისინიც საცოდავად მომრიგებელ მოსამართლის სახლის აივანზე არიან დაკეცილ მისართმევი თხოვნით ატუხულები...

ამ მოთხრობაში ავტორმა დაგვანახვა ჩვენი ცხოვრების ღრმა ცოდნა, დიდი დაკვირვების ნიჭიც. ყმების ჩამორთმევის შემდეგ, ღიხთ ამერეთის აზნა-

ურთა ცხოვრება ნივთიერათ ისე ძლიერათ შეირყა და გადატრიალდა, რო მიწა-წყლის საკითხი შეიქნა პირ დაპირ. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ამითი აიხსნება ის გარემოება, რო პლატონმა ასე საშინლათ შეიძულა მოხუცებული ღვიძლი მამა—ბეკინაც, გაეყო მას იმ დროს, როცა მას ფეხი უკვე სამარეში ჰქონდა ჩადგმული. მამის სიკვდილის შემდეგ, დედინაცვალი და პატარა, ხუთი წლის ძმაც უღმერთოთ კარში გააგდო და საქმე საჩივლელათაც გაუხადა. პლატონის ფიქრი, გრძნობა-გონება, გული და სული, მთელი არსება მიწას შეუპყრია და მიწის საკითხმა გადარია ეს პატიოსანი კაცისშვილი. ეს დიდი ტიპიური ფსიქოლოლიაა, რომელიც წარმოშვა ჩვენი ცხოვრების ევოლიუციამ. ამ გარემოებას ფილოსოფიური ახსნა და გარკვევა უნდა. ჩვენ-კი ახლა ამისათვის ადგილი არა გვაქვს. მოკლეთ ვჭრით ამ მოთხრობაზე საუბარს.

დავ. კლდიაშვილის სიტყვა-კაზმულ ნაწერებში დასტამებულია სურათი „მრევლში“. იქ ზოსიმე ღვდლის სულიერი მდგომარეობაა დახატული. ნამეტანი ღარიბი კაცის შვილი, სემინარიაში სწავლის დროს, იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ სწავლის გათავების შემდეგ, სოფელს დაუბრუნდები და სულით, პატიოსნებით განათლებული სახარების ღრმა სიყვარულს მოვფენ მრევლსო. დავებმარები ქვრივსა და ოხერს, გაჭირებული ხალხის ქირსა და ლხინს შუაზე გავიყოფ. მუშა ხალხის ტანჯვის გულწრფელი მოზიარე შევიქნები და ისიც ნდობით დამაწყებს ყურებას და შემეყვარებსო. ბოლოს ხალხიც ჩემს მდგომარეობაში შევა, დამეხმარება, ხელს შემეწყობს და შემინახავსო.

მარა ნამდვილათ-კი, როცა მან კურსი დაასრულა და იგი ღვდლათაც მოხვდა სოფლად ერთ მრევლში, თქვენი მტერი და ორგული გაქრა ისე, როგორც ეს ოცნებაც გაქრა და ცხოვრებამ, ნამდვილ ცხოვრების ქარ-ცეცხლმა ყველა იმისი კეთილი და პატიოსანი ფიქრი ქარსა და ნიავს მისცა...:

სოფლის ხალხი ისეთ ღრმა გაჭირებაშია ჩავარდნილი, გასაწყლებულია, სულშეხუთულია და საკუთარი ლუკმა პურაც ისე უჭირს, რომ ზოსიმეს და მის ცოლ-შვილს ხალხი ვერ შეინახავს, მისთვის ერთ გროშსაც ვერ გაიმეტებს. ის კი არა, სოფლის ხალხი ღრმად დარწმუნებულია, რომ ზოსიმე ღვდელს „წაგლეჯაზე აქვს თვალები გამოპრაწული, ხალხთან დაახლოებას იმისთვის ცდილობს, რომ იმათ სარჩოზე იწყოს ცხოვრება“.

«ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირება გვეყოფა, — ამბობს კიშოთე გლეხი: — ძლივს ხული გვიდგია ტანში, ჩვენ სხვისაგან მოველით შევლასა და დახმარებას, ჩვენი გაჭირების გადავიღებას, და ამის მაგიერათ, ტვირთად გვაწვება... დასაბინავებლათ ჩვენ გვიხდება და შესანახავათაც... ჩვენც ცოდვანი ვართ!

— მართალია, მართალი! მოისმა აქით-იქიდან ხმები ამ სიტყვაზე.»

ახლა ზოსიმე ღვდელი პირდაპირ ხედავს, რომ ის არის „უბინაო, ერთი ლატაკი კაცი, ლატაკებითვე გარს შემოხვეული, რომელთ ნაოფლართაც თავი უნდა ერჩინა.“ აბა, საიდან, რა გზით, რა მანქანებით, უნდა დაბადებულიყო ნდობა, თანაგრძნობა და სიყვარული მათ შორის, რაზეც ოცნებობდა ჩვენ, ზოსიმე სტუდენტობის დროს? ამას კარგათ გრძნობს და ხედავს დღეს ჩვენი ზოსიმე და იგი მზათაა გამოეთხოვოს ამ ტკბილ სიზმრებს და... იტროს.

ამ მწარე ფიქრებში გართულს ახალგაზდა ღვდელს გზაში შემოხვდება ჯორზე მჯდომარე, ხანში შესული მიხეილა ღვდელი, რომლის ერთად ერთ ყოველ დღიურ საზრუნებელს და საფიქრებელს“ „ბურუსუნა კანჭიათები“ (ეს „კანჭიათები“ რა სიტყვაა, აკრიბული ხომარ არი?) და ტაბლები შეადგენს და ზოსიმესაც რაღაც ხმა იღუშალი ჩაძახის: „ზოსიმე, აი შენი მომავალის გამოხატულობა, შენც ასეთი ბოლო მოგელისო.“ ზოსიმე ღვდელი გლეხის ოჯახში მძიმე ავთმყოფს ინახულებს და იქ პირველი ფეხის შედგმისთანავე დახვდება უსაშინელესი სიღარიბე, გაჭირვება და უმწეობა. იგი ხედავს, რომ მომავლად ვერაფერს დაეხმარება, ვერ უშველის დავრდომილს, გატიალებულს ოჯახს. იმწამსვე თავის საკუთარს ოჯახისკენ გამობრუნდება და აქაც. . საკუთარ ოჯახშიაც ხედავს სისაწყლეს, სიღარიბეს და უნუგეშობას. ახლა სრულიათ გაქრა იმისი ოცნება. მწარე ცხოვრების სინამდვილემ უფერ-უმაროლოთ, პირდაპირ, დაანახვა თვისი გაუმძღარობა და მიხეილა ხუცესი ყოფილა, მართლაც, მისი პირველი და უკანასკნელი გამოხატულობა.

ცოლ-შვილით მძიმეთ დატვირთული, უღარიბესი სოფლის ახალგაზდა ღვდელი, რომელსაც არაფერი ნივთიერი ქონება გააჩნია, როგორ უნდა წაუძღვეს ოჯახს, მტერ-მოყვარეს, თავის საკუთარ თავს, როგორ უნდა ჩააცვას და დახუროს ან ასწავლოს თავის შვილებს? იმისი უსწავლელი შვილები ხომ გატიალებული, უმიწაწყლო გლეხის შვილებზე უარესი იქნება? და იგივე წყეული იღუშალი ხმა ახლა უფრო მწარეთაც და მოძალებით ჩაძახის ზოსიმეს: „დროა ოცნებას თავი გაანებო, კი უნდა გამოაპრაწო თვალები, თორე ვერც სხვას წაადგები და შენ თავსაც ავენებ. დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიო, იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ“... და ზოსიმეც ჩაითრია უღმობელი ცხოვრების მწარე სინამდვილემ.

„დროა აწი, პეტრია სტოროჯის არ იყოს, სოფლის ადათს შეეჩვიოს და მიხეილა ხუცესივით იცხოვროს“... ორი მოსწრებული სიტყვით, კალმის ერთი ძლიერათ გაქნევით სრულიათ ახასიათებს ჩვენი კოხტა და ნიჭიერი მწერალი ამ პეტრიელა „სტოროჯსაც“ და მიხეილა ხუცესსაც...

ზომლელი:

(დასასრული იქნება).

რედაქტორები { გრ. ლორთქიფანიძე-
პ. საყვარელიძე.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისათვის ორგანიზაციულ ჟურნალ

წელიწადი
პირველი

„**ეროვნება**“ №

წელიწადი
პირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს
ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ
გარკვევა-გაშუქებას.



რედაქციისაგან:

რედაქცია სთხოვს ყველა საერობო და საზოგადოდ თვითმართვე-
ლურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალები:
მნიშვნელოვანი რეზოლიუციები და დადგენილებანი, წერილები,
სტატისტიკური ცნობები, გამოცენანი.

თანამშრომლებს ვთხოვთ წერილები დაწერილი ზეოს ერთ გვერდ-
ზე მელნით და გარკვევით.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24
ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა.



ე 81
1920

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისათვის.

ყოველთვიური ჟურნალი

წვენი პალატი

ფელიწადი მე.პ.

(ყოფილი ჟურნალი „ერობა და ქალაქი“).

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის
ორგანო.

გამოდის ქართულ და რუსულ განყოფილებებით.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისი. პუშკინის ქ. 3, ქა-
ლაქთა კავშირის ბინა ტელ. 1-78.

პროგნოზი და თემატა.

მაქვს 10 წლის მასწავლებლობის პრაქტიკა; ვეძებ უმაღლ-
დაწე.-სასწავლებლის

გაგონის აღგვიღს.

მისამართი: ტფილისი, ბელინსკის ქუჩა № 21.

სტუდენტი სევერიანე მუსეროძე.

ფასი 10კ მან.